

ჭაბუკი ქირია, ნანა ქირია

ტიქსტის რედაქტირება

(აბიტურიენტებისთვის)

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი 2019

უკ (UDC) 821.353.1.09+801.733

ქ-545

წიგნი ორ ძირითად ნაწილადაა წარმოდგენილი: გრამატიკულ-ორთოგრაფიული გზამკვლევი და ტექსტის რედაქტირება. გასარედაქტირებელი ტექსტების რაოდენობა საკმაოდ სოლიდურია – სულ არის 70 ტექსტი. ვფიქრობთ, ეს გამოცემა ხელს შეუწყობს აბიტურიენტებს, მომზადებულები შეხვდნენ ეროვნულ გამოცდებს და მაღალი შეფასება დაიმსახურონ დავალებების ამ ნაწილში.

რედაქტორები
პროფ. დავით ჩოჩიშვილი
პროფ. ლია ბაკურაძე

© ჭაბუკი ქირია, ნანა ქირია
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019

ISBN 978-9941-25-373-7

მვირფასო აბიტურიენტებო!

ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნულ გამოცდაზე თქვენ რამდენიმე დავალება გემდევით. მათ შორისაა ენობრივ-გრამატიკული სამუშაო – გასარედაქტირებელი ტექსტები. ამ ტექსტებში დაშვებულია 18 სხვადასხვა სახის ენობრივი შეცდომა, რომელთა კვალიფიციურად გასწორების შედეგად თქვენს აქტივს ორი ქულაც (ბონუსის სახით) ემატება და, ამდენად, შესაძლებელია მაქსიმალური – 20 ქულის მიღება.

ერთი პრობლემაა ტექსტში დაშვებული შეცდომების მოძიება და შემდგომ გასწორება.

მაგრამ თქვენ გიწევთ ტექსტის გადაწერა; სწორედ ამ გადაწერის პროცესში უნდა გაასწოროთ შეცდომები.

ეს გარემოება (ტექსტის გადაწერის აუცილებლობა) ერთგვარი რისკფაქტორია თქვენთვის, რამდენადაც იგი მექანიკურ შეცდომებსა და სწორი ფორმების „გასწორებასაც“ არ გამოირიცხავს.

როგორ უნდა მოიქცეთ, რომ სასურველი შედეგი მიიღოთ?

პირველ რიგში, აუცილებელია ყურადღების მაქსიმალური მობილიზება (ქულებს კარგავთ მექანიკური უზუსტობების გამოც);

რაც მთავარია: უნდა იცოდეთ ძირითადი გრამატიკულ-ორთოგრაფიული წესები და პრინციპები.

სწორედ ამიტომ გთავაზობთ წიგნის პირველ ნაწილში გრამატიკულ-ორთოგრაფიულ გზამკვლევს, რომლის საფუძვლიანად დაამუშავების შემთხვევაშიც ნამდვილად არ მოგეჩვენებათ შესასრულებლად წარმოდგენილი დავალება რთული (შევეცადეთ მაქსიმალურად მარტივი ენით აგვეხსნა ამ წესების არსი).

ჩვენს ინსტრუქციაში არ არის მითითებული, რამდენი გრამატიკული, ორთოგრაფიული, სტილისტური და პუნქტუაციური შეცდომაა დაშვებული ტექსტებში. არის შეცდომების საერთო რაოდენობა - 20 (18 შეცდომა იქნება თუ 20, სავარჯიშოდ ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა; კომპიუტერულ გასწორებას სხვა პრინციპი აქვს, რასაც ჩვენი ფორმატი აბსოლუტური სიზუსტით ვერ გაიმეორებს და ეს სულაც არ არის აუცილებელი, – ეს ხომ საწვრთნელ-სავარჯიშო მასალაა). ზოგ ტექსტში შეიძლება იყოს სამი სტილისტური ხარვეზი, ზოგში სულ არ იყოს, ზოგან შეიძლება ხუთი მძიმე იყოს დასასმელი, ზოგან – სამი. თქვენ უნდა გაასწოროთ ის შეცდომები, რომლებსაც ტექსტში აღმოაჩენთ: ტექსტის რედაქტირება სწორედ ამას ნიშნავს.

სასურველია საორიენტიროდ ოცი ქულა გვეკონდეს და ამას ვიცავთ.

კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, საინტერესო შემოთავაზება გვაქვს: ყველა ტექსტს აქვს საერთო თემატიკა: ჩვენი სამშობლოს ისტორიიდან ცნობილი ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფრაგმენტები – რა დასამალია და გამოცემის ავტორებს იმედი აქვთ, იქნებ ორმაგად სასარგებლო და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საინტერესო იყოს ამ ტიპის სამუშაო.

გრამატიკულ-ორთოგრაფიული გზამკვლევი

სიტყვები ორ ჯგუფად იყოფა: გვაქვს **ფორმაცვალებადი** და **ფორმაუცვლელი** სიტყვები.

ფორმაცვალებადებია **სახელები** და **ზმნა**. ფორმაუცვლელია დანარჩენი სიტყვები (ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული).

სახელები (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი) **ბრუნებადი სიტყვებია**, ბრუნვების მიხედვით იცვლიან ფორმას.

ზმნა არ იბრუნება, იუღლება. ეს არის **უღლებადი სიტყვა**, იგი პირისა და მწკრივების მიხედვით იცვლის ფორმას.

ფორმაუცვლელი სიტყვები ყოველთვის ერთი ფორმით წარმოგვიდგებიან (გუმინ, ზეგ, გარეთ, წინ, კი, არა, ხოლო, მაგრამ...). მათ შეზღუდული აქვთ ფორმის შეცვლის საშუალება.

❖ ბრუნებადი სიტყვები – სახელები.

ბრუნებადი სიტყვების, სახელების ჩამოთვლისას ყოველთვის ვიყენებთ სახელობითი ბრუნვის ფორმას (ეს არის სახელდების ბრუნვა): სახლი, კარი, დედა, ბიძა, ქვეყანა, ზამთარი, სკოლა, კაცი... ეს არის ამოსავალი ფორმა ბრუნებადი სიტყვისა.

ყველა ბრუნებადი სიტყვის ამოსავალი ფორმა (ე. ი. სახელობითი ბრუნვის ფორმა) ბოლოვდება ხმოვანზე.

ბრუნებადი სიტყვები ორ ჯგუფად იყოფა: **ხმოვანფუძიანებად** და **თანხმოვანფუძიანებად**.

ხმოვანფუძიანია ყველა ის სიტყვა, რომელსაც ამოსავალი ფორმის ბოლოში მოუდის: -ა (დედა, მამა, მიწა...), -ე (დღე, მოსწავლე, ბუდე...), -ო (ორმო, გოგო, უსახლო...), -უ (ძუ, ძუძუ, ბლუ...).

ეს იმას ნიშნავს, რომ დედა, მამა, მიწა... დღე, მოსწავლე, ბუდე... ორმო, გოგო, უსახლო... ძუ, ძუძუ, ბლუ... სახელობითი ბრუნვის ფორმებია; ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ამავე დროს**, ეს არის ამ სიტყვათა ფუძეც.

განსხვავებულია ვითარება, როდესაც გვაქვს სახელობითში ი-ზე დაბოლოებული სიტყვები. ასეთი სიტყვები, თუ ეს არის საზოგადო (და არა საკუთარი) სახელები, პრაქტიკულად ყველა თანხმოდანს, ანუ, ის, რაც ამ სიტყვებში სახელობითის -ის წინ გვაქვს, არის სიტყვის ფუძე.

კაცი, სახლი, კომში... სახელების ფუძეა კაც-, სახლ-, კომშ... – იმიტომ, რომ -ის წინ ესენი გვაქვს. ფუძის ბოლოს თანხმოდანს, ესე იგი, ამ ტიპის სახელები თანხმოდანს სახელებია.

შეიძლება ამოსავალი ფორმის ი-ს წინ თანხმოდანი იყოს, მაგრამ სიტყვა მაინც ხმოდანს კატეგორიაში შედიოდეს. ამ შემთხვევაში ეს ი სახელობითი ბრუნვის ნიშანი არ არის, ის თავად შედის ფუძეში და ისეთივე ფუძისეული ელემენტია, როგორცაა ა, ვთქვათ, კაბა-ში, ე – დღე-ში, ო – უცხოლო-ში, უ – კუ-ში.

გამონაკლისება:

- უცხო ენებიდან შემოსული საზოგადო სახელები: ცუნამი, ჟიური, ლობი, ბრენდი, ლედი, ტაქსი, დენდი, ჰობი, ჰიპი, ჰარაკირი, შასი, სპაგეტი, რალი, რაგბი, მილედი, კეგლი, იანკი, ზლოტი, ვისკი... ესენი ხმოდანს (ი-ფუძიანი) სახელებია.
- ხმოდანს (ი-ფუძიანი) უცხოური საკუთარი სახელების (გეოგრაფიული სახელების) ნაწილი: მაიამი, დელი, ტრიპოლი, კენტუკი, სომალი, ჰელსინკი, ჯიბუტი, ჰაიტი, ნიუ-ჯერსი...
- ასევე ხმოდანს (ი-ფუძიანი) უცხოური საკუთარი სახელების (ადამიანთა გვარების) ნაწილი: ბოტიჩელი, გარიბალდი, და ვინჩი, დებიუსი, დიმიტრიადი, დონიცი, ვერდი, ვივალდი, კადაფი, მასტროიანი, მაძინი, მოდილიანი, პავაროტი, პუჩინი, როსინი, ფელინი, ძეფირელი...

ეს სიტყვები უნდა დავიმახსოვროთ და მოვერიდოთ ამგვარ არასწორ ფორმებს:

ჟიურმა, ჟიურს... ლობმა, ლობს... ბრენდმა, ბრენდს... ლედმა, ლედს... ტაქსმა ტაქსს... მაიამმა, მაიამს... დელმა, დელს... ტრიპოლმა, ტრიპოლს... კენტუკმა, კენტუკს... სომალმა, სომალს... ჰელსინკმა, ჰელსინკს... ჯიბუტმა, ჯიბუტს... ჰაიტმა, ჰაიტს... ნიუ-ჯერსმა, ნიუ-ჯერსს... ბოტიჩელმა, ბოტიჩელს... გარიბალდმა, გარიბალდს... და ვინჩმა, და ვინჩს... დებიუსმა, დებიუსს... დიმიტრიადმა, დიმიტრიადს... დონიციტმა, დონიციტს... ვერდმა, ვერდს... ვივალდმა, ვივალდს... კადაფმა, კადაფს... მასტროიანმა, მასტროიანს... მაძინმა, მაძინს... მოდილიანმა, მოდილიანს... პავაროტმა, პავაროტს... პუჩინმა, პუჩინს... როსინმა, როსინს... ფელინმა, ფელინს... ძეფირელმა, ძეფირელს...

შენიშვნა: ჩვეულებრივ, ი-ფუძიანი საზოგადო სახელების ნიმუშებად მოჰყავთ მხოლოდ ჩაი, პაი, ტრამვაი (ზევით წარმოდგენილია ი-ფუძიანი საზოგადო სახელების სხვა ნიმუშებიც: ცუნამი, ჟიური, ლობი, ბრენდი, ლედი, ტაქსი, დენდი, ჰობი, ჰიპი, ჰარაკირი, შასი, სპაგეტი, რალი, რაგბი, მილედი, კეგლი, იანკი, ზლოტი, ვისკი...). ადვილი შესამჩნევია, რომ ეს სიტყვები ბოლოვდება არათუ ხმოდანზე, არამედ ხმოდანზე. აქედან გამომდინარე, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, მათ თანხმოდანს ვერ ვაბრუნებთ და თეორიულადაც კი ვერ დავუშვებთ ამგვარ გრამატიკულ უზუსტობებს: ჩა-მა, ჩა-ს, პა-მა, პა-ს, ტრამვა-მა, ტრამვა-ს (დიალექტური ფორმა ჩა-ს, რომლისთვისაც ამოსავალია არა ჩაი, არამედ ჩა: ჩა-მ, ჩა-ს...).

-ი-ზე დაბოლოებულ საკუთარ, კერძოდ, ადამიანის სახელთა ერთი ნაწილი ხმოვანფუძიანია, მეორე ნაწილი – თანხმოვანფუძიანი.

• როგორ გავარჩიოთ ისინი ერთმანეთისგან?

ყურადღება მივაქციოთ, რომელი თანხმოვანია ამოსავალი ფორმის ბოლოში დადასტურებული -ი-ს წინ: თუ აქ გვაქვს **ნ, რ, ლ** ან **მ**, მაშინ უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ ეს იყოს თანხმოვანფუძიანი სიტყვა: ლევანი – ლევანმა, ანზორი – ანზორმა, ტარიელი – ტარიელმა, გურამი – გურამმა...

ეს არ ნიშნავს, რომ -ი-ს წინ სხვა თანხმოვნის გამოვლენის შემთხვევაში, ადამიანის სახელი აუცილებლად ხმოვანფუძიანი იქნება. ზოგჯერ (შედარებით იშვიათად) არა გვაქვს -ი წინ **ნ, რ, ლ, მ** მაგრამ სახელი მაინც თანხმოვანფუძიანია.

უნდა დავიმახსოვროთ ეს სახელები:

ბესიკი – ბესიკმა, ბორისი – ბორისმა, გაიოზი – გაიოზმა, გულნაზი – გულნაზმა, ვარაზი – ვარაზმა, მარკოზი – მარკოზმა, რამაზი – რამაზმა, ნიკოლოზი – ნიკოლოზმა, ფარნაოზი – ფარნაოზმა, ქართლოსი – ქართლოსმა, რევაზი – რევაზმა, რომანოზი – რომანოზმა, მელქისედეკი – მელქისედეკმა, მერაბი – მერაბმა, ასმათი – ასმათმა... მზეჭაბუკი – მზეჭაბუკმა, უშანგი – უშანგმა, ვახტანგი – ვახტანგმა, შუშანიკი – შუშანიკმა, ჰამლეტი – ჰამლეტმა...

მეორე მხრივ, არა გვაქვს -ი-ს წინ **ნ, რ, ლ, მ**, მაგრამ ადამიანის სახელი მაინც თანხმოვანფუძიანია:

ნინელი – ნინელიმ, ვალერი – ვალერიმ, ანატოლი – ანატოლიმ, ბადრი – ბადრიმ, გუგული – გუგულიმ, დალი – დალიმ, ევგენი – ევგენიმ, ირაკლი – ირაკლიმ, იური – იურიმ, კორნელი – კორნელიმ, კუკური – კუკურიმ, ლილი – ლილიმ, მერი – მერიმ, ნანული – ნანულიმ, გიული – გიულიმ...

შედარებით გავრცელებული ხმოვანფუძიანი, ი-ფუძიანი საკუთარი სახელების (ადამიანთა სახელების) სია (აქ ი ბრუნვის ნიშანი არ არის, ფუძეში შედის):

ავქსენტი	დესი	აკაკი
დიმიტრი	ლეონტი	ალექსი
დომენტი	ლალი	ნანული
ამბერკი	ლილი	ლავრენტი
ამბროსი	ევგენი	მელენტი
ანატოლი	ევგრაფი	მერი
არკადი	მექი	ნინელი
ბადრი	ევტიხი	პროკოფი
ბიკენტი	ერასტი	რატი
გენადი	ვალერი	სევასტი
გერონტი	ვასასი	სერგი
გივი	ვახუშტი	ტარასი
გიორგი	ირაკლი	ტერენტი

გოდერძი	იური	ფატი
გუგული	კლიმენტი	დალი
კორნელი	კუკური	ქუჯი...
დევი		

შედარებით გავრცელებული თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელების (ადამიანთა სახელების) სია (აქ -ი ბრუნვის ნიშანია, ე. ი. ის ფუძეში არ შედის):

აბელ-ი	გურამ-ი	მარიამ-ი	სულხან-ი
აბესალომ-ი	გურგენ-ი	მარკოზ-ი	ტარიელ-ი
აბრა(ა)მ-ი	დურმიშხან-ი	მელიტონ-ი	ტრიფონ-ი
ადამ-ი	ედიშერ-ი	მელქისედეკ-ი	უშანგ-ი
აეტ-ი	ეთერ-ი	მერაბ-ი	ფარნაოზ-ი
ავთანდილ-ი	ელიზბარ-ი	მზევინარ-ი	ფარსადან-ი
ალმასხან-ი	ელისაბედ-ი	მზეჭაბუკ-ი	ფარსმან-ი
ამირან-ი	ეფრემ-ი	მირიან-ი	ფატმან-ი
ანდუყაფარ-ი	ვარაზ-ი	მიხეილ-ი	ფილიმონ-ი
ანზორ-ი	ვარდენ-ი	მურზაყან-ი	ფრიდონ-ი
ანთიმოზ-ი	ვასილ-ი	მურმან-ი	ქართლოს-ი
ანტონ-ი	ვახტანგ-ი	მუხრან-ი	ქეთევან-ი
აპოლონ-ი	ვიქტორ-ი	ნესტან-ი	ყარამან-ი
არონ-ი	ვლადიმერ-ი	ნესტორ-ი	ყაფლან-ი
არსენ-ი	ზაალ-ი	ნიკოლოზ-ი	შავლეგ-ი
არტემ-ი	ზეინაზ-ი	ნოდარ-ი	შერგილ-ი
არჩილ-ი	ზვიად-ი	ნოშრევან-ი	შერმადინ-ი
ასლან-ი	ზურაბ-ი	ნუგზარ-ი	შუშანიკ-ი
ასმათ-ი	თადეოზ-ი	ოთარ-ი	ჭიაბერ-ი
აფრასიონ-ი	თამაზ-ი	ოქროპირ-ი	ხორეშან-ი
ბაადურ-ი	თამარ-ი	პანტელეიმონ-ი	ჯიმშერ-ი
ბაგრატ-ი	თარხან-ი	პართენ-ი	ჯუანშერ-ი
ბაკურ-ი	თეიმურაზ-ი	პარმენ-ი	ჯუმბერ-ი
ბაქარ-ი	თენგიზ-ი	პლატონ-ი	ჰამლეტ-ი...
ბებურ-ი	თინათინ-ი	რამაზ-ი	
ბეგლარ-ი	იაგორ-ი	რაჟდენ-ი	
ბენიამენ-ი	იაკობ-ი	რაულ-ი	
ბეჟან-ი	იასონ-ი	რაფიელ-ი	
ბესარიონ-ი	ივდით-ი	რევაზ-ი	
ბესიკ-ი	ილარიონ-ი	როდამ-ი	
ბეშქენ-ი	იოველ-ი	როინ-ი	

ბორის-ი	იოთამ-ი	რომან-ი
გაბრიელ-ი	იორამ-ი	რომანოზ-ი
გაიოზ-ი	იოსებ-ი	როსტევეან-ი
გალაკტიონ-ი	ისა(ა)კ-ი	როსტომ-ი
გარსევან-ი	იროდიონ-ი	რუსუდან-ი
გედევან-ი	იულონ-ი	სამოელ-ი
გობრონ-ი	კანდიდ-ი	სამსონ-ი
გოგოთურ-ი	კაპიტონ-ი	სარდიონ-ი
გრიგოლ-ი	კარპეზ-ი	სარიდან-ი
გულბათ-ი	კახაბერ-ი	ლევან-ი
გულნაზ-ი	ლიპარიტ-ი	სერაპიონ-ი
გულქან-ი	ლუარსაზ-ი	სილოვან-ი

- რისთვისაა საჭირო იმის ცოდნა, ბრუნებადი სიტყვა ხმოვანფუძიანია თუ თანხმოვანფუძიანი?

სხვანაირად იბრუნება ხმოვანფუძიანი სახელი და სულ სხვანაირად – თანხმოვანფუძიანი. ზოგიერთ აქტუალურ მომენტზე გავამახვილოთ ყურადღება:

დავითმ არის არასწორი ფორმა იმის გამო, რომ დავით-ი თანხმოვანფუძიანი სახელია (სახელობით ბრუნვაში მას აქვს ასეთი ფორმა: დავით-ი და არა დავითი), ასეთ სახელს კი მოთხრობითში -მა დაერთვის (და არა -მ).

მიცემითში იქნება დავითს (დავითს უთხრა და არა დავითის უთხრა) – თანხმოვანფუძიანი სახელს მიცემითში -ს დაერთვის (და არა -ის).

თუ ფუძის სტატუსი გვეცოდინება, მაშინ წოდებითშიც სწორ ფორმას შევარჩევთ: დავით! (და არა დავითი!).

- კიდევ რისთვის არის საჭირო იმის ცოდნა, ბრუნებადი სიტყვა ხმოვანფუძიანია თუ თანხმოვანფუძიანი?

ხმოვანფუძიანი სიტყვა შეიძლება იყოს ფუძეკვეცადი, – თუ მას ფუძის ბოლოს -ა ან -ე აქვს. რას ნიშნავს ეს? – იმას, რომ ეს ა და ე ხმოვანი იკარგება მხოლობითი რიცხვის ორ ბრუნვაში – ნათესაობითსა და მოქმედებითში. გვექნება: მიწა – მიწ-ის, მიწით; მეფე – მეფ-ის, მეფ-ით...

მრავლობითში ა- და ე-ფუძიანები სხვადასხვანაირად იქცევიან: ა-ფუძიანი ყველა ბრუნვაში (ყველა შემთხვევაში) ამ ა-ს გარეშეა, წარმოდგენილი: მიწ-ები, მიწ-ებმა, მიწ-ებს, მიწ-ების, მიწ-ებით მიწ-ებად, მიწ-ებო.

ე-ფუძიანი მრავლობითშიც ინარჩუნებს ამ ე-ს და ამიტომ ორი ე გვექნება: მეფე-ები, მეფე-ებმა, მეფე-ებს, მეფე-ების, მეფე-ებით, მეფე-ებად, მეფე-ებო.

რადგა, ვიღაც, კვირა ა-ფუძიანი სიტყვებია, ამიტომ საფუძველი არ არის იმისათვის, რომ მრავლობითში ორი ე იყოს; ამდენად, სწორია: რადგები, ვიღაცები, კვირები; არასწორია: რადგეები, ვიღაცეები, კვირეები.

დღეები, თვეები ფორმების ანალოგიით ზოგჯერ წლები ფორმაც გვხვდება, რაც არასწორია. სწორია წლები.

ო- და უ-ფუძინი სახელები ფუძეუკვეცილია, – ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სიტყვათა (ანუ ფუძეთა) ბოლოკიდური ო და უ არ იკარგება, არ იკვეცება არც მხოლობითსა და არც მრავლობით რიცხვში. ერთადერთი ო-ფუძიანი და ფუძეუკვეცადი სიტყვაა ღვინო: ღვინ-ის ქარხანა, ღვინ-ით მთვრალი. მრავლობითში არც ეს სიტყვა კარგავს ბოლოკიდურ ხმოვანს; გვაქვს: ღვინო-ები (და არა ღვინ-ები).

- როდის შეიძლება სიტყვა ა-ზე ბოლოვდებოდეს და ის მაინც იყოს ფუძეუკვეცილი?

ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ სიტყვის ბოლოს წარმოდგენილ ა არ არის უფუნქციო (სიტყვაში მიწა ა-ს არანაირი ფუნქცია არა აქვს); საერთოდ, -ა ის შეიძლება გამოხატავდეს კნინობითობას, რამე თვისების ან საერთოდ რამის მქონებლობას ან უქონლობას; მაგ.: ცხვირა ამას ნიშნავს: „გრძელი, დიდი ცხვირის მქონე, – დიდცხვირა“. ამოსავალი ცხვირი სიტყვისგან ა-ს დახმარებით სხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვა მივიღეთ.

რატომ არ იკვეცება ეს ა?

ეს -ა რომ მოიკვეცოს, მაშინ დაიკარგება ის მნიშვნელობა, რომელიც მას შეაქვს სიტყვაში. სწორედ ეს ფაქტორია ამ შემთხვევაში კვეცის შემკავებელი. ცხვირ-ის არის ცხვირი ფორმის ნათესაობითი, ხოლო ცხვირა სიტყვის ნათესაობითი იქნება არა ცხვირის, არამედ ცხვირას (ცხვირას გამო).

ასევეა კუდა („უკუდო ან მოკლეკუდიანი (ცხოველი)“) და სხვ.

ასევეა დედოფალა. ნათესაობითში იქნება დედოფალას გამო (და არა დედოფალის გამო).

- ასევე არ იკვეცება -ა, თუ ის არის ადამიანის სახელის აღმნიშვნელი სიტყვის ბოლოკიდური ხმოვანი: ადამიანის სახელის აღმნიშვნელი ყველა სიტყვა (მანანა... დემეტრე... კოკო... დუტუ...) ფუძეუკვეცილია!
- ასევე არ იკვეცება -ა, რომელიც მეგრული გვარების ბოლოს დასტურდება: ბაკურია – ბაკურიას წიგნი (და არა ბაკურიის წიგნი)... ბოკუჩავა – ბაკუჩავას წიგნი (და არა ბოკუჩავის წიგნი)... სტურუა – სტურუას წიგნი (და არა სტურუის წიგნი)... მრავლობითში ესენიც ფუძეუკვეცადებია: ბაკურიები, ბოკუჩავები, სტურუები...

სხვა შემთხვევაში -ა ყოველთვის იკვეცება, მათ შორის, გეოგრაფიულ სახელებშიც: უჯარმა – უჯარმ-ის, უჯარმ-ით... ბარსელონა – ბარსელონ-ის, ბარსელონ-ით...

შეიძლება ე-ფუძიანი სახელიც იყოს ფუძეუკვეციელი. ცალკე აღებული -ე ბოლოსართი არ არის ახალი სიტყვის მაწარმოებელი; ასე რომ, ეს არ არის მისი უკვეცილობის მიზეზი.

არსებობს ჯგუფი უცხო ენებიდან შემოსული სიტყვებისა, რომელთა ბოლოკიდური -ე არ იკარგება, – ასეთია ტრადიცია. ეს სიტყვებია:

ბეზე, ბლანმანჟე, ბუკლე, გალიფე, გოფრე, დრაჟე, იუბილე, კარე, კაშნე, კაფე, კლიშე, კონფერანსიე, კუპე, ჟელე, პენსნე, პიურე, პლისე, რეზიუმე, რელე, ტირე, ტურნე, ფაქსიმილე, კონფერანსიე...

ეს იმას ნიშნავს, რომ არასწორია ასეთი ფორმები:

ბეზის, ბეზით, ბლანმანჟის, ბლამანჟით, ბუკლის, ბუკლით, გალიფის, გალიფით, გოფრის, გოფრით, დრაჟის, დრაჟით, იუბილის, იუბილით, კაშნის, კაშნით, კაფის, კაფით, კლიშის, კლიშით, კონფერანსიის, კონფერანსიით, კუპის, კუპით, ჟელის, ჟელით, პენსნის, პენსნით, პიურის, პიურით, პლისის, პლისით, რეზიუმით, რეზიუმით, რელის, რელით, ტირის (დასმა), ტირით (აღინიშნება), ტურნის, ტურნით, ფაქსიმილის, ფაქსიმილით, კონფერანსიის, კონფერანსიით...

არაიშვიათია ამ ტიპის შეცდომები ე-ფუძიან საკუთარ სახელთა დაწერილობაში: სამშვილდეს მხარეში (უნდა იყოს: სამშვილდის მხარეში), ჭაჭაჭაძეს პოემა (უნდა იყოს: ჭაჭაჭაძის პოემა)...

ე-ფუძიანი რიცხვითი სახელებიც ფუძეუკვეცადაა; მართებულია: გიორგი მეხუთის (და არა მეხუთეს) რეფორმები, ერეკლე მეორის (და არა მეორეს) ბრძოლა...

კვეცა ხმოვანფუძიანი სიტყვების, კერძოდ, ა- და ე-ფუძიანი სახელებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა და, როგორც აღინიშნა, გულისხმობს სიტყვის ბოლო ხმოვნის დაკარგვას გარკვეულ შემთხვევებში.

მაგრამ შეიძლება დაიკარგოს არამხოლოდ ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი.

იგივე ა და ე ზოგჯერ ამოვარდება სახელის ფუძის ბოლო მარცვლიდან. შედარებით იშვიათად შეიძლება დაიკარგოს ო-ც. ამ მოვლენას ეწოდება კუმშვა, ფუძის კუმშვა.

ეს ხდება თანხმოვანფუძიან სახელებში.

ესე იგი, კვეცა და კუმშვა ერთი და იგივე მოვლენაა, ორივე ხმოვნის დაკარგვას გულისხმობს, მათ შორის განსხვავებას ქმნის მხოლოდ დაკარგული ხმოვნის პოზიცია: კვეცის შემთხვევაში ფუძის ბოლო ხმოვანი იკარგება, ხოლო კუმშვისას ფუძის ბოლო მარცვლისეული ხმოვანი იკარგება.

კუმშვა თანხმოვანფუძიანი სახელისთვისაა დამახასიათებელი.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა თანხმოვანფუძიანი სიტყვა ფუძეკუმშვადია.

- როგორ სახელებს ეკუმშება ფუძე? როდის იკუმშება სახელის ფუძე?

არსებობს ასეთი ზოგადი წესი: ფუძე უმთავრესად ისეთ სახელებს ეკუმშება, რომელთაც ფუძის ბოლოს უხის მარცვლები: ალ, ელ; ან, ენ; არ, ერ; ამ, ემ; ოლ, ონ, ორ.

ამ წესის მიხედვით ფუძემდებელი გამოდის, მაგალითად, თავმჯდომარე (შდრ. თავმჯდომარის), ხელმძღვანელი (შდრ. ხელმძღვანლის)... სინამდვილეში ეს სახელები ფუძემდებლებია.

მეორე მხრივ, უკუმშველი უნდა იყოს: კაკაბი (შდრ. კაკბის), ნილაბი (შდრ. ნილბის), ყასაბი (შდრ. ყასბის), ნაბადი (შდრ. ნაბდის), ბეჭედი (შდრ. ბეჭდის), სომეხი (შდრ. სომხის)... სინამდვილეში ეს სახელები ფუძემდებლებია.

შევთანხმდეთ, რომ ამ წესის გამოყენებისას გარკვეულ სიფრთხილეს გამოვიჩინოთ და ბრმად არ მივყვებით მას.

სურათი რომ უფრო ნათელი იყოს, წარმოვადგენთ კუმშვადი და უკუმშველი სახელების ნიმუშებს:

ფუძის ბოლო მარცვალია -ალ:

იკუმშება:

კომბალი, ხორბალი, ალუბალი, იღბალი, ნამგალი, ჩანგალი, ფარგალი, დურგალი, დედალი, პედალი, შანდალი, სარდალი, შუამავალი, ორთქმავალი, თავგადასავალი, შესავალი, ჯარგვალი, მძევალი, შარვალი, თებერვალი, მაყვალი, საცვალი, მარცვალი, ძვალი, ვაგზალი, საგზალი, მუგუზალი, სამართალი, კაკალი, ეკალი, ხინკალი, ბარკალი, ნაპერწკალი, მამალი, ტყემალი, ხერხემალი, ხმალი, გენერალი, მწერალი, დედოფალი, უფალი, წყალი, თავშალი, მარშალი, რძალი, ფიწალი, მძახალი, მსხალი, ხანჯალი...

არ იკუმშება:

კანიბალი, გრიგალი, ვანდალი, სკანდალი, ფეოდალი, ფესტივალი, მტარვალი, მწვერვალი, ინტერვალი, შტურვალი, სათალი, ვერტიკალი, კანკალი, ვოკალი, რკალი, დალალი, ნატამალი, რვალი, სიგნალი, არსენალი, ორიგინალი, კარდინალი, კრიმინალი, ფინალი, დიაგონალი, პერსონალი, მკურნალი, ტრიბუნალი, ზარალი, ბრალი, ინტეგრალი, ლიბერალი, მინერალი, მორალი, პასტორალი, კაპრალი, ნაპრალი, მაგისტრალი, ნასუფრალი, დეტალი, მეტალი, ნაშალი, კაპიტალი, პორტალი, კრისტალი, ფანჯალი, ყანყალი, ჩანჩალი, ნაკრძალი...

ფუძის ბოლო მარცვალია -ელ:

აკუმშება:

დამრიგებელი, ფუძემდებელი, ბრალმდებელი, გამომძიებელი, მასწავლებელი, სასწავლებელი, სახამებელი, მამებელი, მზრძანებელი, მშენებელი, მომხმარებელი, მაყურებელი, შემდღულებელი, მტაცებელი, მეზობელი, საგალობელი, მონათმფლობელი, ახლობელი, წელი, მპყრობელი, მშობელი, ღრუბელი, კედელი, მღვდელი, გამდელი, ღუმელი, საყიდელი, მტკაველი, კრაველი, მრჩეველი, მწეველი, რთველი, სარქველი, ნაღველი, შველი, საფუძველი, ფხიზელი, ნათელი, კამათელი, სანათელი, გამომცემელი, სარკმელი, თირკმელი, ტანსაცმელი, საქონელი, წელი, ჭურჭელი, საწნახელი, სავარცხელი, უღელი, სარტყელი, სარეცელი, ფურცელი, მუცელი, სავარძელი, წიფელი, საფეთქელი, კურდღელი, ბეღელი... ყვითელი, წითელი, შიშველი, სქელი, ბრტყელი, ვრცელი, გრძელი, თხელი, ცხელი, ფიცხელი, საძაგელი...

არ იკუმშება:

კაბელი, მოდელი, ნავთსაყუდელი, განსაცდელი, ველი, გველი, მმართველი, ფრინველი, ცხოველი, ყველი, მცველი, მლოცველი, მრეწველი, მკითხველი, ფეხბურთელი, ნაკელი, სათლელი, საშლელი, კარამელი, გამზრდელი, მთქმელი, მსმენელი, მთხოვნელი, მლიქვნელი, გამყიდველი, სახვნელი, მწვრთნელი, მღრღნელი, მთოხნელი, ფანტელი, კაფელი, საღერღელი, ცელი, შნიცელი, ძელი, სახელი, სასჯელი, ჰკუთხელი, უზრდელი, გაუხდელი, ხილველი, მფარველი, საკვირველი, სასურველი, უშურველი, მთესველი, მეტყველი, მიმზამველი, ჯანმრთელი, მოუსვლელი, დაუბმელი, საძებნელი, გაუხედნელი, გასახდელი, აკვარელი... ხმელი, ნელი, ძველი, ძირძველი, ბნელი, ჭრელი, წრფელი, ძნელი...

ფუძის ბოლო მარცვალა -ოლ:

იკუმშება:

ობოლი, გოდოლი, ფოთოლი.

არ იკუმშება:

ბოლი, გოლი, რგოლი, დოლი, ზოლი, მენტოლი, იოლი, ცოკოლი, პროტოკოლი, ოლოლი, მოლი, გნოლი, ნოლი, ყოლი, როლი, პაროლი, ბროლი, ბანდეროლი, ჰოროლი, ნასროლი, სოლი, ტოლი, თანატოლი, ჩოჩქოლი, დამყოლი, მეგრძოლი, ნაწოლი, საწოლი, გამჭოლი...

ფუძის ბოლო მარცვალა -ამ:

იკუმშება:

ლაგამი, ქათამი, ალამი, კალამი, სალამი, წალამი, ელამი, არამი, ჭერამი, ატამი, ვახშამი, ლერწამი...

არ იკუმშება:

დასაბამი, ყელსაბამი, დგამი, ნადგამი, თალგამი, შლამი, გვამი, ბალზამი, ქრთამი, კამკამი, სკამი, თამამი, წამი, ჟამი, წკვარამი, გრამი, ნაგრამი, დრამი, ხრამი, ჩქამი, ბალღამი, წამწამი, მოსასხამი, შხამი, ჯამი...

ფუძის ბოლო მარცვალა -ემ:

იკუმშება:

ირემი, ურემი.

არ იკუმშება:

გემი, ედემი, ნაგვემი, თემი, რეკვიემი, აქლემი, კრემი, ტოტემი, საცემი, გამოსაცემი, ხემი, თხემი, ჯემი...

ფუძის ბოლო მარცვალა -ომ:

ამ შემთხვევაში კუმშვა არ დასტურდება, ანუ შესაბამისი სტრუქტურის ფუძეები უკუმშველია: ომი, გომი, ალბომი, სადგომი, მსკდომი, სანდომი, ნაჯდომი, საზომი, ლომი, დიპლომი, ბოქლომი, სინდრომი, იპოდრომი, კორომი, ნაშრომი, ქვემპრომი, წრომი, ტომი, ატომი, თვისტომი, ნახტომი, ღომი, ცომი, ბორჯომი...

ფუძის ბოლო მარცვალა -ან:

იკუმშება:

საბანი, ლებანი, კიდობანი, უბანი, იაგანი, ბალავანი, საგანი, ზეგანი, ხულიგანი, შიგანი, ჩოგანი, ჩაიდანი, მადანი, დედანი, მოედანი, ქედანი, ჩემოდანი, ლავგარდანი, შადრევანი, ქოთანი, ხელთათმანი, გუთანი, გალაგანი, ფალავანი, ქარავანი, მტევანი, ხეივანი, აკვანი, დიაკვანი, ბუნდოვანი, მაყვლოვანი, სამაროვანი...

არ იკუმშება:

ბანი, ბაბანი, ნაბანი, დასაბანი, ლიბანი, გემბანი, ანბანი, განი, ნაგანი, აბრაგანი, ორგანი, თავანი, ინტრიგანი, უგვანი, თაყვანი, დუშმანი, ბანანი...

ფუძის ბოლო მარცვალა -ენ:

იკუმშება:

შევარდენი, ჯავარდენი, რეგენი, ძღვენი, ყავარჯენი, წვენი, ყურძენი...

არ იკუმშება:

ნაკენი, ნარბენი, სარბენი, აბორიგენი, ზვიგენი, სადენი, ნამყენი, ცრემლდენი, ორდენი, საყრდენი, სასვენი, გობელენი, შვეულმფრენი, ნაყენი, ცხენი...

ფუძის ბოლო მარცვალა -ონ:

იკუმშება:

მონაზონი, მაწონი, საპონი.

არ იკუმშება:

ჟიბონი, გონი, ვაგონი, გასაგონი, ფაეტონი, პაგონი, ეპიგონი, ფურგონი, კაბადონი, იადონი, ბიდონი, სეზონი, გაზონი, გარნიზონი, ლითონი, დრაკონი, ლიმონი, გარმონი, მაკარონი, მირონი, კოცონი...

ფუძის ბოლო მარცვალა -არ:

იკუმშება:

მეძებარი, საგუბარი, ჯიგარი, ლანგარი, მხედარი, ყვარი, მდეგარი, მაწყევარი, ნიაღვარი, ჯვარი, ლახვარი, ცხვარი, ბაზარი, დავთარი, ზამთარი, ფუტკარი, სიზმარი, ტვიფარი, ფეიქარი, ბაწარი, ჭინჭარი...

არ იკუმშება:

ბარი, ნარი, სარი, ზარი, ნუგბარი, მასდარი, მჯდარი, მდგარი, გვარი, კარი, საკმარი, ნასახლარი, ნასოფლარი, ნაციხარი, ფარი, ჭიპლარი, ჯაგნარი, მუხნარი, თხილნარი, ხარი, წინკარი...

ფუძის ბოლო მარცვალა -ერ:

იკუმშება:

დედაბერი, ბებერი, თითბერი, მოზვერი, კისერი, ბოკვერი, ბოცვერი, საცერი, მტერი, მტვერი, მწყერი, მეწყერი, ოფიცერი...

არ იკუმშება:

ფერი, შტერი, სერი, ბერი, გერი, ჩხავერი, ბანერი, წვერი, შველერი, შპალერი...

ფუძის ბოლო მარცვალა -ორ:

იკუმშება:

გოდორი, მინდორი, ნიორი, პამიდორი, კოკორი, ჩოჩორი, ქოჩორი.

არ იკუმშება:

ამბორი, ტბორი, გორი, კორიდორი, მაიორი, დუბლიორი, ჩიკორი, ლორი, შმორი, ნიამორი, ციმორი, დონორი, წნორი, რეჟისორი, ეკვატორი, ინკუბატორი, ინდიკატორი, ავტორი, ფოსფორი, თანასწორი, მონაჭორი...

კუმშვად-კვეცად სახელებში ორი ხმოვანი იკარგება ერთდროულად: ფუძის ბოლო ორი მარცვლიდან ორივე ხმოვანი იკარგება. კუმშვად-კვეცადი სახელი სულ რამდენიმეა:

ფანჯარა:	ფანჯრის, ფანჯრად...
ბეგარა:	ბეგრის, ბეგრად...
ქვეყანა:	ქვეყნის, ქვეყნით...
მოყვარე:	მოყვრის, მოყვრით...
ქარხანა:	ქარხნის, ქარხნით...
ტომარა:	ტომრის, ტომრით...
პეპელა:	პეპლის, პეპლით...

არცთუ იშვიათია ასეთი ფორმები წერით ან ზეპირ მეტყველებაში: მანქნის (ტარება), მანქნით (მიდის). მანქანა არ არის კუმშვად-კვეცადი სახელი, ის არის მხოლოდ ფუძეკვეცადი სახელი, ამდენად, სწორია: მანქანის (ტარება), მანქანით (მიდის).

- სახელთა ბრუნებისას სხვა შემთხვევებსა და თავისებურებებსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება:
- მ-ზე ფუძედაბოლოებულ სახელებს მოთხრობით ბრუნვაში (მხ. რ.) ორი მ მოუდის: ქთამ-ი: ქთამმა თხარა, ლომ-ი: ლომმა იღრიალა, ბარამ-ი: ბარამმა იცის...
- თუ სახელის ფუძე ს-ზე ბოლოვდება, მიცემითში (მხ. რ.) ორი ს გვექნება: ქუთაის-ი: ქუთაისს გასცდა, ფას-ი: ფასს გაიგებს, უმცროს-ი: უმცროსს ჰკითხა...
- თუ სახელის ფუძე ნ-ზე ბოლოვდება, ნართანიანი მრავლობითის სახელობითსა და წოდებითში ორი ნ იქნება: მტევან-ი: მტევანნი ქარვისფერნი, მტევანო ქარვისფერო, ბან-ი: ბანნი დაბალნი, ბანო დაბალნო...

- თუ სახელის ფუძე თ-ზე ბოლოვდება, *ნართანიან მრავლობითში* ორი თ გვექნება: ზვირთ-ი: ზვირთთა ჩქერანი, ბართ-ი: ბართთა დასტა, ნივთ-ი: ნივთთა სიმრავლე...
- თუ სახელის ფუძის დაბოლებად ია გვაქვს, *ნათესაობითსა და მოქმედებითში* ორი ი მოიყრის თავს: ბიოლოგია: ბიოლოგიის სპეციალისტი, ქიმია: ქიმიის მასწავლებელი, აკადემია: აკადემიის წევრი...
- თუ სახელის ფუძე ზ-ზე ბოლოვდება, -ზე თანდებულის დართვისას ორი ზ მოიყრის თავს: თევზ-ი: თევზზე, გაზ-ი: გაზზე, დეზ-ი: დეზზე...
- თუ სახელის ფუძე შ-ზე ბოლოვდება, -ში თანდებულის დართვისას ორი შ მოიყრის თავს: ბალიშ-ი: ბალიშში, კალოშ-ი: კალოშში, ქიშიშ-ი: ქიშიშში...
- თუ სახელის ფუძე თ-ზე ბოლოვდება, -თან თანდებულის დართვისას ორი თ გვექნება: თართ-ი: თართთან, თით-ი: თითთან, ბართ-ი: ბართთან...
- თუ სახელის ფუძე ე-ზე ბოლოვდება, -ებრ თანდებულის დართვისას ორი ე გვექნება: მზე: მზეებრ, კლდე: კლდეებრ, დღე: დღეებრ...
- -ზე და -ში თანდებულების დართვისას მიცემითი ბრუნვის ნიშანი (-ს) იკარგება, მაგრამ ს-ს ინარჩუნებს ამ თანხმობანზე ფუძეგათავებული სახელები:

უნდა იყოს: დმანისში (და არა დმანიში), ქუთაისში (და არა ქუთაიში), თბილისზე (და არა თბილიზე)...

- -თვის თანდებულის ნაცვლად ზოგჯერ -თვინ ფორმას ხმარობენ, რაც არასწორია.

მართებულია: კაცისთვის (და არა კაცისთვინ), დედისთვის (და არა დედისთვინ), მმისთვის (და არა მმისთვინ)...

- -მდე/-მდის თანდებულის ნაცვლად ზოგჯერ -მდინ/მდი ფორმას ხმარობენ, რაც ასევე არასწორია.

მართებულია:

ქალაქამდე||ქალაქამდის (და არა ქალაქამდინ||ქალაქამდი), სოფლამდე||სოფლამდის (და არა სოფლამდინ||სოფლამდი), სახლამდე||სახლამდის (და არა სახლამდინ||სახლამდი)...

- საკმაოდ ხშირია უზუსტობები -გან თანდებულის გამოყენებისას.

დავიმახსოვროთ:

-გან თანდებული ნათესაობითს დაერთვის მაშინ, როდესაც თანდებულდართული ფორმა აღნიშნავს ან მასალას, ან მოქმედების წყაროს, ან მოქმედების მიზეზს და მიუგებს კითხვებზე: ვისგან? რისგან?

წერილი მივიღე მეგობრისგან... და არა: წერილი მივიღე მეგობრიდან...

შაქარს ამზადებენ ჭარხლისგან... და არა: შაქარს ამზადებენ ჭარხლიდან...

- შორის და შუა თანდებულები *ყოველთვის მიცემითი ბრუნვის ფორმასთან* გამოიყენება:
ადამიანებს შორის/შუა (და არა ადამიანების შორის/შუა).
- გარდა გამოიყენება *ნათესაობითის ფორმასთან*: მეზობლების გარდა (და არა მეზობლებს გარდა)
მაგრამ: ამას გარდა.
- იქით და აქეთ, უკან, გაღმა, გამოღმა, გადაღმა, გადმოღმა, შემდეგ (შემდგომ) *ნათესაობითი* ბრუნვის თანდებულებია:

უნდა იყოს:

სოფლის იქით, ხიდის გაღმა, საქათმის აქეთ, მდინარის გამოღმა, შენობის უკან, საძოვრების გადაღმა, სავარგულების გადმოღმა.

დასაშვებია:

ცხრა მთას იქით, ამას იქით, მას აქეთ, მას უკან, პატარა ხანს უკან, ზურგს უკან, პირს უკან...
ცხრა მთას გადაღმა, წყალს გაღმა, წყალს გამოღმა, მას შემდეგ.

მართებულია:

ჩემკენ, შენკენ, ჩვენკენ, თქვენკენ და არა: ჩემსკენ, შენსკენ, ჩვენსკენ, თქვენსკენ.

მართებულია:

ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	გარდა	ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	მერე
ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	უკან	ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	ზევით
ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	შემდეგ/შემდგომ	ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	ქვევით/ქვემოთ
ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	ქვეშ	ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	მაგიერ
ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	გამო	ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	ახლო
ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	წინაშე	ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	შორიახლო
ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	წინ	ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	შორის/შუა...
ჩემ/შენ/ჩვენ/თქვენ	მიერ		

და არა: ჩემს/შენს/ჩვენს/თქვენს გარდა, ჩემს/შენს/ჩვენს/თქვენს უკან...

მართებულია:

მე და შენ შორის/შუა მე და მას შორის/შუა მე და თქვენ შორის/შუა
და არა: ჩემ და შენ შორის/შუა, ჩემ და მას შორის/შუა....

- ვითარებითი ბრუნვის ფორმათა მართლწერა.

მეტად ხშირია შეცდომები ვითარებითი ბრუნვის ფორმათა წარმოდგენისას.

ვითარებითის ნიშანია -ად (თანხმოვანფუძიანებთან და -დ (ხმოვანფუძიანებთან), ანუ, სიტყვის ბოლოს უნდა დაიწეროს დ და არა თ.

მარტივად შეიძლება ამ პრობლემას გავუმკლავდეთ,

თუ დავიმახსოვრებთ, რომ

ბრუნებადი სიტყვის ბოლოს არ შეიძლება დაიწეროს -ათ, -ეთ, ოთ, უთ!

როდესაც სიტყვის ბოლოს ვწერთ -ათ, -ეთ, ოთ, უთ დაბოლოებას, ეს იმას ნიშნავს, რომ შეცდომას ვუშვებთ.

-თ კომპონენტი აქვს მოქმედებით ბრუნვას, მაგრამ დავაკვირდეთ დაბოლოებას: კაც-ი - კაც-ით, დედა - დედ-ით, მზე - მზ-ით, ოქრო - ოქრო-თი, ბუბუ - ბუბუ-თი.

ანუ: სიტყვის -ით და -თი დაბოლოება მისაღებია და მართებულია (ეს სხვა ბრუნვის - მოქმედებითის დაბოლოებაა; ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, შეცდომას არ უშვებენ), მაგრამ უმართებულოა ფორმა, რომელსაც აქვს ათ, ეთ, ოთ, უთ დაბოლოება; სწორია: კაცი - კაცად (და არა კაცათ), დედა - დედად (და არა დედათ), მზე - მზედ (და არა მზეთ), ოქრო - ოქროდ (და არა ოქროთ), ბუბუ - ბუბუდ (და არა ბუბუთ).

ხდება პირიქითაც: სადაც საჭიროა თ, იქ წერენ დ-ს.

დავიმახსოვროთ რამდენიმე ფორმალევილი სიტყვა, რომელთაც ბოლოში თ დაბოლოება აქვს: ალბათ, წინათ, ზევით/ზემოთ, ქვეით/ქვემოთ, შიგნით, გარეთ, აქეთ, იქით, უკეთ, ეგრეთ (წოდებული), გვერდით.

სწორედ ესენია მართებული ფორმები და არა: ალბად, წინად, ზევად/ზემოდ, ქვევად/ქვემოდ, შიგნიდ, გარედ, აქედ, იქიდ, უკედ, ეგრედ (წოდებული), გვერდიდ.

- წოდებითის ფორმათა მართლწერა

ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნიანი საზოგადო სახელი წოდებითში -ო ნიშანს დაირთავს: მმა - მმაო! მზე - მზეო! ყრუ - ყრუო!

შენიშვნა: ზოგჯერ, განსაკუთრებით ლექსებში, დასაშვებია ასეთ შემთხვევაში წოდებითის ნიშნად ვ-ს გამოყენება.

თუ სახელის ფუძე ვ თანხმოვნით ბოლოვდება, ეს ვ შენარჩუნდება წოდებითში: ვარსკვლავ-ი - ვარსკვლავო! (და არა ვარსკვლაო!) მბეჭდავ-ი - მბეჭდავო! (და არა მბეჭდაო!) მერყევ-ი - მერყევო! (და არა მერყეო!)..

დავიმახსოვროთ:

- ადამიანის საკუთარ სახელებს წოდებითი ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის:

პეტრე! (და არა პეტრო! ან პეტრევი!), დავით! (და არა დავითო! ან დავითი!), გვანცა! (და არა გვანცაო! ან გვანცავ!)...

- ადამიანთა გვარები, რომელთაც -მე, -ვა, -უა და -ია დაბოლოება აქვს, წოდებებში ბრუნვის ნიშნის გარეშე იხმარება:
ხუნდამე! (და არა ხუნდაძე!), ლაგვილავა! (და არა ლაგვილავავ!), ხუბუა! (და არა ხუბუავ!), ბართაია! (და არა ბართაიავ!)...
- ბოლოთანხმოვნიანი გვარები წოდებებში -ო ნიშანს დაირთავენ:
გეგეჰკორი - გეგეჰკორო! (და არა გეგეჰკორი!), წერეთელი - წერეთელო! (და არა წერეთელი!), იაშვილი - იაშვილო! (და არა იაშვილი!)..
- თანხმოვანზე დაბოლოებული უცხოური გვარები წოდებებში ქართულად უნდა გაფორმდეს:
ლებედევი - ლებედევი! (და არა ლებედევი!), მიხაილოვი - მიხაილოვი! (და არა მიხაილოვი!), ივანოვი - ივანოვი! (და არა ივანოვი!), პეტროვი - პეტროვი! (და არა პეტროვი!)...
- უცხოურიდან მომდინარე ტიტულები წოდებებში ქართულად უნდა გაფორმდეს მაშინაც, როცა დამოუკიდებლადაა ნახმარი და მაშინაც, როცა მსაზღვრელადაა გამოყენებული:
ბარონი - ბარონო! (და არა - ბარონ!), გრაფი - გრაფო! (და არა გრაფ!), მარკიზი - მარკიზო! (და არა მარკიზი!)... ჰერცოგი ველინგტონი - ჰერცოგო ველინგტონო! (და არა ჰერცოგო ველინგტონ! ან ჰერცოგ ველინგტონ!), გრაფი გლოსტერი - გრაფო გლოსტერო! (და არა გრაფო გლოსტერ! ან გრაფ გლოსტერ!)...
- რიცხვითი სახელების მართლწერასთან დაკავშირებით ყურადღება მივაქციოთ შემდეგ საკითხებს:

ერთად იწერება:

და-თი შეერთებული რაოდენობითი რიცხვითი სახელები (ასევე: ორასი, სამასი, ოთხასი... ათასი): ოცდასამი, ორმოცდაერთი, ოთხმოცდაშვიდი, სამოცდათხუთმეტი...

ცალ-ცალკე იწერება დანარჩენი რიცხვითი სახელები:

ას ოცდაორი

და არა: ასოცდაორი

ოცი ათასი

და არა: ოციათასი

ათას ცხრაას სამოცდაორი და არა: ათასცხრაასსამოცდაორი/ათასცხრაას სამოცდაორი..

რიგობითი რიცხვითი სახელი არაბულად ასე გამოიხატება:

- თუ მაწარმოებელი მე- თავში აქვს რიცხვითს, მაშინ ჯერ ეს მაწარმოებელი იწერება, შემდეგ დეფისი და ბოლოს სათანადო რიცხვითი სახელი: მე-9, მე-15, მე-40...
- თუ მაწარმოებელი მე- რთული რიცხვითი სახელის შიგნითაა, მაშინ ჯერ იწერება რიცხვი, შემდეგ კი დეფისით -ე: 65-ე (სამოცდამეხუთე), 47-ე (ორმოცდამეშვიდე), 199-ე (ას ოთხმოცდამეცხრამეტე)...
- და კავშირით შეერთებულ რიგობით რიცხვით სახელთან მე- თავსართი ამ და-ს შემდეგ იქნება: ოცდახუთი – ოცდამეხუთე (და არა მეოცდახუთე), ორმოცდასამი – ორმოცდამესამე (და არა მეორმოცდასამე), სამოცდათხუთმეტი – სამოცდამეთხუთმეტე (და არა მესამოცდათხუთმეტე)...
- როცა რიგობითი რიცხვითი სახელების გამოსახატავად გამოყენებულია რომაული ციფრები, არანაირი მაწარმოებელი (არც თავსართი და არც ბოლოსართი) ამ ციფრებს არ სჭირდება:

VII	–	იკითხება, როგორც მეშვიდე.
XII	–	იკითხება, როგორც მეთორმეტე.
XVIII	–	იკითხება, როგორც მეთვრამეტე.

შეცდომა:

მე-VII, მე-VII-ე ან VII-ე, მე-XII, მე-XII-ე ან XII-ე, მე-XVIII, მე-XVIII-ე ან XVIII-ე.

მართებული ფორმებია:

ექვსი	და არა: ექსვი
თექვსმეტი	და არა: თექს(ვ)მეტი
თხუთმეტი	და არა: თუთხმეტი ან ხუთმეტი
თვრამეტი	და არა: თრვამეტი
პირველი	და არა: მეერთე
ოცდამეერთე	და არა: ოცდაპირველი

ნაცვალსახელებთან დაკავშირებით დავიმახსოვროთ:

- უმართებულო ფორმა ვინები: ვინ ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვის ფორმა არ გააჩნია.

მართებულია:

ჩემი და მისი საუბარი	და არა: მე და მისი საუბარი
ჩემი და მათი სათქმელი	და არა: მე და მათი სათქმელი

ხშირია ამ ტიპის შეცდომები:

თითოეული ჩვენთაგანი/თქვენთაგანი/მათთაგანი;

სწორია:

თითოეული ჩვენგანი/თქვენგანი/მათგანი

შეცდომაა:

მათმა გააკეთეს, მათმა დაწერეს... მათ საქმემ, მათ გმირობამ

დავიმახსოვროთ:

ზმნასთან არ შეიძლება იყოს მათმა, ყოველთვის იქნება მათ: მათ თქვეს, ჭამეს, დაწერეს, გააკეთეს...

დავიმახსოვროთ:

მართებული ფორმა თითოეული (და არა: თვითეული, თითეული ან თვითოეული).

- ამოსავალ ბრუნვაში, სახელობითში გვაქვს: ერთი და იგივე (საქმე...). **შეცდომაა:** ერთი და იგივემ (ან: ერთმა და იგივემ), ერთი და იგივეს...

დავიმახსოვროთ მართებული ფორმები: ერთმა და იმავემ, ერთსა და იმავეს...

ასევე არასწორია: იგივე კაცმა, ერთი და იგივე კაცმა... იგივე კაცს, ერთი და იგივე კაცს... იგივე კაცის, ერთი და იგივე კაცის...

იგივე მხოლოდ სახელობითში გვექნება, სხვა ბრუნვებში მას ცვლის **იმავე:** იმავე კაცმა, ერთმა და იმავე კაცმა... იმავე კაცს, ერთსა და იმავე კაცს... იმავე კაცის, ერთი და იმავე კაცის...

- პირველი, მეორე და მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელებით გადმოცემულ განსაზღვრებას (**ჩემი/შენი/მათი**) უნდა დაერთოს -ს ნიშანი მიცემითსა და ვითარებითში:

ჩემს/შენს/მათს ახლობელს/ახლობლად...

- საკმად ხშირია უზუსტობები თავისი და მისი (იმისი) ნაცვალსახელების გამოყენებისას. ესენი მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელებია. ორივე გამოხატავს მესამე პირის კუთვნილებას, მაგრამ სხვადასხვაგვარად.

თავისი გვაქვს, თუ საგანი თვითონ მას, მოქმედს ეკუთვნის. დამახასიათებელი და გავრცელებული უზუსტობაა, როცა უნდა გამოვიყენოთ თავისი, მაგრამ გამოიყენება მისი:

მართებულია:

ყვავსაც თავისი ბაზალა მოსწონსო (და არა: ყვავსაც მისი ბაზალა მოსწონსო);

მამამ თავისი ფეხსაცმელი გაიხადა (და არა: მამამ მისი ფეხსაცმელი გაიხადა);

ლამურამ დაწყევლა თავისი გაჩენა (და არა: ლამურამ დაწყევლა მისი გაჩენა)

მწერალმა თავისი წიგნი მაჩუქა...

აქედან ჩანს, რომ:

ბახალა არის ყვავის
ფეხსაცმელი არის მამის
ლამურამ საკუთარი გაჩენის დღე დასწყევლა
წიგნი მწერლისაა.

თავისი-ს სინონიმად ამ შემთხვევაში ბუნებრივად გვევლინება საკუთარი; ასე რომ, ეს წინადადებები შეიძლება ასე გადავწეროთ და აზრი იგივე დარჩება:

ყვავსაც საკუთარი ბახალა მოსწონსო;
მამამ საკუთარი ფეხსაცმელი გაიხადა;
ლამურამ დაწყევლა საკუთარი გაჩენა;
მწერალმა საკუთარი წიგნი მაჩუქა.

თუ საგანი ეკუთვნის არა მოქმედს, არამედ სხვას, მაშინ (ი)მისი ნაცვალსახელი გამოიყენება; მაგ.:

„ჩემი ძმა მეგობრობს ცნობილ მწერალთან და ძალიან მოსწონს მისი შემოქმედება“ - აქედან ჩანს, რომ ჩემს ძმას მოსწონს არა საკუთარი, არამედ სხვისი (ცნობილი მწერლის) შემოქმედება - შემოქმედება სხვას ეკუთვნის, სხვისია;

აქ და მსგავს შემთხვევებში მისი რომ ჩავანაცვლოთ სიტყვით საკუთარი, წინადადების აზრი შეიცვლება.

ყველთვის ერთნაირად აქტუალურად არ დგას ამ ფორმათა გარჩევის საკითხი; ვნახოთ ასეთი მაგალითები:

„მისი ჭადარა ჭირხლია“ (ილია); „მისი ნახვა ძალიან გამეხარდებოდა“ (ნ. ლომოური); „იმისი ყოფაცხოვრება დაუღვეელი ზღვა იყო“ (აკაკი)... – ამ შემთხვევებში ქართული ენის პრაქტიკულად მცოდნე არ იფიქრებს, რომ მისი შეცვალოს და დაწეროს (ან თქვას) თავისი.

მაგრამ ზოგჯერ საჭირო ხდება ფორმის სწორად შერჩევაზე დაფიქრება და ამ დროს საერთო კონტექსტს უნდა დავუკვირდეთ.

- მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას პრობლემატურია ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმათა სწორად წარმოდგენა;

დავიმახსოვროთ სწორი ფორმები:

ლამაზი სანახაობის (და არა ლამაზ სანახაობის), პროფესორი მანჯგალაძის (და არა პროფესორ მანჯგალაძის)

ლამაზი სანახაობით (და არა ლამაზ სანახაობით), პროფესორი მანჯგალაძით (და არა პროფესორ მანჯგალაძით)

❖ სიტყვაწარმოება

ბრუნებისას იცვლება სიტყვის ფორმა, მაგრამ არ იცვლება მისი ლექსიკური მნიშვნელობა (კაც-ი, კაცმა, კაცს... ლექსიკურად ერთი ოდენობაა). სახელთა წარმოქმნისას იცვლება სიტყვის ფორმაც და მნიშვნელობაც. ნაწარმოებ (წარმოქმნილ) და ამოსავალ სიტყვებს საერთო ამოსავალი ძირი აქვთ, მაგრამ შინაარსის (მნიშვნელობის) მხრივ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ვ-ს შენარჩუნების, დაკარგვისა და გაჩენის შემთხვევები წარმოქმნილ სახელებში

ვ შენარჩუნდება:

- იმ შემთხვევაში, როდესაც ის -ურ სუფიქსის წინ დგას: დათვი: დათვური (და არა დათური), ვარსკვლავი: ვარსკვლავური (და არა ვარსკვლავური), ლიტვა: ლიტვური (და არა ლიტური)...
- -ობა ბოლოსართის წინ, თუ ბოლოკიდურ ვ-ს წინ თანხმოვანი უძღვის: ბრიყვი: ბრიყვობა (და არა ბრიყობა), მორცხვი: მორცხვობა (და არა მორცხობა), პირუტყვი: პირუტყვობა (და არა პირუტყობა)...
- -ოვან ბოლოსართის წინ, თუ ბოლოკიდურ ვ-ს წინ თანხმოვანი უძღვის: მარღვი: მარღვოვანი (და არა მარღვანი), ბეწვი: ბეწვოვანი (და არა ბეწვანი)...

**მაგრამ: რიგები: მრავალრიგოვანი (და არა მრავალრიგოვანი).*

- უ- – -ო თავსართ-ბოლოსართის დართვისას -ო ბოლოსართის წინ: სახურავი: უსახურავო (და არა უსახურაო), ინიციატივა: უინიციატივო (და არა უინიციატიო), სიტყვა: უსიტყვო (და არა უსიტყო)...

**მაგრამ: მოძრავი: უმოძრაო (და არა უმოძრავო).*

- სა- – -ო თავსართ-ბოლოსართის დართვისას -ო ბოლოსართის წინ: ერისთავი: საერისთავო (და არა საერისთაო), დავა: სადავო (და არა სადაო), ნათესავი: სანათესავო (და არა სანათესაო)...

**მაგრამ: საკლავი: სასაკლავო (და არა სასაკლავო), მრეცხავი: სამრეცხაო (და არა სამრეცხავო), საფლავი: სასაფლაო (და არა სასაფლავო), პატივი: საპატიო (და არა საპატივო), კაცობრივი: საკაცობრიო (და არა საკაცობრივო), ნაძლევი: სანაძლეო (და არა სანაძლეო)...*

- მო- – -ო თავსართ-ბოლოსართის დართვისას -ო ბოლოსართის წინ: შავი: მოშავო (და არა მოშაო), მყავე: მომყავო (და არა მომყაო) ბეჩავი: მობეჩავო (და არა: მობეჩაო)...

ვიკარგება:

- **-ობა** ბოლოსართის წინ, თუ ამ ვ-ს წინ თანხმოვანი არ უძღვის: თავი: თაობა (და არა თავობა), ნათესავი: ნათესაობა (და არა ნათესავობა), გამბედავი: გამბედაობა (და არა გამბედავობა)...

***მაგრამ:** ერისთავი: ერისთავობა (და არა ერისთაობა), მოურავი: მოურავობა (და არა მოურაობა), მუდმივი: მუდმივობა (და არა მუდმიობა), მრავალმხრივი: მრავალმხრივობა (და არა მრავალმხრიობა), ხანგრძლივი: ხანგრძლივობა (და არა ხანგრძლიობა)...

- რთული **-ი(ვ)-ობა** ბოლოსართის წინ: საზოგადოებრივი: საზოგადოებრიობა (და არა საზოგადოებრივობა), მიზეზობრივი: მიზეზობრიობა (და არა მიზეზობრივობა), ბუნებრივი: ბუნებრიობა (და არა ბუნებრივობა)...

***მაგრამ:** მრავალმხრივი: მრავალმხრივობა (და არა მრავალმხრიობა), მუდმივი: მუდმივობა (და არა მუდმიობა), ცალმხრივი: ცალმხრივობა (და არა ცალმხრიობა), ხანგრძლივი: ხანგრძლივობა (და არა ხანგრძლიობა)...

- **-ოსან** ბოლოსართის წინ, თუ ამ ვ-ს წინ თანხმოვანი არ უძღვის: თავი: თაოსანი, თაოსნობა (და არა თავოსანი/თავოსნობა), პატივი: პატიოსანი (და არა პატივოსანი, ვეფხის ტყავი: ვეფხისტყაოსანი (და არა ვეფხისტყავოსანი)...

***მაგრამ:** სხივი: გასხივოსნება, გასხივოსნებული.

- **-ურ** ბოლოსართის წინ, თუ ამ ვ-ს წინ თანხმოვანი არ უძღვის: ფშავი: ფშაური (და არა ფშავეური), კოლექტივი: კოლექტიური (და არა კოლექტივური), პასივი: პასიური (და არა პასივეური)...

***მაგრამ:** მოსკოვი: მოსკოვეური (და არა მოსკოური), თავი: თავური (და არა თაური), სლავი: სლავური (და არა სლაური), სტახანოვი: სტახანოვეური (და არა სტახანოური)...

- **უ- – -ურ** თავსართ-ბოლოსართის დართვისას **-ურ** ბოლოსართის წინ, თუ ამ ვ-ს წინ თანხმოვანი არ უძღვის: თავი: უთაური (და არა უთავური)...

- **მე- – -ურ** თავსართ-ბოლოსართის დართვისას **-ურ** ბოლოსართის წინ, თუ ამ ვ-ს წინ თანხმოვანი არ უძღვის: თავი: მეთაური (და არა მეთავური)...

- **სა- – -ურ** თავსართ-ბოლოსართის დართვისას **-ურ** ბოლოსართის წინ, თუ ამ ვ-ს წინ თანხმოვანი არ უძღვის: თავი: სათაური (და არა სათავური)...

- **სი- – -ო** თავსართ-ბოლოსართის დართვისას **-ო** ბოლოსართის წინ: მსხვილი: სიმსხო (და არა სიმსხვო)...

- **სა- – -ო** თავსართ-ბოლოსართის დართვისას **-ო** ბოლოსართის წინ: პატივი: საპატიო (და არა საპატივო)...

- -უნ-ა ბოლოსართით კნინობითის წარმოებისას -უ-ს წინ: მყავე; მყაუნა (და არა მყავუნა), დათვი: დათუნა (და არა დათვუნა)...
- -უჩ-ა ბოლოსართით წარმოებისას -უ-ს წინ: დათვი: დათუჩა (და არა დათვუჩა)...

ვ ჩნდება:

- მე- – -ე თავსართ-ბოლოსართით წარმოებისას -ე-ს წინ: ტყე – მეტყევე, რძე – მერძევე, ეზო: მეეზოვე (და არა მეეზოე)...
- სა- – -ე თავსართ-ბოლოსართით წარმოებისას -ე-ს წინ: რძე: სარძევე, ეზო: საეზოვე (და არა საეზოე)...
- სი- – -ე თავსართ-ბოლოსართით წარმოებისას ა ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებთან -ე-ს წინ: კობტა: სიკობტავე, ბრმა: სიბრმავე, სუფთა: სისუფთავე...
- სი- – -ე თავსართ-ბოლოსართით წარმოებისას ო ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებთან -ე-ს წინ: ფართო: სიფართოვე (და არა სიფართოე), ვიწრო: სივიწროვე (და არა სივიწროე), ახლო: სიახლოვე (და არა სიახლოე)...

ვ არ ჩნდება:

-უ-ბოლოსხმოვნიანთაგან ნაწარმოებ სახელებში: ყრუ: სიყრუე (და არა სიყრუევე), ცრუ: სიცრუე (და არა სიცრუევე), ბლუ: სიბლუე (და არა სიბლუევე)...

როგორც წარმოდგენილი ნიმუშებიდან ჩანს, საკმაოდ ხშირად ძნელია მკაცრი კანონზომიერების დადგენა, როდის ჩნდება ან იკარგება ვ, ამიტომ მოგვიწევს გავრცელებული ფორმების დამახსოვრება.

ერთნაირი ბგერების თავმოყრა სიტყვაწარმოებისას

- თუ სიტყვა ა-ზე იწყება, სა- თავსართის დართვისას ორი ა გვექნება: არჩევანი: საარჩევნო, ადრე: საადრეო, ავადმყოფი: საავადმყოფო (და არა სავადმყოფო)...
- თუ სიტყვა ა-ზე იწყება, ნა- თავსართის დართვისას ორი ა მოიყრის თავს: ადრე: ნაადრევი, ანდერძი: ნაანდერძევი, აბანო: ნააბანოვარი...

- თუ სიტყვა ი-ზე იწყება, სი- თავსართის დართვისას ორი ი მოიყრის თავს: იაფი: სიიაფე, იოლი: სიიოლე...
- თუ სიტყვა ე-ზე იწყება, მე- თავსართის დართვისას ორი ე მოიყრის თავს: ეტლი: მეეტლე, ექსკავატორი: მეექსკავატორე, ეზო: მეეზოვე...
- თუ სიტყვა უ-ზე იწყება, უ- თავსართის დართვისას ორი უ მოიყრის თავს: უნარი: უუნარო, უფლება: უუფლებო, უღვაში: უუღვაში, უფროსი: უუფროსო, უღელი: უუღლო...
- თუ სიტყვა ო-ზე ბოლოვდება, -ო ბოლოსართის დართვისას ორი ო მოიყრის თავს: დრო: უდროო, სასო: უსასოო, სარჩო: უსარჩოო, ხბო: უხბოო, ბოლო: უბოლოო...

რთული სიტყვები (კომპოზიტები)

რთული სიტყვები ორი ან მეტი სიტყვის შეერთებით მიიღება (თავ + დადებული = თავდადებული... და + ძმა = და-ძმა).

კომპოზიტები შეიძლება ერთმანეთთან დაკავშირებული იყოს დეფისით ან უდეფისოდ, ერთად.

დეფისით იწერება:

- რაიმე ნიშნის მიხედვით ახლოს მდგომი საგნების სახელები: დედ-მამა, ტოლ-ამხანაგი, ტოლ-სწორი, ბედ-იღბალი, ხელ-ფეხი...
- ფუძეგაორკეცებული რიცხვითი სახელები: ორ-ორი, ათ-ათი, ას-ასი, ათას-ათასი...
- სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული რთული რიცხვითი სახელები: ორი-სამი, სამი-ოთხი, ორასი-სამასი, ხუთასი-ექვსასი, შვიდასი-რვაასი...
- სიტყვა ნახევარი სათანადო რიცხვითთან: სამ-ნახევარი, შვიდ-ნახევარი, ცხრა-ნახევარი...
- ფუძეგაორკეცებული ზედსართავეები: ცივ-ცივი, ცხელ-ცხელი, მაღალ-მაღალი, ლამაზ-ლამაზი, სქელ-სქელი...
- ფუძეგაორკეცებული ნაცვალსახელები: ის-ის (იყო), ვიღაც-ვიღაცა, ეს-ეს (არის)...
- ფუძეგაორკეცებული ზმნიზედები: ტყე-ტყე, მინდორ-მინდორ, უბან-უბან, მთა-მთა, ქუჩა-ქუჩა...

უდეფისოდ (ერთად) იწერება:

- ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა ფუძეები მნიშვნელობას მოკლებული მარცვლებია: ბაჯბაჯი, ჩიფჩიფი, რაკრაკი, ძაგძაგი, ბუტბუტი...
- კომპოზიტები, რომელთა ფუძეშიც ხმოვნის ან თანხმოვნის შენაცვლება, ან თანხმოვნის დამატება ხდება: ჩხარაჩხური, არემარე, ავანჩავანი, ბალახბულახი, რაკარუკი...
- და კავშირით შეერთებული ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები: თანდათან, პირდაპირ, სხვადასხვა, წინდაწინ, ოცდახუთი...
- არსებითი სახელის ფუძესთან არსებითი სახელის, მიმღობის, ზედსართავი სახელის ან რიცხვითი სახელის ფუძის შეერთებით მიღებული კომპოზიტები: გლუხკაცი, თავშესაფარი, ლოყაწითელი, ორპირიანი, სამყურა...
- რთული სიტყვები, რომელთა პირველი ნაწილი ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი: ბედისწერა, გულისხმიერი, ძმისწული, კარისკაცი, ცისკარი, ღონისძიება...
- ნათესაობითის ფორმისგან ნაწარმოები კომპოზიტები, როდესაც ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ნაწილობრივ ან მთლიანად მოკვეცილია: ბატონიშვილი, მამინაცვალი, შვილიშვილი, მამულიშვილი, რკინიგზა... ცხვირსახოცი, ბაკურციხე, პირსახოცი, ხელსაქმე, გაზსადენი...
- სახელის მიცემითი ბრუნვის ფუძეს შეერთებული (ს-მოკვეცილი) თანდებულიანი ფორმები: ლოდებშუა, ჭერქვეშ, კაკალქვეშ, თავქვეშ, თვალწინ...
- რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელები თერთმეტიდან ცხრამეტამდე, ოცეულის გამომხატველი სახელები (ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი), ასეულების შემცველი სახელები (ორასი, სამასი...): თერთმეტი, ორმოცი, ორასი...
- და-კავშირიანი რიცხვითი სახელები: ოცდაშვიდი, ორმოცდაოთხი, ოთხმოცდაათი...
- მრავალწევრიანი კომპოზიტები: თავქუდმოგლეჯილი, თავგზააბნეული, წვერულვაშგაპარსული, თავზარდამცემი, გულხელდაკრეფილი...
- ნათესაობის აღმნიშვნელი კომპოზიტებისა და ნაცვალსახელების ნაერთი: დედაჩემი, მამაშენი, ბებიაჩემი, ბაბუათქვენი, ბიძამისი...

• დეფისიანი კომპოზიციებისაგან სხვადასხვა (-ობა, -იან, სა- - -ო, სა- - -ე, უ- - -ო, მო- - -ე...) აფიქსის დართვით ნაწარმოები ახალი კომპოზიციები:

და-ძმა – დამძური (და არა და-ძმური), დამძობა (და არა და-ძმობა), დამძიანი (და არა და-ძმიანი)...

სახლ-კარი – სახლკარიანი (და არა სახლ-კარიანი), უსახლკარო (და არა უსახლ-კარო), სახლკარიანობა (და არა სახლ-კარიანობა)...

ცოლ-შვილი – უცოლშვილო (და არა უცოლ-შვილო), ცოლშვილიანი (და არა ცოლ-შვილიანი), საცოლშვილო (და არა საცოლ-შვილო)...

ჩოხა-ახალუხი – ჩოხაახალუხიანი (და არა ჩოხა-ახალუხიანი), უჩოხაახალუხო (და არა უჩოხა-ახალუხო)...

ქალ-ვაჟი – უქალვაჟო (და არა უქალ-ვაჟო), ქალვაჟიანი (და არა ქალ-ვაჟიანი)...

• უცხო წარმომავლობის აფიქსებით ან შემოკლებული სიტყვებით ნაწარმოები ფორმები:

ანტისხეული (და არა ანტი-სხეული), ანტიქართული (და არა ანტი-ქართული), ანტიფაშისტი (და არა ანტი-ფაშისტი), ანტისაბჭოთა (და არა ანტი-საბჭოთა)...

პრესცენტრი (და არა პრეს-ცენტრი), პრესბიურო (და არა პრეს-ბიურო), პრესატაშე (და არა პრეს-ატაშე), პრესკონფერენცია (და არა პრეს-კონფერენცია)...

სპეცდავალეზა (და არა სპეც-დავალეზა), სპეცრეისი (და არა სპეც-რეისი), სპეცტანსაცემელი (და არა სპეც-ტანსაცემელი), სპეცშეკვეთა (და არა სპეც-შეკვეთა)...

პოლიტპატიმარი (და არა პოლიტ-პატიმარი), პოლიტბიურო (და არა პოლიტ-ბიურო), პოლიტმუშაკი (და არა პოლიტ-მუშაკი), პოლიტსაბჭო (და არა პოლიტ-საბჭო)...

ექსპრეზიდენტი (და არა ექს-პრეზიდენტი), ექსმინისტრი (და არა ექს-მინისტრი), ექსტრემიზმი (და არა ექს-ტრემიზმი), ექსკაპიტანი (და არა ექს-კაპიტანი)...

მულტიმედია (და არა მულტი-მედია), მულტიმილიონერი (და არა მულტი-მილიონერი), მულტილინგვური (და არა მულტი-ლინგვური), მულტიპლიკაცია (და არა მულტი-პლიკაცია)...

პოსტსაბჭოთა (და არა პოსტ-საბჭოთა), პოსტმოდერნისტული (და არა პოსტ-მოდერნისტული), პოსტიმპერიალისტური (და არა პოსტ-იმპერიალისტური), პოსტსკრიპტუმი (და არა პოსტ-სკრიპტუმი)...

❖ უღლებადი სიტყვა – ზმნა.

ერთნაირი ბგერები ზმნის ფორმაში

როდის იწერება ორი ვ?

თუ ზმნის ფუძე ვ ბგერით იწყება, პირველი სუბიექტური პირის ნიშნის დართვისას ორი ვ მოიყრის თავს: ვარჯიში – ვვარჯიშობ, ვაჭრობა – ვვაჭრობ, ვარცხნა – ვვარცხნი...

მაგრამ:

ვალ: მოვალ (და არა მოვვალ), ვედ: მოვედი (და არა მოვევედი).

ასევე ორი ვ იქნება ვ ბგერით დაწყებულ ზმნებში მრ. რ.-ის პირველი ობიექტური პირის გვ-ნიშნის უშუალო დართვისას მესამე სერიის ფორმებში: გვევაჭრება – შეგვევაჭრებია, გვივარდება – გაგვევარდნია, გვევედრება – შეგვევედრებია...

- თუ ზმნის ფუძე მ ბგერით იწყება, მხ. რიცხვის პირველი ობიექტური პირის მ ნიშნის დართვისას ორი მ მოიყრის თავს: მატება – მმატებს, მართება – მმართებს, მალვა – მმალავს, მტერი – მმტრობს...
- თუ ზმნის ფუძე გ ბგერით იწყება, მეორე ობიექტური პირის ნიშნის დართვისას ორი გ გვექნება: გზავნა – გგზავნის, გუღვა – გგუღვავს, გლეჯა – გგლეჯს...
- თუ ზმნის ფუძე გვ ბგერებით იწყება, მრ. რიცხვის პირველი ობიექტური პირის ნიშნის დართვისას ორი გვ- გვექნება: გვრა – გვგვრის, გვემა – გვგვემს, დაგვიანება – დაგვგვიანებია...
- ორი ა გვექნება, თუ ა-, ჩა-, გა-, გადა-, წა-, და- ზმნისწინებს მოსდევს საარვისო ქცევის ნიშანი ა ან ზმნის ფუძე იწყება ა ბგერით: გადარჩენა – გადაარჩენს, წათრევა – წაათრევს, დახრჩობა – დაახრჩობს, ადგილი – გადაადგილდება, ახალი – გაახლდება, ავი – გაავდება...
- როდის იწერება სამი ა? დავაკვირდეთ და შევამჩნევთ, რომ ამის უმთავრესი პირობაა, რომ ზმნის ფუძე იწყებოდეს ა-თი

უბრალოდ, შეგვიძლია ეს ფორმები დავიმახსოვროთ; გააანალიზებს – გააანალიზა, გაადვილებს – გაადვილა, გააავებს – გააავა, დააარსებს – დააარსა, – დააანონსებს – დააანონსა, გაახლებს – გაახლა, გააბრავებს – გააბრავა, გაადამიანებს – გაადამიანა, გაადამიანურებს – გაადამიანურა, გაავაზაკებს – გაავაზაკა, დაავადებს/დაავადემყოფებს – დაავადა/დაავადემყოფა, დაავანსებს – დაავანსა, დააანგარიშებინებს/გადააანგარიშებინებს – დააანგარიშებინა/გადააანგარიშებინა, გადაადგილებს – გადაადგილა...

- ორი ი გვექნება, თუ მი-ზმნისწინს მოსდევს სათავისო ქცევის ან ვნებითი გვარის ი-ნიშანი: ითვისებს – მიითვისებს, იბარებს – მიიბარებს, ისაკუთრებს – მიისაკუთრებს, იპარება – მიიპარება...
- ასევე ორი ი გვექნება, თუ სათავისო ქცევის ნიშანი აღმოჩნდება ი ბგერით დაწყებული ფუძის წინ: იოლი – იიოლებს, იმედი – იიმედებს, იაფი – იიაფებს...
- ორი ე ბგერა გვექნება იმ შემთხვევაში, თუ შე- ზმნისწინის შემდგომ ვნებითის ე-ნიშანი მოდის: ედრება – შეედრება, ეხება – შეეხება, ეკვება – შეეკვება...
- შეიძლება ზმნაში სამი ე გვექონდეს: ერთი – შეერთებინა.

- თუ ზმნის ფუძე უ ბგერით იწყება, სასხვისო ქცევის ფორმაში ორი უ გვექნება: უმჯობესი – გაუმჯობესა, უთო – გაუუთოვა, უარესი – გაუუარესა...
- ორი დ მოიყრის თავს ფუძისეული დ-სა და ვნებითის დ ნიშნის შეხვედრისას: ავადა – დაავადდა, თავადი – გათავადდა, დიდი – გადიდდა, მშვიდი – დამშვიდდა...
- ო ბგერით დაწყებულ ნაზმნარ სახელებს მო- ზმნისწინების დართვისას ორი ექნება: მოოქვრა – მოოქროვილი, მოოხება – მოოხებული, მოოჰვა – მოოჰვილი...
- მ- ბგერით დაწყებულ ნაზმნარ სახელში (მიმღეობაში) მ- პრეფიქსიანი წარმოებისას ორი მ გვექნება: მართვა – მმართველი, მუსვრა – მმუსვრელი, მალვა – დამმალავი...

ზმნის პირის ნიშნები

ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი ან სამპირიანი. ეს პირები ზმნის ფორმაშიც აისახება სპეციალური ნიშნებით.

ერთპირიანია, მაგალითად, დღუმ-ს (ის) ზმნა, ეს ერთი პირი სუბიექტური პირია და მისი აღმნიშვნელია ზმნის ბოლოში წარმოდგენილი -ს.

ხატავ (შენ მას) ზმნა ორპირიანია, მაგრამ ეს პირები ზმნის ფორმაში არ არის გამოხატული.

ასევე ორპირიანი, ვთქვათ, ჰ-ყავ-ს (მას ის) ზმნა. ჰ- თავსართი და -ს ბოლოსართი სწორედ ამ ორ პირს აღნიშნავს, ესე იგი, ამ შემთხვევაში ორივე პირი გამოხატულია.

სამპირიანია ჰ-პირდებ-ა (ის მას მას); ამ სამიდან ორი პირის გამოხატველი ნიშნებია ზმნის ფორმაში: ჰ- ირიბი ობიექტის ნიშანია, -ა - სუბიექტური პირის.

დავიმახსოვროთ:

პირდაპირი ობიექტი ზმნის ფორმაში სპეციალური ნიშნით არ აღინიშნება.

აუცილებელია ზმნის ირიბი ობიექტის აღნიშვნა თანხმობების წინ ჰ- ან ს- თავსართებით. ერთპირიანი ზმნის შემთხვევაში არ დგას საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა საჭირო ჰ- ან ს- თავსართი: არ არის საჭირო! – იმიტომ, რომ აქ არ გვაქვს ირიბი ობიექტი, გვაქვს მხოლოდ ერთი პირი და ეს პირი არის სუბიექტური პირი.

ასევე არ დგას ეს საკითხი სამპირიანი ზმნის შემთხვევაში: აქ თავსართი საჭიროა! – იმიტომ, რომ გვაქვს სამივე პირი და, ბუნებრივია, მათ შორის, ირიბიცაა.

საკითხი რთულდება იმ შემთხვევაში, როდესაც გვექვს ორპირიანი ზმნა. ამ ორი პირიდან ერთი სუბიექტურია, ხოლო მეორე ობიექტური, – სწორედ ამ ობიექტური პირის სტატუსი უნდა გავარკვიოთ.

როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგან პირდაპირი და ირიბი ობიექტი?

ავიღოთ ასეთი ზმნა: **ხატავს** (ის მას). სუბიექტური (მთავარი, მოქმედი) პირია ის, ობიექტური (არამთავარი, სამოქმედო) პირია მას. ზმნა გადავიყვანოთ წარსულ დროში, კერძოდ, **წყვეტილში** (წყვეტილის ფორმებია: გააკეთა, დაწერა, შექამა, დალია, დამალა, გაჭრა, მოამზადა...). გვექნება: **დახატა მან ის**; აქედან **მან** სუბიექტური პირია, ხოლო **ის** - პირდაპირი ობიექტი.

რატომ? – იმიტომ, რომ **ის** **ბრუნვას** იცვლის (ისევე, როგორც სუბიექტური პირი); ახლანდელ დროში გვქონდა **ხატავს** **ის** **მას**, წარსულში მივიღეთ **დახატა მან ის**. აი, ასეთი, **ბრუნვაგვალეზადი** ობიექტი არის პირდაპირი ობიექტი. ასეთ ობიექტს არ სჭირდება სპეციალური ნიშნით აღნიშვნა ზმნაში.

სხვაგვარად ასევე შეიძლება ითქვას: თუ ზმნას შეუძლია პირების შეწყობა მან ის ფორმით, ესე იგი, აქ გვაქვს სუბიექტური და პირდაპირობიექტური პირები. ამ შემთხვევაში ზმნაში მხოლოდ სუბიექტური პირი აღინიშნება, პირდაპირობიექტური პირი არ აღინიშნება.

- შევდგომა 3- ან ს- პრეფიქსების წარმოდგენა ერთპირიან ზმნებში:

ხმაურობს	და არა:	ჰხმაურობს
ზრუნავს	და არა:	ჰზრუნავს
კვდება	და არა:	ჰკვდება
გმინავს	და არა:	ჰგმინავს
მდიდრდება	და არა:	ჰმდიდრდება
ხუმრობს	და არა:	ჰხუმრობს
ბარბაცებს	და არა:	ჰბარბაცებს
მხიარულობს	და არა:	ჰმხიარულობს
ნადირობს	და არა:	ჰნადირობს
ბრუნავს	და არა:	ჰბრუნავს
ვარდება	და არა:	ჰვარდება
შრომობს	და არა:	ჰშრომობს
კოჭლობს	და არა:	ჰკოჭლობს
მოგზაურობს	და არა:	ჰმოგზაურობს
დგება	და არა:	სდგება
ჩურჩულებს	და არა:	სჩურჩულებს
დუმს	და არა:	სდუმს
ცდება	და არა:	სცდება
ტკბება	და არა:	სტკბება
ცეკვავს	და არა:	სცეკვავს
ცმუკავს	და არა:	სცმუკავს
ჭკნება	და არა:	სჭკნება
წვალობს	და არა:	სწვალობს
თბება	და არა:	სთბება
ძღება	და არა:	სძღება
ჩნდება	და არა:	სჩნდება

წყრება	და არა:	სწყრება
წვება	და არა:	სწვება...

- შეცდომა 3- ან ს- პრეფიქსების წარმოდგენა შემდეგ ორპირიან ზმნებში:

გრებს ის მას	და არა: ჰგრებს	შდრ.: დაგრიბა მან ის
მაღავს ის მას	და არა: ჰმაღავს	შდრ.: დამალა მან ის
ხატავს ის მას	და არა: ჰხატავს	შდრ.: დახატა მან ის
ხურავს ის მას	და არა: ჰხურავს	შდრ.: დახურა მან ის
ქსოვს ის მას	და არა: ჰქსოვს	შდრ.: მოქსოვა მან ის
ყლაპავს ის მას	და არა: ჰყლაპავს	შდრ.: გადაყლაპა მან ის
კრეფს ის მას	და არა: ჰკრეფს	შდრ.: მოკრიფა მან ის
რეცხავს ის მას	და არა: ჰრეცხავს	შდრ.: გარეცხა მან ის
კლავს ის მას	და არა: ჰკლავს	შდრ.: მოკლა მან ის
ღობავს ის მას	და არა: ჰღობავს	შდრ.: შეღობა მან ის
კეცავს ის მას	და არა: ჰკეცავს	შდრ.: დაკეცა მან ის
სვრის ის მას	და არა: ჰსვრის	შდრ.: დასვარა მან ის
ლეწავს ის მას	და არა: ჰლეწავს	შდრ.: გალეწა მან ის
ზრდის ის მას	და არა: ჰზრდის	შდრ.: გაზარდა მან ის
წურავს ის მას	და არა: სწურავს	შდრ.: დაწურა მან ის
ჩხრეკს ის მას	და არა: სჩხრეკს	შდრ.: გაჩხრიკა მან ის
წნავს ის მას	და არა: სწნავს	შდრ.: მოწნა მან ის
წმენდს ის მას	და არა: სწმენდს	შდრ.: გაწმინდა მან ის
ძარცვავს ის მას	და არა: სძარცვავს	შდრ.: გამძარცვა მან ის
თოხნის ის მას	და არა: სთოხნის	შდრ.: გათოხნა მან ის
თარგმნის ის მას	და არა: სთარგმნის	შდრ.: თარგმნა მან ის
ძრახავს ის მას	და არა: სძრახავს	შდრ.: დაძრახა მან ის
დრეკს ის მას	და არა: სდრეკს	შდრ.: მოდრიკა მან ის
ჭამს ის მას	და არა: სჭამს	შდრ.: შეჭამა მან ის
დგამს ის მას	და არა: სდგამს	შდრ.: დადგა მან ის
ჭყლეტს ის მას	და არა: სჭყლეტს	შდრ.: გაჭყლიტა მან ის
ჭედავს ის მას	და არა: სჭედავს	შდრ.: გაჭედა მან ის
ცვლის ის მას	და არა: სცვლის...	შდრ.: გაცვალა მან ის

- დავიმახსოვროთ როგორ უნდა დაიწეროს ეს ორპირიანი ზმნები:

ჰყავს მას ის	და არა:	ყავს მას შვილი
ჰქვია მას ის	და არა:	ქვია მას გერასიმე
ჰგავს მას ის	და არა:	გავს ის ძმას
ჰგონია მას ის	და არა:	გონია მას მართალი
ჰქონდა მას ის	და არა:	ქონდა მას ფული
სწყინს მას ის	და არა:	წყინს მას წაგება

სტკივა მას ის	და არა:	ტკივა მას ყელი
სჭირს მას ის	და არა:	ჭირს მას უძილობა
სწყურია მას ის	და არა:	წყურია მას წყალი
სდის მას ის	და არა:	დის მას ცრემლი
სძულს მას ის	და არა:	ძულს მას მტერი
სცხელა მას (ის)	და არა:	ცხელა მას (ის)
სცივა მას (ის)	და არა:	ცივა მას (ის)

- სამპირიან ზმნებში, როგორც აღინიშნა, ყოველთვის არის ირიბი ობიექტი, ე. ი. საჭიროა მისი აღნიშვნა ჰ-/ს- ნიშნებით (თუ ზმნის ფუძე ხმოვნით არ იწყება):

მისცემს ის მას მას	და არა:	მიცემს ის მას რჩევას
მოსტაცებს ის მას მას	და არა:	მოსტაცებს ის მას ქალს
დასტყუებს ის მას მას	და არა:	დასტყუებს ის მას ფულს
მისწერს ის მას მას	და არა:	მიწერს ის მას წერილს
სთხოვს ის მას მას	და არა:	თხოვს ის მას წაყვანას
ჰკითხავს ის მას მას	და არა:	კითხავს ის მას ამბავს
მიჰყიდის ის მას მას	და არა:	მიყიდის ის მას ყველს
ჰპირდება ის მას მას	და არა:	პირდება ის მას ძღვენს...

რამდენიმე ზმნაში ს- პრეფიქსი ფუძესთან შეხორცებულად ითვლება და ტრადიციისა და ნორმის მიხედვით მისი წარმოდგენა აუცილებელია:

გასტანს – გასტანა, გასწევს – გასწია, ასწევს – ასწია, გამოსცემს – გამოსცა, გასცემს – გასცა, დასძენს – დასძინა.

- დაუშვებელია *-ნენ* ბოლოსართის ნაცვლად *-ენ* სუფიქსის გამოყენება.

მართებულია:

ხატავდნენ	და არა:	ხატავდენ
მირბოდნენ	და არა:	მირბოდენ
მღეროდნენ	და არა:	მღეროდენ
მიდიოდნენ	და არა:	მიდიოდენ
ზეიმობდნენ	და არა:	ზეიმობდენ
ცეკვავდნენ	და არა:	ცეკვავდენ
ჭამდნენ	და არა:	ჭამდენ
ქეიფობდნენ	და არა:	ქეიფობდენ
დაიმალნენ	და არა:	დაიმალენ
გაემართნენ	და არა:	გაემართენ...

- დაუშვებელია *-ეს* ნიშნის ნაცვლად ასევე *-ენ* ბოლოსართის გამოყენება.

მართებულია:

გააკეთეს	და არა:	გააკეთენ
ითამაშეს	და არა:	ითამაშენ

დაუშვეს	და არა:	დაუშვენ
გაათბეს	და არა:	გაათბენ
დაბეჭდეს	და არა:	დაბეჭდენ
გაჭრეს	და არა:	გაჭრენ
დახატეს	და არა:	დახატენ
დამალეს	და არა:	დამალენ
დაშალეს	და არა:	დაშალენ...

ზმნისწინები

- ზოგ ზმნისწინს ძველ ქართულში სხვა სახე ჰქონდა, ვიდრე დღეს. ნაწილი ზოგჯერ დღესაც იხმარება ძველი სახით.

ესენია: აღ-, აღმო-, გან-, შთა-, გარდა-, წარ-.

ხშირად ამ ზმნისწინების გამოყენება მხოლოდ არქაული სახითაა მართებული და მათი თანამედროვე (ა-, ამო-, გა-, ჩა-, გადა-, წა-) ვარიანტების გამოყენება – მიზანშეუწონელი.

მართებულია:

აღზრდელი, აღმოსავლეთი, აღნიშვნა, აღმოჩენა, აღტკინება, აღსასრული, აღქმა...

გარდამავალი, გარდაუვალი, გარდაქმნა, გარდაცვალება...

განმარტოება, განთავსება, განლაგება, განსხვავება, განტვირთვა...

წარმოთქმა, წარდგინება, წარმოშობა,

წარმატება და არა: წამატება (ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა აქვს)

წარსული და არა: წასული (ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა აქვს)...

შთაბეჭდილება და არა: ჩაბეჭდილება

შთაგონება და არა: ჩაგონება (ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა აქვს)

შთამომავლობა და არა: ჩამომავლობა (ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობა აქვს)...

- შეცდომაა ზმნისწინის შემადგენელი ნაწილების გათიშვა ვ- ან ი/უ და ე თავსართებით.

მართებულია:

აღვნიშნე და არა: ავღნიშნე

აღვფრთოვანდი და არა: ავღფრთოვანდი

აღვწუსხე და არა: ავღწუსხე

აღვზარდე და არა: ავღზარდე

აღვწერე და არა: ავღწერე

აღვშფოთდი და არა: ავღშფოთდი...

ავითარებს და არა: ანვითარებს

ათავისუფლებს	და არა:	ანთავისუფლებს
ახორციელებს	და არა:	ანხორციელებს
ასახიერებს	და არა:	ანსახიერებს
ასხვავებს	და არა:	ანსხვავებს...
განიკურნა	და არა:	გაინკურნა
განივითარა	და არა:	გაინვითარა
განუვითარა	და არა:	გაუნვითარა
გაითავისუფლა	და არა:	გაინთავისუფლა
გაუთავისუფლა	და არა:	გაუნთავისუფლა
განევითარებინა	და არა:	გაენევითარებინა
განეხორციელებინა	და არა:	გაენეხორციელებინა...

გამონაკლისია:

ავღორძინდი	და არა:	აღვორძინდი
ვალღარე	და არა:	აღვღარე.

თემის ნიშნები

- არის შემთხვევები, როცა -ამ ბოლოსართის ნაცვლად -ავ გამოიყენება, რაც შეცდომაა.

მართებულია:

ასხამს	და არა:	ასხავს
არტყამს	და არა:	არტყავს
აბამს	და არა:	აბავს
სვამს	და არა:	სვავს...

- ავ- და ამ-ნიშნიან ზმნებს ეს ნიშნები უნახავი მოქმედების აღმნიშვნელ ზმნურ ფორმებშიც გადაჰყვება:

მართებულია:

დაუხატავს	და არა:	დაუხატია
დაუბარავს	და არა:	დაუბარია
დაუმალავს	და არა:	დაუმალაია
დაუხნავს	და არა:	დაუხნაია
დაუთესავს	და არა:	დაუთესაია
შეუკერავს	და არა:	შეუკერაია
დაუკეტავს	და არა:	დაუკეტაია
დაუსხამს	და არა:	დაუსხაია

დაუბერავს	და არა:	დაუბერია
დაუბამს	და არა:	დაუბია
დაურტყამს	და არა:	დაურტყია
შეუსვამს	და არა:	შეუსვია...

- ზმნათა ერთი ნაწილი მარტივი სტრუქტურისაა, -ავ/-ამ თემის ნიშანს არ დაირთავს.

მართებულია:

კვეთს, ხეთქს, კვეცს, იხვეჭს, ტეხს, ჩეჩს, ჩეხს, იღელს, ჭექს, ყეფს, წერს, ხვეწს.

უმართებულია:

კვეთავს, ხეთქავს, კვეცავს, იხვეჭავს, ტეხავს, ჩეჩავს, ჩეხავს, იღელავს, ჭექავს, ყეფავს, წერავს, ხვეწავს.

- ასევე არ დაირთავენ თემის ნიშნებს ე. წ. ფუძედრეკადი ზმნები.

მართებულია:

ბზევს, ბნედს, ბრეცს, გლესს, გლეჯს, გრეხს, დრეცს, დღვებს, ზნექს, იჭერს, კბეჩს, კვნიტს, კმენდს, კრეფს, კრეჭს, ჟლეტს, ფლეთს, სრესს, ფშეცს, ფშვნიტს, ფხეცს, ლლეთს, ყვლეფს, შრეტს, ჩხვლეთს, ცქვეტს, წრეთს, წყვეტს, ჭყლეთს, ხვრეტს, ხვრეჭს, ხლერს.

უმართებულია:

ბზეკავს, ბზიკავს; ბნედავს, ბნიდავს; ბრეცავს, ბრიცავს; გლესავს, გლისავს; გლეჯავს, გლიჯავს; გრეხავს, გრიხავს; დრეცავს, დრიცავს; დღვებავს, დღვიბავს; ზნექავს, ზნიქავს; იჭერავს, იჭირავს; კბეჩავს, კბიჩავს; კვნიტავს, კვნიტავს; კმენდავს, კმინდავს; კრეფავს, კრიფავს; კრეჭავს, კრიჭავს; ჟლეტავს, ჟლიტავს; ფლეთავს, ფლითავს; სრესავს, სრისავს; ფშეცავს, ფშიცავს; ფშვნიტავს, ფშვნიტავს; ფხეკავს, ფხიკავს; ლლეტავს, ლლიტავს; ყვლეფავს, ყვლიფავს; შრეტავს, შრიტავს; ჩხვლეთავს, ჩხვლიტავს; ცქვეტავს, ცქვიტავს; წრეთავს, წრიტავს; წყვეტავს, წყვიტავს; ჭყლეთავს, ჭყლიტავს; ხვრეტავს, ხვრიტავს; ხვრეჭავს, ხვრიჭავს; ხლერავს, ხლირავს...

- თუ ამოსავალ ფორმაში (ზმნაში) არ დასტურდება -ავ/-ამ, ბუნებრივია, რომ არ უნდა იყოს ის (ამა თუ იმ სახით) ნაზმნარ ფორმაში.

მართებულია:

ტეხს:	ტეხა	და არა: ტეხვა
ჭექს:	ჭექა	და არა: ჭექვა
კვეთს:	კვეთა	და არა: კვეთვა
ხეთქს:	ხეთქა	და არა: ხეთქვა
კვეცს:	კვეცა	და არა: კვეცვა
ჩეხს:	ჩეხა	და არა: ჩეხვა
კბეჩს:	კბეჩა	და არა: კბეჩვა/კბიჩვა
კვნიტს:	კვნიტა	და არა: კვნიტვა/კვნიტვა
კმენდს:	კმენდა	და არა: კმენდვა/კმინდვა
კრეფს:	კრეფა	და არა: კრეფვა/კრიფვა
კრეჭს:	კრეჭა	და არა: კრეჭვა/კრიჭვა
ჟლეტს:	ჟლეტა	და არა: ჟლეტვა/ჟლიტვა

ფლეთს:	ფლეთა	და არა: ფლეთვა/ფლითვა
სრესს:	სრესა	და არა: სრესვა/სრისვა
ფშეკს:	ფშეკა	და არა: ფშეკვა/ფშეკვა
ხვრეტს:	ხვრეტა	და არა: ხვრეტვა/ხვრეტივა...

შუალობითი კონტაქტის ფორმები

შუალობითი კონტაქტის ნიშნებია -ინ და -ევიწ.

მთავარი წესი უმარტივესია: ეს ბოლოსართები სრულად უნდა დაერთოს ზმნის ფორმას.

მართებულია:

აკეთებინებს (და არა აკეთებინებს), აშენებინებს (და არა აშენებინებს), ადრეკინებს (და არა ადრეკ(ვ)ინებს), აყოფინებს (და არა აყოფინებს), ალბობინებს (და არა ალბობინებს)...

აჭრევიწებს (და არა აჭრევიწებს/აჭრევიწებს), აშლევინებს (და არა აშლევიწებს/აშლევიწებს), ადგმევიწებს (და არა ადგმევიწებს/ადგმევიწებს), აბმევიწებს (და არა აბმევიწებს/აბმევიწებს), ასხმევიწებს (და არა ასხმევიწებს / ასხმევიწებს), ათქმევიწებს (და არა ათქმევიწებს/ათქმევიწებს)...

თუკი შუალობითი კონტაქტისთვის ამოსავალ ფორმაში -ავ და -ამ ნიშნები დასტურდება, ამ ნიშნების თანხმობიანი (-ვ, -მ) კონტაქტის ფორმაში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი (შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი აქტუალურია მხოლოდ -ავ თემისნიშნისანი ფორმებისთვის, -ამ-იანებთან დაკავშირებით წესი პრაქტიკულად არ ირღვევა):

კერავს: აკერვინებს (და არა აკერივებს/აკერივებს), ხატავს: ახატვინებს (და არა ახატივებს/ახატივებს), ფარავს: აფარვინებს (და არა აფარივებს/აფარივებს)...

მესამე სერიის ფორმები

- უთემისნიშნო ზმნებში არასწორია -წ სუფიქსიანი ფორმები პირველსა და მეორე თურმეობითში:

მართებულია:

წერს – დაეწერა, დაეწეროს (და არა დაეწერნა, დაეწერნოს), დრეკს – დაედრიკა, დაედრიკოს (და არა დაედრიკნა, დაედრიკნოს), ტეხს – გაეტეხა, გაეტეხოს (და არა გაეტეხნა, გაეტეხნოს)...

-ებ-თემისნიშნის ზმნებს II თურმეობითა და მესამე კავშირებითში ამ თემის ნიშნის შემდეგ -ინ სუფიქსი მოუდის; ეს სუფიქსი, ისევე როგორც შუალობითი კონტაქტის -ინ სუფიქსი, სრულად უნდა წარმოვადგინოთ:

აშენებს – აეშენებინა, აეშენებინოს (და არა ეშენებია/აეშენა და აეშენებოს/აეშენოს), აკეთებს – გაეკეთებინა, გაეკეთებინოს (და არა გაეკეთებია/გაეკეთა და გაეკეთებოს/გაეკეთოს), ამთავრებს – დაემთავრებინა, დაემთავრებინოს (და არა დაემთავრებია/დაემთავრა ან დაემთავრებოს/დაემთავროს)...

ეს წესი ვრცელდება შუალობითი კონტაქტის ფორმებზეც და რთული – -ებინ-ებინა დაბოლოება გვექნება:

აშენებინებს – აეშენებინებინა, აეშენებინებინოს
აკეთებინებს – გაეკეთებინებინა, გაეკეთებინებინოს
ამთავრებინებს – დაემთავრებინებინა, დაემთავრებინებინოს...

მართებულია:

ვშობილვარ (და არა შობილვარ), ავმდგარვარ (და არა ამდგარვარ), წავსულვარ (და არა წასულვარ), გავმთბარვარ (და არა გამთბარვარ), გავზრდილვარ (და არა გაზრდილვარ), დავმჯდარვარ (და არა დამჯდარვარ)...

მართებულია:

დავწოლილიყავ(ი) (და არა დაწოლილიყავი/დავწოლილიყავი), დავმჯდარიყავ(ი) (და არა დამჯდარიყავი/დავმჯდარიყავი), ავმდგარიყავ(ი) (და არა ამდგარიყავი/ავმდგარიყავი), წავსულიყავ(ი) (და არა წასულიყავი/წავსულიყავი), ვყოფილიყავ(ი) (და არა ყოფილიყავი/ვყოფილიყავი), გაგქცეულიყავ(ი) (და არა გაქცეულიყავი/გაგქცეულიყავი)...

რთულფუძიანი ზმნები

- ზმნათა ერთი ჯგუფი რთულფუძიანია: პირველი ნაწილია არსებითი სახელი, ზედსართავი ან მიმღობა, ხოლო მეორე – ყოფა ზმნა. ამ შემთხვევაში პირის ნიშანი ზმნურ ნაწილს უნდა დაერთოს.

მართებულია:

ნათელვყოფ	და არა: ვნათელვყოფ / ვნათელყოფ
უარვყოფ	და არა: ვუარვყოფ / ვუარყოფ
უგულეებელვყოფ	და არა: ვუგულეებელვყოფ / ვუგულეებელყოფ
უზრუნველვყოფ	და არა: ვუზრუნველვყოფ / ვუზრუნველყოფ
იავარვყოფ	და არა: ვიავარვყოფ / ვიავარყოფ

უკვდავყოფ
ცხადყოფ
შეურაცხყოფ

და არა: ვუკვდავყოფ / ვუკვდავყოფ
და არა: ვცხადყოფ / ვცხადყოფ
და არა: ვშეურაცხყოფ / ვშეურაცხყოფ...

მართებულია:

თანავუგრძნობ
თანავუგრძენი

და არა: ვუთანაგრძნობ
და არა: ვუთანაგრძენი.

- მეორე მხრივ, რთული ზმნების ერთი ნაწილს პირის ნიშანი ვ- თავში დაერთვის; ამდენად,

მართებულია:

ავადმყოფობ
ვთანაშრომლობ
ხელმძღვანელობ
ვსრულყოფ
წინასწარმეტყველებ
შუამავლობ

და არა: ავადმყოფობ
და არა: თანავშრომლობ
და არა: ხელვმძღვანელობ
და არა: სრულვყოფ
და არა: წინასწარვმეტყველებ
და არა: შუამავლობ მე...

მარტივი თუ რთული ფორმა?

- ზმნათა ერთი ჯგუფი ახლანდელ დროში -ვარ/-ხარ მეშველ ზმნას დაირთავს. ეს ზმნებია:

წუხს: ვწუხვარ – წუხხარ

დუმს: ვდუმვარ – დუმხარ

დულს: ვდულვარ – დულხარ

დგას: ვდგავარ – დგახარ

დადის: დავდივარ – დადიხარ

ყარს: ვყარვარ – ყარხარ...

- ამ ზმნების ანალოგიით მეშველ ზმნას მცდარად ხმარობენ სხვა შემთხვევაშიც.

უნდა იყოს:

კვივი, კივი

და არა: კვივივარ, კივიხარ

ვტირი, ტირი

და არა: ვტირივარ, ტირიხარ

ვყივი, ყივი

და არა: ვყივივარ, ყივიხარ

ვმღერი, მღერი

და არა: ვმღერივარ, მღერიხარ

ვცეკვა, ცეკვა

და არა: ვცეკვავარ, ცეკვახარ

ვიცინი, იცინი

და არა: ვიცინივარ, იცინიხარ

ვფიცავ, ფიცავ

და არა: ვფიცავარ, ფიცავხარ

ვწივი, წივი

და არა: ვწივივარ, წივიხარ

ვკნავი, კნავი

და არა: ვკნავივარ, კნავიხარ

ვჩივი, ჩივი

და არა: ვჩივივარ, ჩივიხარ

ვბლავი, ბლავი	და არა: ვბლავივარ, ბლავიხარ
ვჩხავი, ჩხავი	და არა: ვჩხავივარ, ჩხავიხარ
ვთრთი, თრთი	და არა: ვთრთივარ, თრთიხარ
ვკრთი, კრთი	და არა: ვკრთივარ, კრთიხარ
ვჯობნი, ჯობნი	და არა: ვჯობნივარ, ჯობნიხარ
დავექრი, დაქრი	და არა: დავექრივარ, დაქრიხარ
ვხტი, ხტი	და არა: ვხტივარ, ხტიხარ
ვღმუი, ღმუი	და არა: ვღმუივარ, ღმუიხარ
ვყმუი, ყმუი	და არა: ვყმუივარ, ყმუიხარ
ვტყუი, ტყუი	და არა: ვტყუივარ, ტყუიხარ
ვხვენეში, ხვენეში	და არა: ვხვენეშივარ, ხვენეშიხარ
დავძრწი, დამძრწი	და არა: დავძრწივარ, დამძრწიხარ...

ვ-ს ჩართვა, შენარჩუნება და დაკარგვა ზმნის ფორმაში

- ვ ვითარდება ა- და ე-ფუძიანი სახელებისგან ზმნური ფორმების წარმოებისას:
ქვა – აქვავებს, ხე – ახევებს, ბრმა – აბრმავებს, მხნე – ამხნევებს, ხურდა – ახურდავებს, ტყე – ატყევებს...
- ვ- თავსართი შენარჩუნდება ო და უ ხმოვნების წინ.

მართებულია:

ვოცნებობ	და არა: ოცნებობ მე
ვუამბე	და არა: უამბე მე
ვომობ	და არა: ომობ მე
ვურჩიე	და არა: ურჩიე მე
ვაოცდდი	და არა: აოცდდი მე
ვუთხარი	და არა: უთხარი მე...

- ივ-ად ქცეული ევ-ის ვ შენარჩუნდება -ნენ სუფიქსის დართვისას:
შესევა: შეესევა – შეესია მაგრამ: შესივნენ (და არა შესიენ)
შერევა: შერევა – შერია მაგრამ: შერივნენ (და არა შერიენ)
შეჩვევა: შეეჩვევა – შეეჩია მაგრამ: შეეჩივნენ (და არა შეეჩიენ)...
- ზმნების ჯგუფს, რომელთაც ფუძე ვ-ზე უთავდებათ, -ოდ და -ო სუფიქსების დართვისას ვ უნარჩუნდებათ.

მართებულია:

ილტვის: ილტვოდა, ილტვოდეს	და არა: ილტოდა, ილტოდეს
---------------------------	-------------------------

იწვის: იწვოდა, იწვოდეს
დაისეტყვა: დაისეტყვოს
გააკვირვა: გააკვირვოს
დაიბრიყვა: დაიბრიყვოს
დააეჭვა: დააეჭვოს

და არა: იწოდა, იწოდეს
და არა: დაისეტყოს
და არა: გააკვიროს
და არა: დაიბრიყოს
და არა: დააეჭოს...

მაგრამ:

ჩივის: ჩიოდა, ჩიოდეს
კივის: კიოდა, კიოდეს
ებრძვის: ებრძოდა, ებრძოდეს
ბღავის: ბღაოდა, ბღაოდეს

და არა: ჩივოდა, ჩივოდეს
და არა: კივოდა, კივოდეს
და არა: ებრძვოდა, ებრძვოდეს
და არა: ბღავოდა, ბღავოდეს...

- იკარგება -ევ სუფიქსისეული ვ იმავე -ოდ სუფიქსის წინ:

გაქცევა: გაქცევა – გაქცეოდა – გაქცეოდეს – გაქცეოდა – გაქცეოდეს (და არა: გაქცევოდა, გაქცევოდეს, გაქცევოდა, გაქცევოდეს), ჩახვევა: ჩახვევა – ჩახვეოდა – ჩახვეოდეს – ჩახვეოდა – ჩახვეოდეს (და არა: ჩახვევოდა – ჩახვევოდეს – ჩახვევოდა – ჩახვევოდეს), შეეჩვევა: შეეჩვევა – შეეჩვეოდა – შეეჩვეოდეს – შესჩვეოდა – შესჩვეოდეს (და არა: შეეჩვევოდა – შეეჩვევოდეს – შესჩვევოდა – შესჩვევოდეს)...

- იკარგება -ევ სუფიქსისეული ვ, – ი რჩება:

ანგრევს: დაანგრია, დაანგრიოს

და არა: დაანგრივა, დაანგრივოს

აქცევს: დააქცია, დააქციოს

და არა: დააქცივა, დააქცივოს

ამწყვდევს: დაამწყვდია, დაამწყვდიოს

და არა: დაამწყვდივა, დაამწყვდივოს...

ერთი რიგის რთული ზმნების მართლწერის საკითხი

დეფისით იწერება:

- ერთი და იმავე ფუძის მქონე, მაგრამ ზმნისწინებით განსხვავებული რთული ზმნები: აივლ-ჩაივლის, მიიხედ-მოიხედა, გამვრა-გამოძვრა, აათვალიერ-ჩაათვალიერა, მიავლ-მოავლო...
- სხვადასხვა ფუძის, მაგრამ ერთნაირი ზმნისწინების მქონე რთული ზმნები: გააცვი-გააცხელა, გაათეთრ-გააშავა...
- ერთი და იმავე ფუძის მქონე, მაგრამ ზმნისწინებით განსხვავებული ნაზმნარი ფუძეები: მითქმა-მოთქმა, გამრომა-გამოძრომა, შესვლა-გამოსვლა, გაქცევა-გამოქცევა...

ფუძემონაცვლე ზმნები

ვზივარ (მე)	მაგრამ:	ვსხედვართ (ჩვენ)
ვკლები (მე)	მაგრამ:	ვსხდებით (ჩვენ).

უმართებულა:

ვზივართ, ზიხართ, ზიან, დავკეპით, დაკეპით, დაჯდნენ.

უნდა:

ვსხედვართ, სხედხართ, სხედან, დავსხედით, დასხედით, დასხდნენ.

მართებულია ორივე:

ხალხი დაჯდა

და

სტუმრები დასხდნენ.

ასევე მართებულია:

ჩავარდა (ცხვარი)

მაგრამ:

ჩაცვივდნენ ცხვრები (და არა ჩავარდნენ ცხვრები);

გადააგდო (ქვა),

მაგრამ:

გადაყარა ქვები (და არა გადააგდო ქვები);

აზია (ვაშლი),

მაგრამ:

ასხია ვაშლები (და არა აზია ვაშლები);

მოკლა (მტერი),

მაგრამ:

დახოცა მტრები (და არა მოკლა მტრები);

გატეხა (თეფში),

მაგრამ:

დამატვრია თეფშები (და არა გატეხა თეფშები).

სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერა

-მეთქი, -თქო და ო ნაწილაკები გამოხატავენ პირველი პირის (მოსაუბრის) ან სხვა პირის (არამოსაუბრის) ნათქვამის ან განაზრახის უცვლელად გამეორებას. -მეთქი წარმოშობით არის „მე ვთქვი“.

-მეთქი იხმარება პირველი პირის (მოსაუბრის) წინათ ნათქვამის ან განაზრახის გადმოსაცემად. ძალიან ხშირია -მეთქი და -თქო ნაწილაკების აღრევის შემთხვევები:

მაგ.:

ხშირად დავკითხებოდი ხოლმე ძიძას: რა დაუშავა კრუხმა ქორს, რომ წიწილებს სტაცებს და არ ასვენებს-თქო?

უნდა იყოს: ... არ ასვენებს-მეთქი;

ასე მეგონა, დამუნჯდა-თქო.

უნდა იყოს: ... დამუნჯდა-მეთქი;

ახ, ერთი ის საკრავი ნეტავი ჩემი იყოს-თქო, ვიფიქრე.

უნდა იყოს: ...იყოს-მეთქი, ვიფიქრე.

-თქო აღნიშნავს პირველი პირის ნათქვამს, რომელიც მეორე პირმა შესამეს უნდა გადასცეს. ე. ი. ამ შემთხვევაში მთავარი მომენტია ის, რომ მიმართავენ მეორე პირს, მეორემ შესამე პირს უნდა გადასცეს პირველი პირის ნათქვამი. მაგ.:

უთხარი, როცა პეპია კვდებოდა, შენა გლოცავდა-თქო;

გადაეცი, როგორც გითხარი, ისე მოიქეცი-თქო;

გააფრთხილე, შინ არ დამხვდე-თქო...

ო ნაწილაკი გამოიყენება მაშინ, როდესაც პირველი პირი (მოუბარი) გადმოსცემს შესამე პირის ნათქვამს:

მეგობარი შემპირდა, ყველაფერს გავაკეთებო;

მეზობელმა მითხრა, ხვალ ყანაში მომეხმარეო.

ზურა გამოფენაზე იყო და ასე მითხრა, რამდენიმე ნახატი განსაკუთრებით მომეწონაო...

ო სიტყვასთან ერთად იწერება, ხოლო -მეთქი და -თქო დეფისით გამოიყოფა სიტყვისაგან.

ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში

შემასმენელი მხოლოდით რიცხვშია, როცა მასთან შეწყობილი:

- ქვემდებარე მხოლოდით რიცხვშია:
კაცი მიდის; ქალი ლაპარაკობს; ბავშვი სწავლობს...
- ქვემდებარე რაოდენობითი რიცხვითი სახელი ან ნაცვალსახელია:
მრავალი წავიდა (და არა მრავალი წავიდნენ), მაგრამ ასევე სწორია: მრავალნი წავიდნენ;
ყველა ხალისობს (და არა ყველა ხალისობენ), მაგრამ ასევე სწორია: ყველანი ხალისობენ;
ათი დარჩა (და არა ათი დარჩნენ), მაგრამ ასევე სწორია: ათნი დარჩნენ...
- ქვემდებარე კრებითი სახელია:
ჯგრო წამოიშალა, გუნდი დაიშალა, ხალხი აყაყანდა ...
- ქვემდებარეს განსაზღვრებად ახლავს რიცხვითი სახელი ან ისეთი სახელი, რომელიც შინაარსობრივად ერთზე მეტს აღნიშნავს:
სამი კაცი ბჭობდა, რამდენიმე ადამიანი ახმაურდა, უთვალავმა ბავშვმა გაიხარა...
- ქვემდებარეა „და-ძმა“-ს ტიპის რთული სახელი:
და-ძმა იქაურობას განერიდა (და არა და-ძმა იქაურობას განერიდნენ), მისი დედ-მამა იქვე ცხოვრობდა (და არა მისი დედ-მამა იქვე ცხოვრობდნენ), ცოლ-შვილი უშლიდა ელიოზს ტყეში სიარულს (და არა ცოლ-შვილი უშლიდნენ ელიოზს ტყეში სიარულს)...
- ქვემდებარე უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელია და იგი -ებ-იან მრავლობითშია:
მაგიდები დგას (და არა მაგიდები დგანან), წვიმები გახშირდა (და არა წვიმები გახშირდნენ),
საწოლები დგას (და არა საწოლები დგანან)...

შემასმენელი მრავლობით რიცხვშია, როცა მასთან შეწყობილი:

- ქვემდებარე მრავლობითი რიცხვის სულიერი სახელია:
ცხენები ჭიხვინებენ, ჩიტები ჭიკჭიკებენ, ღორები ღრუტუნებენ...
- ქვემდებარე ნართანიან მრავლობითშია:
ვარსკვლავნი ჩაქრნენ, დღენი მიდიან, ფოთოლნი შრიალებენ...

თანდებული და კავშირი ერთგვარ წევრებთან

- მიცემითსა და ნათესაობითში და კავშირით შეერთებულ ერთგვარ წევრთაგან თანდებული მომდევნოს დაერთვის, და-ს წინ მდგომი, ჩვეულებრივ, უთანდებულოა:

მართებულია:

დარსა და ავდარში (და არა დარში და ავდარში), მთასა და ბარში (და არა მთაში და ბარში), კინოსა და თეატრში (და არა კინოში და თეატრში)...

კაცსა და ქალზე (და არა კაცზე და ქალზე), დიდსა და პატარაზე (და არა დიდზე და პატარაზე), მოხუცსა და ახალგაზრდაზე (და არა მოხუცზე და ახალგაზრდაზე)...

დედისა და მამისათვის (და არა დედისათვის და მამისათვის), დისა და ძმისათვის (და არა დისათვის და ძმისათვის) მეზობლისა და ნაცნობისათვის (და არა მეზობლისათვის და ნაცნობისათვის)...

მეგობრისა და მოკეთისაგან (და არა მეგობრისაგან და მოკეთისაგან), სტუდენტისა და მოსწავლისაგან (და არა სტუდენტისაგან და მოსწავლისაგან), ადამიანისა და ცხოველისაგან (და არა ადამიანისაგან და ცხოველისაგან)...

დაფისა და ნაღრისაკენ (და არა დაფისაკენ და ნაღრისაკენ), ფანჯრისა და კარისაკენ (და არა ფანჯრისაკენ და კარისაკენ), დღისა და ღამისაკენ (და არა დღისაკენ და ღამისაკენ)...

- თუ და-ს წინ რამდენიმე სახელია, თანდებულები მეორდება, ოღონდ უშუალოდ კავშირის წინ მდგომი სიტყვა ამ შემთხვევაშიც არ დაირთავს მას:

მართებულია:

წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე (და არა წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე)

გუშინდელზე, დღევანდელსა და ხვალინდელზე (და არა გუშინდელზე, დღევანდელზე და ხვალინდელზე)...

- კავშირის წინ მდგომი სახელი **სასურველია** გავრცობილი სახით იყოს მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში:

ვაჟსა და ქალს (და არა ვაჟს და ქალს), დიდსა და პატარას (და არა დიდს და პატარას), მოხუცსა და ახალგაზრდას (და არა მოხუცს და ახალგაზრდას)...

რთული ქვეწყობილი წინადადების სინტაქსის საკითხები

- მართებულია შემდეგი სინტაქსური კონსტრუქციები:

ის – ვინც: გაიმარჯვებს ის, ვინც ყველაფერს გაიღებს მიზნის მისაღწევად
და არა:

ის – რომელიც: გაიმარჯვებს ის, რომელიც ყველაფერს გაიღებს მიზნის მისაღწევად;

ის – ვისაც: ბედნიერია ის, ვისაც მამულისათვის უძგერს გული
და არა:

ის – რომელსაც: ბედნიერია ის, რომელსაც მამულისათვის უძგერს გული.

ის – რაც: ვნახე ის, რაც ასე მიფორიაქებდა სულს
და არა:

ის – რომელიც: ვნახე ის, რომელიც ასე მიფორიაქებდა სულს;

ის – რასაც: დავუშვი ის, რასაც ნორმალური ადამიანი არ დაუშვებდა
და არა:

ის – რომელსაც: დავუშვი ის, რომელსაც ნორმალური ადამიანი არ დაუშვებდა;

მას – ვინც: ეს ფაქტი გავახსენე მას, ვინც ცდილობდა მის მიჩქმალვას
და არა:

მას – რომელიც: ეს ფაქტი გავახსენე მას, რომელიც ცდილობდა მის მიჩქმალვას.

- საკავშირბელი სიტყვის ადგილი და რიცხვი

ზოგჯერ (განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემთხვევაში) ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად ერთი წესის დაცვაა საჭირო: საკავშირბელი სიტყვა უშუალოდ უნდა იყოს საზღვრულ სახელთან ან, თუ დაშორება აუცილებელია, სხვა სახელი არ უნდა ჩაისვას მათ შორის:

მართებულია:

გუშინ გოჩას მივუტანე კომპიუტერი, რომელიც გაფუჭებული იყო
და არა:

გუშინ კომპიუტერი მივუტანე გოჩას, რომელიც გაფუჭებული იყო...

- გათიშვა-დაშორება დასაშვებია ორ შემთხვევაში:

1. მათ შორის მთავარი წინადადების შემასმენელია: ამ მცირე ხანში ლექსი დაგწერე, რომელსაც ასევე გიგზავნი...

2. საზღვრულ წევრს ახლავს ჩვენებითი ნაცვალსახელი: ლალიმ წაიკითხა იმ პოეტის ლექსები, რომელსაც ცოტა ვინმე თუ იცნობდა...

- რომელიც წევრ-კავშირი მხოლოდით რიცხვშია, თუ:

1. მთავარი წინადადების საზღვრული სახელი მხოლოდითშია: ჩემი ყურადღება მიიპყრო ბავშვმა, რომელიც ბოლო მერხზე იჯდა.

2. მთავარი წინადადების საზღვრული სახელი კრებითია: სვაკების გუნდი, რომელიც აქამდე მძორის ჭამით იყო დაკავებული, წამოიშალა.

და არა:

სვაკების გუნდი, რომლებიც აქამდე მძორის ჭამით იყვნენ დაკავებული, წამოიშალა...

- რომელიც წევრ-კავშირი მრავლობით რიცხვშია, თუ:

1. საზღვრული სახელი მრავლობითშია: სამწუხაროდ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც სხვის გასაჭირს გულთან არ იკარებენ.

და არა: ...ადამიანები, რომელიც...

2. საზღვრულ სახელს განსაზღვრებად ახლავს ლექსიკური სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვა:

ამ დროს გზაზე გამოიარა ორმა ქალმა, რომლებიც გამწარებით უხსნიდნენ ერთმანეთს რაღაცას.

და არა: ...ორმა ქალმა, რომელიც...

3. საზღვრული სახელი ერთზე მეტია:

ანომ და ვანომ, რომელთაც ამ ღონისძიების ორგანიზება ევალებოდათ, თავდაპირველად ზოგადი გეგმა მოხაზეს.

და არა: ...ანომ და ვანომ, რომელსაც...

4. საზღვრული სახელი ორ- და მეტმნიშვნელობიანი კომპოზიტია:

ნიკამ შეაგულიანა თავისი და-ძმა, რომლებიც კარის შეღებას ვერ ბედავდნენ.

და არა: ...და-ძმა, რომელიც...

- საზღვრული სახელის ბრუნვა არ არის დამოკიდებული დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირის ბრუნვაზე.

მართებულია:

კაცს, რომელიც ამ საქმეში უნდა დახმარებოდა, **ჯოტო** მთელი დღე ეძებდა
და არა: ...კაცი, რომელიც...

მართებულია:

ფაილს, რომლის იმპორტსაც ცდილობთ, აქვს მცდარი ფორმატი
და არა:
ფაილი, რომლის იმპორტსაც ცდილობთ, აქვს მცდარი ფორმატი;

ახალგაზრდები, რომლებმაც პროფესია შემთხვევით მიიღეს, ხელახლა ირჩევენ მას
და არა:
ახალგაზრდებმა, რომლებმაც პროფესია შემთხვევით მიიღეს, ხელახლა ირჩევენ მას...

- მიზეზი და მიზანი

დავიმახსოვროთ:

ამიტომ, იმიტომ, ამის გამო, იმის გამო გამოიყენება მაშინ, როდესაც მიზეზია გადმოსაცემი,
ხოლო:

ამისათვის, იმისათვის, მისთვის – მაშინ, როდესაც მიზანია გადმოსაცემი:

უმართებულოა:

იმიტომ, რომ თვითონ იცოცხლოს, ადამიანმა სხვას უნდა მოუსპოს სიცოცხლე.
უნდა: იმისათვის, რომ თვითონ...

ეს პატარა სტატისტიკა იმიტომ დაგვიჩვენებს, რომ უფრო ცხადად გამოჩნდეს სურათი.
უნდა: ...იმისთვის დაგვიჩვენებს, რომ...

იმიტომ მინდა ცუდია, რომ შეჩვენებულ თუთასა გავაფრთხოთ სულია.
უნდა: იმისთვის მინდა...

მარჯვენა იმიტომ მიუცია ღმერთს გლეხისთვის, რომ გაისარჯოს
უნდა: მარჯვენა იმისთვის მიუცია...

მეორე მხრივ:

მუშა რომ ვარ, მისთვის ვიცი მუშის გულის პასუხები.

უნდა: მიტომ ვიცი...

ამას იმისთვის ვცდილობდი ასე გამწარებით, რომ სხვაგვარად არ შეიძლებოდა.

უნდა: ამას იმიტომ ვცდილობდი...

დრო იმისთვის გააჩერეს, რომ დაშავებულის სამედიცინო დახმარება გაჭიანურდა

უნდა: დრო იმიტომ გააჩერეს, რომ...

ეს კაცი არ ვარგა იმისათვისაო, რომ მტვრიანი ტანისამოსი აცვიაო.

უნდა: ...არ ვარგა იმიტომაო...

კავშირების (იმისათვის – იმის გამო, რათა – რადგან, როგორც – როგორც) ფუნქციური აღრევა

- ზოგჯერ მიზნის გამომხატველი იმისათვის გვხვდება მიზეზის გამომხატველი იმის გამო კავშირის ნაცვლად.

უმართებულოა:

ნუ ინერვიულებ იმისათვის, რომ შეიძლება პასუხი მოგთხოვონ.

უნდა: ნუ ინერვიულებ იმის გამო, რომ...

ნუ შეცვლი შენს გეგმებს იმისათვის, რომ მე ველარ მოვდივარ.

უნდა: ნუ შეცვლი შენს გეგმებს იმის გამო, რომ...

- დაუშვებელია რათა კავშირის გამოყენება რადგან კავშირის ნაცვლად:

ბევრმა ნიჭიერმა ადამიანმა ჭადრაკის სიყვარულის გამო სხვა სფეროში მუშაობა შეწყვიტა, რათა ძალების გაფანტვა არ სურდა.

უნდა: ...რადგან ძალების გაფანტვა არ სურდა.

ილურიძე გაწითლდა, რათა ანტერპრენიორი იმის თავმოყვარეობას შეეხო.

უნდა: ილურიძე გაწითლდა, რადგან...

ყველანი პატარა ბაღჩაში გამოსულიყვნენ, რათა საღამო ჩინებული იყო.

უნდა: ... რადგან საღამო ჩინებული იყო;

მე ახალ გაზეთს ვუკითხავდი, რათა იმას სათვალე დაჰკარგოდა.

უნდა: ... რადგან იმას სათვალე დაჰკარგოდა;

მეორე მხრივ:

მზალო სიხარულით გაიქცა, რადგან მითი მაინც გამოეცხადებინა მათიასთვის თავისი თანაგრძნობა.

უნდა: მზალო სიხარულით გაიქცა, რათა...

ყველაფერი საგულდაგულოდ გადავამოწმე, რადგან შემთხვევითობა გამომერიცხა

უნდა: ... რათა შემთხვევითობა გამომერიცხა...

- ზოგჯერ როგორც გამოყენებულია როგორც კავშირის ადგილას და პირიქით.

უმართებულოა:

მე მსურს... ყველა ისეთივე მონა იყოს შენი, როგორც მე.

უნდა იყოს: ... როგორც მე.

თქვენ ისეთივე უებრო მეოჯახე ბრძანდებით, როგორც მეომარი.

უნდა იყოს: ... როგორც მეომარი.

მას ამ საქმეში მხარი აუბა ისეთმა გამოცდილმა სპორტსმენმა, როგორც აბუანდამეა.

უნდა იყოს: ... როგორც აბუანდამეა.

პოზიციები დათმეს ისეთმა ძლიერმა ქვეყნებმა, როგორც ირანი, თურქეთი და ამერიკა არიან.

უნდა იყოს: ... როგორც ირანი, თურქეთი და ამერიკა არიან.

ორმაგი უარყოფა

ზოგჯერ ორმაგი უარყოფის გამოყენება აუცილებელია. ეს ხდება მაშინ:

- როდესაც უარყოფითი ნაცვალსახელი ან ზმნიზედა გათიშულია უარყოფითი ნაწილაკისაგან:

არსად ასეთი ამბავი არ გამიგია და არა: არსად ასეთი ამბავი გამიგია...

- როცა უარყოფით ნაცვალსახელს ან ზმნიზედას დაერთვის ნაწილაკი -ც(ა):

ვერაფერიც ვერ დავასკვენნი და არა: ვერაფერიც დავასკვენნი...

- როცა უარყოფითნაწილაკიანი სიტყვა მსაზღვრელია:

არავითარ მუშაობას არ თაკილობდა და არა: არავითარ მუშაობას თაკილობდა;

არავითარი სხვა სამშობლო არ გამაჩნია და არა: არავითარი სხვა სამშობლო გამაჩნია...

პუნქტუაცია

მძიმე დაისმის:

- უკავშირო შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრების გასამიჯნად:
ძალი მომვარდა, დამყნოსა, კუდს აქიცინებს;
ლაზარემ, ელიზბარმა და ბარამმა გამოიყვანეს ერეკლეს ცხენები;
ხელი დაავლეთ ნაჯახებს, ორთითებს, წალდებს, ცელებს და მარგილებს!
- კიდეც... კიდეც, არც... არც, აღარც... აღარც, ვეღარც... ვერც, ნურც... ნურც წყვილი
ნაწილაკების მეორე ცალგების წინ:
თვითონვე აკეთებს ყველაფერს: კიდეც ჭრის, კიდეც კერავს;
სულიერის ჭაჭანება არ იყო: არც ფრინველის, არც ცხოველის;
აღარც ერთი გასულა იმ დღეს ნავსადგურში, აღარც მეორე;
ნურც შენ იტყვი ნურაფერს, ნურც ის...
- წყვილი კავშირების (ხან... ხან, ან... ან, გინდ... გინდ, თუნდ... თუნდ...) მეორე
ცალგების წინ:
ამასობაში ან ლაყური გაიხევა, ან ჩანგალი გატყდება;
ხან თოვდა, ხან წვიმდა;
ან ერთი უნდა მოიმოქმედო, ან მეორე...
- მაგრამ, ოღონდ, ხოლო, თუმცა, არ... არამედ, კი არ... არამედ კავშირების წინ:
მაყრები დაშოშმინდნენ, მაგრამ მარხილს არ შორდებოდნენ;
ეს ამბავი ყველას ახსოვდა, თუმცა არაფერს ამბობდნენ;
ეს იმ დღეს კი არ მოხდა, არამედ სამი დღის შემდეგ...
- როგორც... ისე, არა მარტო... არამედ, არა თუ... არამედ კავშირების მეორე ნაწილის
წინ:
როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო.
ამ ამბავმა აგვაფორიაქა არა მარტო ჩვენ, არამედ მთელი სამეზობლო;
მისი ნათქვამი არა თუ დამაჯერებელი, არამედ გამაღიზიანებელიც კი გამოდგა...
- განკერძოებულ განსაზღვრებასთან – ორივე მხრიდან (თუ იგი შუაშია):
ამ მთის კაცმა, გაუნათლებელმა, დაინახა ამის საჭიროება;
მან კი, თავლაფდასხმულმა, პირშავად უნდა იაროს ქვეყანაზე;
ზოგს, ნაბადში გახვეულს, ურემზე ეძინა...
- დანართთან – ორივე მხრიდან (თუ იგი შუაშია):
ჩვენ კი, დედებმა, ღვთის წინ ცრემლები ვღვართო;

გერონტი, ჩემი უფროსი ძმა, წყალსაქაჩში მუშაობს;
ერთი მათგანი, ახოვანი მოხუცი, გაჩუმებული იყო...

- **განკერძოებულ გარემოებასთან – ორივე მხრიდან (თუ იგი შუაშია):**
გალმაუბანში, მდინარის იქით, მანქანა გაჩერდა;
ერთ დღეს, დილიდან სადამომდე, შუამთის უდაბურ ტყეში დადიოდა აბდუშაპილი;
მეორე დღეს, კვირას, ელიზბარი სანადიროდ ემზადებოდა...
- **ჩართულ სიტყვებსა და გამოთქმებთან – ორივე მხრიდან (თუ იგი შუაშია):**
შინ დარჩენა ჩემთვის, რასაკვირველია, დასჯა იყო;
ეს ამბავი, სამწუხაროდ, მთელმა ქვეყანამ გაიგო;
მე, ნუ გაგიკვირდებათ, ასე ვფიქრობ...
- **მიმართვის ფორმებთან – ორივე მხრიდან (თუ იგი შუაშია):**
წავიდეთ, ამხანაგო ლეიტენანტო, არ დაეაგვიანოთ!
წამოდექით, ყმაწვილებო, ტანთ ჩაიცვით საჩქაროზე!
რა გაგიკვირდა, შე კაცო, აღარ იტყვი?
- **მიგებით ნაწილაკებსა და შორისდებულებთან:**
არა, ამხანაგო კაპიტანო, ასე არ არის;
დიახ, ქალაქში მივდივარ.
უჰ, როგორ დავიღალე...
- **რთული (თანწყობილი და ქვეწყობილი) წინადადების შემადგენელი ნაწილების ერთმანეთისაგან გასამიჯნად:**

ბევრი ეხვეწნენ, მაგრამ მაინც არ დაიშალა თავისი;
რამდენადაც საშინელია დაშინებული მამაკაცი, იმდენად მშვენიერია შემკრთალი ქალი;
იქ, სადაც ბოძი კოქს ემიჯნებოდა, მერცხლის ბუდე შეამჩნია...

ეროვნულ გამოცდებზე ძალიან თვალშისაცემია ზედმეტი მძიმეების პრობლემა. ამის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ 20013 წლის გასარედაქტირებელი ტექსტებიდან ზოგიერთ მონაკვეთს, სადაც აბიტურიენტების უმრავლესობა მძიმეებს სვამდა:

კალისტრატე სალია დაიბადა 1901 წელს, სამეგრელოს სოფელ ჯგალში. 1920 წელს, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა... მიხეილ თამარაშვილი დაიბადა 1858 წელს, ახალციხეში... სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, იგი თბილისის მიძინების ტაძრის მღვდლად გაამწესეს... ექვთიმე თაყაიშვილი დაიბადა 1863 წელს, სოფელ ლიხაურში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დასრულების შემდეგ, მან სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში... მიხეილ (მიხაკო) წერეთელი დაიბადა 1878 წლის 23 დეკემბერს, ზემო იმერეთის სოფელ ცხრუკვეთში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, მან სწავლა განაგრძო კიევის უნივერსიტეტში...

ამ ფრაგმენტებში მძიმეები ზედმეტია; არადა, ასეა შესრულებული ნამუშევრების ნახევარზე მეტი, რაც, ბუნებრივია, შეფასებებში აისახა.

რატომ სვამენ ამ შემთხვევებში მძიმეებს?

ფიქრობენ, რომ გარემოების შემდეგ მძიმე აუცილებელია.

მძიმე აუცილებელია, თუ გვაქვს ერთგვარი გარემოებები (საერთოდ, ერთგვარი წევრები); დროისა (19101 წელს...) და ადგილის გარემოებები (სამეგრელოს სოფელ ჯგალში...) ერთგვარი გარემოებები არ არის.

მით უფრო არანაირი საფუძველი არ არის მძიმისთვის მხოლოდ დროის აღმნიშვნელი სიტყვის ბოლოს (შემდეგ...).

ორწერტილი დაისმის:

- შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი წევრების ჩამოთვლის წინ:

ყველაფერი ბევრი ჰქონდა: ადგილი, მამული, სახნავი, სათესი, ვენახი;

ყველაფერი შეთანხმებული იყო: დღე, ადგილი და ნიშანი;

ხევიდან ჩანჩქერის საზარელი ხმაური ისმოდა: გლოვა, კუნესა, ტირილი...

- რთულ წინადადებაში, როდესაც წინადადების მომდევნო ნაწილში წინა ნაწილში ნათქვამის უფრო გაშლილი ახსნა-განმარტებაა მოცემული:

მამალი ნიბლია მუდამ თავის მეუღლეზე ზრუნვაში იყო: დღე დაფრინავდა მინდორში საჭმლის საზიდად, ღამე კი დარაჯობდა დედალ ნიბლიას;

სირცხვილით დამწვარი სევასტის ჯგუფი ისევ განმარტოებული იყო: ცალკე ჰამდნენ, ცალკე ეძინათ, ცალკე დადიოდნენ და ცალკე თათბირობდნენ;

დღეს საღამოს კრება იყო დანიშნული: უნდა გაესამართლებინათ ორი მეზობელი, რომლებსაც მიწაზე დავა მოსვლოდათ...

- პირდაპირი ნათქვამის წინ, თუ ის ავტორის სიტყვების შემდეგაა:

შეჰკვივლა: „მითხარ, ვინა ხარ შენა?“

მერე ჰკითხა: „ერთი ეს მითხარი, აქეთ რა ქარმა გადმოგაგდო?“

პოეტი ამბობს: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია!“

ტირე

ტირე წარმოადგენს ჰორიზონტალურ სწორ ხაზს, რომელიც დეფისის სიგრძეში ორჯერ აღემატება. ზოგჯერ იგი იხმარება ორწერტილის, მძიმისა და ფრჩხილების ადგილზე;

არცთუ იშვიათად ტირეს (-) იყენებენ დეფისის (-) ნაცვლად (თან ყოველგვარი ინტერვალის გარეშე) და პირიქით, რაც დაუშვებელია.

ტირე დაისმის:

- წინადადების ამა თუ იმ წევრის გამოტოვებისას:
წინ ხონჩით პური ედგათ, ქაშანურის თეფშზე – ცივად დანივრული დედალი მთელმა ხალხმა იცის ეს ამბავი – ერმაც და მთავრობამაც შორიდანვე გავუღიმე და სალაში მივეცი – ძალიან თავაზიანი
- განმაზოგადებელ სიტყვასთან შერწყმულ წინადადებაში, როცა განმაზოგადებელ სიტყვას უსწრებს ერთგვარი წევრები:
ხვნა, თესვა, თოხნა, მკა – ყველაფერი ისწავლა პატარა აკაკიმ;
რვეული, წიგნები, კალმები – ყველაფერი იყიდა მაღაზიაში;
ბავშვები, დედაკაცები, ხნიერები – ყველანი მოგროვდნენ...
- დიალოგის მონაწილეთა ყოველი ნათქვამის დროს:
– გეტყობათ, გოგოებო, აქაურები არა ხართ.
– არა, ქალბატონო, – მიუგო ბაბუჯამ, – სოფლელები ვართ.
– პატრონი არავინ ჩამოგყვათ?
– არა!...
– ობლები ხართ?
– არა!..
– მაშ რა ამბავია თქვენს თავსა?

დეფისი დაისმის:

- სიტყვებს შორის (ინტერვალის გარეშე) იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულია სივრცე, დრო ან რაოდენობის მიჯნები:

V-VII სართულები

50-60-იანი წლები

I-III კლასები

თბილისი-სოხუმის მატარებელი

იენის-ივლისის თვეებში...

- რთული სიტყვების (კომპოზიტების) ერთ ნაწილში (იხ. ზევით):
- ორმაგი გვარების გაფორმებისას: ერისთავ-ხოშტარია, ალექსი მესხიშვილი...
- ინიციალური წესით შედგენილი უცხოური აბრევიატურების გაფორმებისას: სი-ენ-ენი, კა-გე-ბე, ბი-ბი-სი...

ფრჩხილებში ჩაისმის:

- **სიტყვა თუ შესიტყვება, რომელიც წინა სიტყვის ახსნა-განმარტებას შეიცავს:**
იქვე ცეცხლთან იდგა ტაგანი (პატარა კოდი), ლუდით სავსე;
არგონავტების თქმულებებში მოყვანილი კოლხიდა (დასავლეთი საქართველო) გამოყვანილია მაღალი კულტურის ქვეყნად;
იოთამმა გაწმინდა სისხლიანი ზრო (ისარზე დასაგები წვეტიანი რკინა)...

ხშირად ჰგონიათ, რომ ფრჩხილებში უნდა მოთავსდეს ის, რაც შეცდომით დავწერეთ, რაც შეგვეშალა (ეს „ტრადიცია“ სკოლიდანმოდის).

სინამდვილეში ასე არ არის. შეცდომას ხაზი უნდა გადავუსვათ, ხოლო ფრჩხილებს სულ სხვა დანიშნულება აქვს (იხ. ზევით).

ბრჭყალებში ჩაისმის:

- **უცვლელად მოტანილი სხვისი ნათქვამი:**
„ალბათ, საპატიო სტუმარს ელიან“, _ ფიქრობდა ელენე;
„რა ამბავია ეს! დიდება შენს სახელს, ღმერთო!“ _ გაიფიქრა ექომ;
„ცოტა ხანს გამაგრდით, მეგობრებო!“ _ ყვიროდა იგი...
- **წიგნების, ჟურნალ-გაზეთების და ა. შ. სახელწოდებები:**
სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ გენიალური ნიმუშია ქართული მხატვრული სიტყვისა;
„ვეფხისტყაოსნის“ გმირები სიყვარულსა და მეგობრობას გვასწავლიან;
გაზეთი „მსგფსი“ ერთ-ერთი საინტერესო გამოცემა იყო 90-იანი წლების პერიოდიკაში...
- **ირონიულად ნათქვამი ან მოძველებული სიტყვები, ასევე, ბარბარიზმები:**
პლატონმა კიდევ ერთხელ შეავლო თვალი თავის „ბედაურს“;
განჯინიდან „ბუხანკა“ პური გამოიღო.
ქართულ ლაპარაკში „ხარაშოს“ ხშირად ხმარობდა.
მე მხოლოდ ავაზაკ „ბუნტოვშიკებს“ ვაჭყერინებ...

სათაურების მართლწერა

- **თხზულების, გაზეთის ან ჟურნალის ერთსიტყვიანი სახელწოდება ჩვეულებრივად იბრუნვის: ყველა ბრუნვაში დაირთავს სათანადო ნიშანს (არა აქვს მნიშვნელობა, ცალკე იქნება ის, თუ მსაზღვრელთან ერთად):**
(ლექსი) „განთიადი“, (ლექსმა) „განთიადმა“, (ლექს) „განთიადს“, (ლექსი) „განთიადის“, (ლექსი) „განთიადით“, (ლექს) „განთიადად“, (ლექსო) „განთიადო“

- ასევე (მსაზღვრელ-საზღვრულის მსგავსად) იბრუნვის ორ- და მეტსიტყვიანი სათაურები: „სურამის ციხე“, „სამოსელი პირველი“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“...
- თანდებული და ბრუნვის ნიშანი ბრჭყალების შიგნით იწერება:

პოემა „ვეფხისტყაოსანში“	და არა:	პოემა „ვეფხისტყაოსან“-ში
რომან „მთვარის მოტაცებაზე“	და არა:	რომან „მთვარის მოტაცება“-ზე
ოპერა „აბესალომ და ეთერში“...	და არა:	ოპერა „აბესალომ და ეთერ“-ში...
- თუ სათაური მოცემულია წინადადების (უბრუნველი სიტყვების) სახით, თანდებულიანია ან უკვე არის რომელიმე ბრუნვის ფორმით, უნდა ვაბრუნოთ სათაურის მსაზღვრელი სიტყვა:
 ნაწარმოებმა „და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე“
 ნაწარმოებში „მე ცის ვარსკვლავს არ შეენატრი“...
 ლექსში „არ უკიჟინო სატრფოო“
 ლექსმა „სულო ბოროტო“...

გადატანის წესები

სტრიქონიდან სტრიქონზე სიტყვის გადატანს წესები თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით მნიშვნელოვნად გამარტივდა, მისი ძირითადი პრინციპი ასეთია: გადატანისას შეიძლება სიტყვის გაწყვეტა ნებისმიერ ადგილას ერთი პირობის დაცვით – დაუშვებელია ერთი ასოს ან უხმოვნო კომპლექსის გადატანა ან დატოვება წინა სტრიქონზე.

და მაინც: ჩვენმა ნაწერმა რომ უკულტურობის შთაბეჭდილება არ დატოვოს (მხოლოდ გამოცდა ხომ არ არის!), გავიხსენოთ გადატანის უმთავრესი წესი, რომელსაც საფუძვლად უდევს დაწყებით კლასებში ნასწავლი დამარცვლის პრინციპი. სწორედ ამ პრინციპის მიხედვით გავწყვიტოთ სიტყვა სტრიქონის ბოლოს და დარჩენილი ნაწილი მეორე ხაზზე გადავიტანოთ.

მა-ტა-რე-ბე-ლი, გე-მი, ზღარ-ბი, სახ-ლი, ლაშ-ქა-რი... – ნებისმიერ დეფისთან (მარცვალთან) შეიძლება ამ სიტყვების გაწყვეტა.

ასე რომ, დეფისი გადატანის სიბოლოა (სხვათა შორის, ეროვნულ გამოცდებზე დასტურდება შემთხვევები, როდესაც გადატანის ნიშნად აბიტურიენტებს გამოყენებული აქვთ მძიმე! საკმაოდ ხშირად აბიტურიენტები გადატანისას დეფისს სვამენ სტრიქონის ბოლოსაც და მომდევნო სტრიქონის დასაწყისშიც ან მხოლოდ მომდევნო სტრიქონის დასაწყისში სვამენ გადატანის ნიშანს.

შეიძლება ეს ნიაუნები ძალიან მნიშვნელოვანი არ არის და ლიბერალური გასწორების შემთხვევაში ქულებიც არ დაგვაკლონ, მაგრამ უწიგნურობის შთაბეჭდილებას ისინი ნამდვილად ტოვებენ.

სიტყვათა შემოკლება

დაუშვებელია ქართველ ისტორიულ პირთა წერილობითი მოხსენიებისას ზედწოდებათა გვარებთან გათანაბრების შედეგად საკუთრივ სახელთა ინიციალური შემოკლება (განსაკუთრებით, ქუჩების დასახელებისას). ასეთ შემთხვევაში სახელი სრულად უნდა დაიწეროს.

უმართებულოა:

- | | |
|----------------|-----------------|
| შ. რუსთაველი | ვ. გორგასალი |
| ა. იყალთოელი | გ. ათონელი |
| გ. ჭყონდიდელი | დ. აღმაშენებელი |
| ა. კათალიკოსი | თ. მეფე |
| დ. თავდადებული | ვ. ფშაველა |
| გ. ბრწყინვალე | გ. ეპისკოპოსი |
| ე. მცირე | ი. ხუცესი... |

მცირე ორთოგრაფიული ლექსიკონი

უმართებულოა:

აბავს
აბკი
აბკურებს
აბონიმენტი
აბსკი, აპსკი
აბსოლიტური
აბსტრაქტული, აბსტრაქტიული
აბსტრაქცია
აგეოგრაფი(ა)
აგრედვე
აგრძელებს მუშაობას/ცხოვრებას...
ადამიანები/მხედრები...
ადაფტაცია
ადგავს

ადგილი აქვს გასაჩივრებას
ადგილი აქვს კლებას
ადგილი აქვს ფასების ზრდას
ადგილი აქვს შრომისნაყოფიერების ზრდას

ადგილი უკავია
ადგილობრივი მკვიდრი
ადეფტი
ადექვატ(ი)ური
ავადმყოფობ
ავანტურა
ავსილი
ავტოხთონი
ავღზრდი
ავლნიშნავ
ავლნუსხავ
ავღვრთოვანდები
ავღმყოთდები
ავღწერ

მართებულია:

აბამს
აპკი
აპკურებს
აბონემენტი
აფსკი
აბსოლუტური
აბსტრაქტული
აბსტრაქცია
ჰაგიოგრაფი(ა)
აგრეთვე
განაგრძობს მუშაობას /ცხოვრებას...
ადამიანები/მხედრები... არიან
ადაპტაცია
ადგამს

საჩივრდება
კლებულობს
იზრდება ფასები
იზრდება შრომისნაყოფიერება

ადგილი უჭირავს
მკვიდრი ან ადგილობრივი
ადეპტი
ადეკვატური
ვავადმყოფობ
ავანტიურა
ავსებული
ავტოქთონი
ავღზრდი
ავლნიშნავ
ავლნუსხავ
ავღვრთოვანდები
ავღმყოთდები
ავღწერ

ათვარიელებს
ათი ცნება (ბიბლ.)
აკლიმატიზირება
აკომპანეტორი
აკომპანიმენტი
აკრედიტირება
აკრედიტირებული
აკროსტიხი
აკსიომა
აკტი
აკუმულიატორი
ალბად
ალიბს წარმოადგენს...
ალიგორია
ალიუმინი
ალკოგოლი

ამ საქმეზე გამოძიება დაევალა
ამ სურათზე მოცემულია...

ამასთან მიმართებაში
ამაღლებს მოთხოვნა
ამაყი ვარ, რომ...
ამბორს უგებს
ამბულატორული

აშხადებს ბალახებიდან (ხიდან, ჭარხლიდან...)

ამნისტია, ამუნისტია
ამოცანად დაისახა
ამულავენებს ზრდას
ანალიზი მოგვცა
ანახებს
ანეგდოტი
ანესტეზია, ანისთეზია
ანვითარებს
ანთავისუფლებს
ანომალური
ანონიმური
ანსამბლეა
ანსახიერებს
ანსხვაებს
ანტიმონოპოლური
ანტიპატია
ანტი-საბჭოთა
ანტი-სხეული
ანტიურაჟი
ანტი-ფაშისტი
ანტი-ქართული
ანტოლოგია

ათვალიერებს
ათი მცნება
აკლიმატიზება
აკომპანიატორი
აკომპანემენტი
აკრედიტება
აკრედიტებული
აკროსტიჟი
აკსიომა
აკტი
აკუმულატორი
ალბათ
ალიბის წარმოადგენს...
ალეგორია
ალუმინი
ალკოპოლი

ამ საქმის გამოძიება დაევალა
ამ სურათზე გამოხატულია/ასახულია...

ამასთან მიმართებით
გაიზრდება მოთხოვნა
ვამაყობ, რომ...
ამბორს უყფებს
ამბულატორიული

აშხადებს ბალახებისგან (ხისგან,
ჭარხლისგან...)

ამნისტია
მიზნად დაისახა
იზრდება
ანალიზი წარმოგვიდგინა/გააანალიზა
ანახებს
ანეკდოტი
ანესთეზია
ავითარებს
ათავისუფლებს
ანომალიური
ანონიმური
ასამბლეა
ასახიერებს
ასხვაებს
ანტიმონოპოლიური
ანტიპათია
ანტისაბჭოთა
ანტისხეული
ანტურაჟი
ანტიფაშისტი
ანტიქართული
ანთოლოგია

ანტრაქტი
ანტრისოლი
ანხორციელებს
აპლოდისმენტებით შეხვდა
აპოკალიპსი
აპოლიგეტი
არ ურჩიეს იქ წასვლა
არაფხიზელ მდგომარეობაში იყო
არახისი
არდადაგები
არომატიზირება
არომატიზირებული
არტყავს

არც ერთი დღე ჩაუგდია
არც ერთი შემთხვევა ახსოვს
არც ერთი წამით მოდუნებულა
არც ერთს კრინტი დაუძრავს
არც ერთს ნირი შესცვლია
არც ერთს პროტესტი გამოუთქვამს

არცთუ მოზრდილი
არხივი
არხქიტექტურა
ასაღზრდელი
ასაღნიშნავი
ასაღრიცხავი
ასაღშფოთებელი
ასვალტი
ასიმბლიაცია
ასხავს

ატარებს დამუშავებას
ატარებს ზომებს
ატარებს მანქანას
ატარებს მარგვლას
ატარებს მუშაობას
ატარებს ნიადაგის გაფხვიერებას
ატარებს სათვალეს/საათს...
ატარებს საუბრებს/საღამოს...
ატარებს ტანსაცმელს
ატარებს ქუდს
ატარებს ღონისძიებას

ატლეთი
ატრაკციონი
ატყვილებს, ატყუილებს
აუდიო და ვიდეოტექნიკა
აუტანლად უნდა
აფსურდი
აქიდან

ანტრაქტი
ანტრესოლი
ანხორციელებს
აპლოდისმენტით შეხვდა
აპოკალიფსი
აპოლიგეტი
დაუშალეს იქ წასვლა
ნასვამი იყო
არაქისი
არდადეგები
არომატიზება
არომატიზებული
არტყამს

არც ერთი დღე არ ჩაუგდია
არც ერთი შემთხვევა არ ახსოვს
არც ერთი წამით არ მოდუნებულა
არც ერთს კრინტი არ დაუძრავს
არც ერთს ნირი არ შესცვლია
არც ერთს პროტესტი არ გამოუთქვამს

არცთუ დიდი / მომცრო
არქივი
არქიტექტურა
აღსაზრდელი
აღსანიშნავი
აღსარიცხავი
აღსაშფოთებელი
ასვალტი
ასიმბლიაცია
ასხამს

ამუშავებს
იღებს ზომებს
მართავს მანქანას
მარგვლავს
მუშაობს
აფხვიერებს ნიადაგს
უკეთია სათვალე/საათი...
მართავს საუბრებს/საღამოს...
აცვია ტანსაცმელი
ახურავს ქუდი
აწყობს ღონისძიებას

ათლეთი
ატრაქციონი
ატყუებს
აუდიო- და ვიდეოტექნიკა
ძალიან უნდა
აბსურდი
აქედან

აქით აქედ
აღვცილო მიწისგან მიწისა
აღვიარე
აღვიარებ დაიშნაბურს
აღვქნ დადო
აგალოურებს
აძლოურებს ინტერებს

აწარმოებს ბოსტნეულს
აწარმოებს გაცემას
აწარმოებს დაჯილდოებას
აწარმოებს მიღებას
აწარმოებს მომზადებას
აწარმოებს მოსავლის აღებას
აწარმოებს ყურძენს
აწარმოებს შემოვლას
აწარმოებს შესყიდვას
აწარმოებს ხორცს

აწი
აწყმო
აწყოზს ფრე...

ახდენ სასუქების შეტანას
ახდენს გააქტიურებას
ახდენს განაწილებას
ახდენს გასროლას
ახდენს დამუშავებას
ახდენს დარიგებას
ახდენს თავდასხმას
ახდენს ლობირებას
ახდენს რეგულირებას
ახდენს სტიმულირებას
ახდენს შეფუთვისას
ახდენს წესრიგში მოყვანას

ახლახანს
ახმოვანებს გადაწყვეტილებას

ახორციელებს აღებას
ახორციელებს გაყიდვას
ახორციელებს გახმოვანებას
ახორციელებს დარტყმას
ახორციელებს მხარდაჭერას
ახორციელებს შემოტანას

ბაბთა
ბაზარზე დგას/ყიდის...
ბალნიოლოგი(ა)
ბაფტისტი
ბაქტერიალური

აქეთ
აღვცილო პირისაგან მიწისა
ვაღიარე
აღიარება მოიპოვა
აღთქმა დადო
ავარიელებს
ამძაფრებს/ზრდის ინტერებს

მოჰყავს ბოსტნეული
გასცემს
აჯილდოებს
იღებს
ამზადებს
მოსავალს იღებს
კრეფს ყურძენს
შემოივლის
ყიდულობს
ამზადებს ხორცს

ამიერიდან, ამის შემდეგ
აწმყო
ხელს აძლევს ფრე...

შეაქვს სასუქები
ააქტიურებს
ანაწილებს
გაისვრის
ამუშავებს
არიგებს
თავს ესხმის
ლობირებს
არეგულირებს
ასტიმულირებს
ფუთავს
წესრიგში მოჰყავს

ახლახან
აცხადებს გადაწყვეტილებას

იღებს
ყიდის
ახმოვანებს
ურტყამს
მხარს უჭერს
შემოაქვს

ბაფთა
ბაზარში დგას/ყიდის...
ბალნიოლოგი(ა)
ბაპტისტი
ბაქტერიული

ბაქტერიოლოგიური
 ბახჩა
 ბეგემოტი
 ბეგთარი
 ბედი ეწვია
 ბედს დაადგება
 ბეჯითად ზრუნავს
 ბეჯითად მოითხოვს
 ბზეკავს, ბზიკავს
 ბოდისის გადახდა
 ბოიკოტს უწევს
 ბოლო წუთებზე გადაწყდა
 ბოლობოლო
 ბოლჩა
 ბრეცავს, ბრიცავს
 ბრონქიალური
 ბრონხიტი
 ბრუცელიოზი
 ბუდერშაფტი
 ბუტერბროდი
 ბღავიხარ
გაათავისუფლა მონობიდან
 გააკეთა განცხადება
 გაანთავისუფლებს
 გაატარეს ზომები
 გავლენას იწვევს
 გაიდილება
 გალაკტიკა
 გალერია
 გალოგენი
 გალუცინაცია
 გამარჯვება დაისაკუთრა
გამოაქანდაკებს ქვისგან...
 გამოისყიდა არასწორი საქციელი
 გამოსასვლელი დღე
 გამოსასვლელი ტანსაცმელი
 გამოუვალი ვითარება
 გამოუსწორებელი დადი
 გამოყენება აქვს, გამოყენებაშია
 გამოცდილების ჩვენების მიზნით
 გამჭირვალე

 განახორციელა გეგმა/ამოცანა
 განახორციელა დარგვა
 განახორციელა შეკეთება

 განიცადა ზარალი
 განიცადა მარცხი
 განიცადა შემცირება
 განიცადა შეფერხება
 განიცადა ცვლილება

ბაქტერიოლოგიური
 ბაღჩა
 ბეჰემოთი
 ბექთარი
 ბედი ეწია
 ბედს ეწევა
 გულმოდგინედ ზრუნავს
 დაბეჯითებით მოითხოვს
 ბზეკს
 ბოდისის მოხდა
 ბოიკოტს უცხადებს
 ბოლო წუთებში გადაწყდა
 ბოლოს და ბოლოს
 ბოხჩა
 ბრეცს
 ბრონქული
 ბრონქიტი
 ბრუცელოზი
 ბრუდერშაფტი
 ბუტერბროდი
 ბღავი
გაათავისუფლა მონობისაგან
 განაცხადა
 გაათავისუფლებს
 მიიღეს ზომები
 გავლენას ახდენს
 გაიდელება
 გალაქტიკა
 გალერეა
 ჰალოგენი
 ჰალუცინაცია
 გამარჯვება მოიპოვა
გამოაქანდაკებს ქვიდან...
 გამოასწორა საქციელი
 დასვენების/უქმე დღე
 საგარეო ტანსაცმელი
 გამოუვალი მდგომარეობა
 გამოუსწორებელი შეცდომა/ნაკლი
 გამოიყენება
 გამოცდილების საჩვენებლად
 გამჭვირვალე

 შეასრულა გეგმა/ამოცანა
 დარგო
 შეაკეთა

 დაზარალდა, იზარალა
 დამარცხდა
 შემცირდა
 შეფერხდა
 შეიცვალა

განიხილეს 8 პიროვნების საქმე
განცდილი მარცხი
განძრახ
გარედ
გარეშე პიროვნება
გარმონია
გასულ/მიმდინარე წელში
გაყიდვამია შაქარი, მარილი...
გეზი/კურსი აიღო ჩრდილოეთზე
გემოგლობინი
გენეკოლოგი, გინეკოლოგი
გენიალოგია
გენიზისი
გენიტिका
გეპატიტი
გერალდიკა
გერკულესი
გერმეტ(ი)ული
გექტარი
გზას ეწევა
გზაში დაყრილი
გზაში მიდის
გიბრიდი
გიდრავლიკა
გიპნოზი
გიპოთეზა
გლესავს, გლისავს
გლეჯავს, გლიჯავს
გლიუკოზა
გმირთა-გმირი
გობელინი
გრამაფონი
გრეხავს, გრიხავს
გრძელი მანძილი
გულიდან ვერ მოიშორა
გულს ინუგეშებს
დაახლოებით *ოცამდე*...
დააჯენს
დაბალი/მაღალი შედეგები
დაეწყო *შიშები*...
დავალება მისცა
დავალების განადგობის მიზნით
დავიწყეთ იქიდან, რომ...
დავკრივარ
დავძრწივარ
დათმობების *პოლიტიკა*
დაილოცა [დაიმუქრა] კაცმა...

დაინტერესებულია გამოძიებაში...
დაინტერესებულია *გარიგებაში*...

განიხილეს 8 პირის საქმე
დამარცხება, მარცხი
განზრახ
გარეთ
გარეშე პირი
ჰარმონია
გასულ/მიმდინარე წელს
იყიდება შაქარი, მარილი...
გეზი/კურსი აიღო ჩრდილოეთისკენ
ჰემოგლობინი
გინეკოლოგი
გენეალოგია
გენეზისი
გენეტიკა
ჰეპატიტი
ჰერალდიკა
ჰერკულესი
ჰერმეტული
ჰექტარი
გზას დაადგება
გზაზე დაყრილი
გზაზე მიდის
ჰიბრიდი
ჰიდრავლიკა
ჰიპნოზი
ჰიპოთეზა
გლესს
გლეჯს
გლიუკოზა
გმირთაგმირი
გობელენი
გრამოფონი
გრეხს
დიდი მანძილი, *გრძელი გზა*
გულიდან ვერ გადაიგდო
გულს იმშვიდებს, *თავს ინუგეშებს*
დაახლოებით *ოცი*...
დასვამს
კარგი/ცუდი შედეგები
დაეწყო *შიში*...
დაავალა
დავალების შესასრულებლად
დავიწყეთ იმით, რომ...
დავკრი
დავძრწი
დათმობის *პოლიტიკა*
დაილოცა [დაიმუქრა] კაცი...

დაინტერესებულია გამოძიებით...
დაინტერესებულია *გარიგებით*...

დაიღუპა გულის შეტევით...
დაიწია ტემპერატურამ...
დაიწყო რუსულ ენაზე
დაიწყო სროლები...
დამარცხება მიაყენა
დამზადებულ იქნა
დამოკიდებულია ხასიათისგან...

დანასისხლად იყიდება

დარტყმა მიაყენა
დაუბარია
დაუბია
დაუთესია
დაუკეტია
დაუმალა
დაურეკია
დაურტყია
დაუსხია
დაუცხრა ტკივილები...
დაუხატია
დაუხვინა
დაქრინარ
დამრწინარ
დახმარება აღმოუჩინა
დეზორგანიზირება
დეზორგანიზირებული
დემილიტარიზირება
დემილიტარიზირებული
დემობილიზირება
დემობილიზირებული
დემონსტრირება გაუკეთა
დემორალიზირება
დემორალიზირებული
დეტალიზირება
დეტალიზირებული
დეტექტივი
დეფიზი
დიდად აფიქრებს
დიდად იყენებს
დიდად კომპეტენტური
დიდად სურს
დიდად შეაფასეს
დიდის ამბით
დინამიური
დისპეკერი
დიქტაფონი
დოღზე დამკვრელი
დონის გაღრმავება

გარდაიცვალა გულის შეტევით...
დაიწია ტემპერატურა...
დაიწყო რუსული ენით
დაიწყო სროლა...
დაამარცხა / მარცხი აგება
დამზადდა
დამოკიდებულია ხასიათზე...

დანასისხლად გადაეკიდა, მამასისხლად იყიდება

დაარტყა
დაუბარავს
დაუბამს
დაუთესავს
დაუკეტავს
დაუმალავს
დაურეკავს
დაურტყამს
დაუსხამს
დაუცხრა ტკივილი...
დაუხატავს
დაუხვნავს
დაქრი
დამრწი
დაეხმარა
დეზორგანიზება
დეზორგანიზებულ
დემილიტარიზება
დემილიტარიზებული
დემობილიზება
დემობილიზებული
დემონსტრირება მოახდინა
დემორალიზება
დემორალიზებული
დეტალიზება
დეტალიზებული
დეტექტივი
დეფისი
ძალიან/ძლიერ აფიქრებს
ფართოდ იყენებს
კომპეტენტური
ძალიან სურს
კარგად შეაფასეს
დიდი ამბით
დინამიკური
დისპეტერი
დიქტოფონი
დოღის დამკვრელი
დონის ამაღლება

დოქტურანტურა
დრამატიზირება
დრამატიზირებული
დრამატიული
დროთა მანძილზე
დღეებავს, დღეებავს
ეგზემპლარი
ევოლიუცია
ეგზოტიკა

ეკონომიურ (ფიზიკურ...) მეცნიერებათა დოქტორი

ექსკავატორი
ექსკლუზივი
ექსპერიმენტი
ექსპერტი
ექსპოზიცია
ექსპრესი
ექსტრა

ელიპსი
ელიტარული
ემბრიონალური
ეპარქიალური
ეპილეფსია
ეპიტეტი
ერთი თვის მანძილზე გასტანს
ერთი საათის უკან დარეკა...
ერთის მხრივ
ერთმართველი
ერისთავთ-ერისთავი
ესეთი
ესეუ დაწერა...
ესტეტიკა
ეფერა კაგმა...
ექვივალენტი
ექთნის მოვალეობა...
ექს-კაპიტანი
ექსკორტი
ექს-მინისტრი
ექსპერიმენტალური
ექსპერიმენტი ვერ შედგა
ექსპონანტი
ექს-პრეზიდენტი
ექს-ჩემპიონი
ექსცენტრიული

ენევა ფიზიკურ ვარჯიშს
ენევა ღვინის სმას
ენევა შემის გაყიდვას

დოქტორანტურა
დრამატიზება
დრამატიზებული
დრამატული
დროთა განმავლობაში
დღეებს
ეგზემპლარი
ევოლუცია
ეგზოტიკა

ეკონომიკის (ფიზიკის...) მეცნიერებათა დოქტორი

ექსკავატორი
ექსკლუზივი
ექსპერიმენტი
ექსპერტი
ექსპოზიცია
ექსპრესი
ექსტრა

ელიფსი
ელიტური
ემბრიონული
ეპარქიული
ეპილეფსია
ეპითეტი
ერთ თვეს გასტანს
ერთი საათის წინ დარეკა...
ერთი მხრივ
ერთმართველი
ერისთავთერისთავი
ასეთი
ესე დაწერა...
ესტეტიკა
ეფერა კავი...
ექვივალენტი
ექთანის მოვალეობა...
ექსკაპიტანი
ესკორტი
ექსმინისტრი
ექსპერიმენტული
ექსპერიმენტი არ გამოვიდა
ექსპონანტი
ექსპრეზიდენტი
ექსჩემპიონი
ექსცენტრიკული

ფიზიკურად ვარჯიშობს
სვამს ღვინოს
შემას ყიდის

ეწყობა ფილმის ჩვენება
ეხვეწა კაცმა...
ეხლა
ეხლანდელი
ეხლდა
ეხო
ეხოსკოპია
ვაკხანალია

ვალდებულებას იხსნის

ვალიუტა
ვბლავივარ
ვებ-გვერდი, ვებ-პროგრამა...
ვებერთელა
ვენდენტა
ვენერიოლოგი
ვენტილიატორი
ვერ ეპუება

ვერავინ თურმე გვიშველის [გვიხსნის...]

ვერავინ მიხვდა [შეძლო...]
ვერასგზით მოხვდება [დაწერს...]
ვერაფერსაც ვხედავ [გეტყვი...]
ვერაფრით გაიგო [მივიდა...]

ვეტერინალური
ვეთრთივარ

ვიბექდები ჟურნალში...

ვიზიტი არ შედგა
ვითამ
ვინტილი
ვიოლინოზე დამკვრელი
ვიოლონჩელი
ვისთან თამაშობს
ვილაცები
ვიცინივარ
ვკივივარ
ვკონკრეტდები ამ საკითხზე
ვმღერივარ
ვნათელყოფ
ვსრულყოფ
ვტირივარ
ვტყუივარ
ვუარყოფ

უჩვენებენ ფილმს
უხვეწა კაცი...
ახლა
ახლანდელი
ახლდა
ეყო
ექოსკოპია
ბაკჰანალია

პასუხისმგებლობას იხსნის, ვალდებულებას იხდის

ვალუტა
ვბლავი
ვებგვერდი, ვებპროგრამა...
ვებერთელა
ვენდეტა
ვენერიოლოგი
ვენტილატორი
არ ეპუება

ვერავინ თურმე ვერ გვიშველის [ვერ გვიხსნის...]

ვერავინ ვერ მიხვდა [ვერ შეძლო...]
ვერასგზით ვერ მოხვდება [ვერ დაწერს...]
ვერაფერსაც ვერ ვხედავ [ვერ გეტყვი...]
ვერაფრით ვერ გაიგო [ვერ მივიდა...]

ვეტერინარული
ვეთრთი

ვიბექდებ ჟურნალში/ვიბექდება ჟურნალში...
ჩემი ლექსი...

ვიზიტი არ გამოვიდა
ვითომ
ვენტილი
ვიოლინოს დამკვრელი
ვიოლონჩელი
ვის ეთამაშება
ვილაცები
ვიცინი
ვკივი
ვაკონკრეტებ ამ საკითხს
ვმღერი
ვნათელყოფ
ვსრულყოფ
ვტირი
ვტყუი
ვუარყოფ

ვუგულებელყოფ
ვუზრუნველყოფ
ვუთანაგრძნობ
ვუკვდავყოფ
ვფიცავარ
ვღმუიხარ
ვყვივარ
ვყმუიხარ
ვშურაცხყოფ
ვჩივივარ
ვცხადყოფ
ვხვენმივარ
ვხტივარ
ვჯღობნივარ
ზეთზე დამზადებული კერძი
ზემოდ
ზეწოლას განიცდის
ზიან
ზიანი მიაყენა
ზნექავს, ზნიქავს
ზოგიერთი სახეობები...
ზრუნავს დახმარებისთვის [აშენებისთვის...]
ზრუნავს იჩენს
თადარიგს იწყებს
ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ იგი დაიბადა 1438 წელს. თამარ მეფეს მხედარმთავარ ზაქარიასათვის ომში წარმატებისათვის უბოძებია ფანასკერტის ციხე და სწორედ აქედან წარმომსდგარა ფანასკერტელთა გვარეულობაც. ამ გვარის წარმომადგენლები იყვნენ შემდგომში ცნობილი პიროვნებები თაყა და ციცი ფანასკერტელები რომლებიც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევრები ვარაუდობენ რომ სწორეთ ამ ციცის შვილი უნდა იყოს ზაზა რომელიც ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილად იწოდება.

ლუარსაბ II დაიბადა 1592 წელს. ის იყო ქართლის მეფე 1606-1615 წლებში. 14 წლისა მეფედ დაამტკიცა თბილისში მყოფმა შაჰ-აბას I-მა უცრათ გარდაცვლილი გიორგი X-ის ნაცვლად. 1611 წლის ბოლოს ლუარსაბ II-მ ცოლად შეირთო გიორგი სააკაძის და რომელსაც თავადთა მოთხოვნით მალე გაეყარა. ამას მოყვა შეთქმულება სააკაძის წინააღმდეგ. ლუარსაბ II-ს ცოლი აღარ შეურთვია თუმცა ქართლის სამეფო ტახტს პირდაპირი მემკვიდრე არ ყავდა. 1612 წელს ლუარსაბ II-მ მოაკვლევია ყაზახის ხანი მოჰამედი, რომელიც შაჰის წაქეზებით მტრობდა ქართლს. იგივე წელს ლუარსაბ II-ის და ხორეშანი ცოლად შეირთო კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა. ამით ქართლსა და კახეთს შორის შეიკრა კავშირი, რომლის მიზანი იყო ერთობლივი ბრძოლა ირანის მოსალოდნელ აგრესიის წინააღმდეგ.

1614 წლის დასაწყისში შაჰ აბას I-ის შემოსევის დროს ლუარსაბ II იმერეთში გადავიდა და სხვა ქართველ მეფებთან ერთად ოსმალეთს თხოვა დახმარება ირანის წინააღმდეგ. 1614 წლის ოქტომბერში ლუარსაბ II ქართლში დაბრუნდა და შაჰს ეახლა, რადგან ქართლი აოხრებიდან ეხსნა. შაჰმა ლუარსაბი ირანში წაიყვანა და სარწმუნოების შეცვლა მოსთხოვა რაზეც უარი მიიღო. იგი ციხეში დაამწყვდიეს. ქართველი პოლიტიკურ მოღვაწეების თხოვნით ლუარსაბ II-ის გასანთავისუფლებლად შაჰთან იშუამდგომლა რუსეთის ხელმწიფემ თუმცა უშედეგოდ. ლუარსაბ II შაჰის ბრძანებით შირაზის ციხეში საბელით მოახრჩეს 1622 წელს. იგი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

სააკაძის წინაპრები სამეფო აზნაურები იყვნენ. გიორგი სააკაძეს იმ დროის შესაფერი განათლება ქონდა მიღებული. იცოდა სპარსული და თურქული ენები. გამოირჩეოდა სამხედრო საქმის დიდი ცოდნითა და ორგანიზატორულ ნიჭით. სამოღვაწეო ასპარეზე გამოვიდა XVI საუკუნის 90-იან წლებში. სააკაძის სამხედრო და სახელმწიფოებრივი ნიჭი წარმოჩინდა ლუარსაბ II-ის მეფობაში. შინაფეოდალურ ბრძოლების აღკვეთა და თავადების ალაგვმა, ცენტრალურ ხელისუფლების გამლიერება, საქართველოს გაერთიანებისთვის ზრუნვა დიდი მოურავის მოღვაწეობის მთავარ მიზანს შეადგენდა.

სააკაძემ ქართლის მეფეს დაუმორჩილა გამდგარი მთიელები. დიდი ფეოდალი, არაგვის ერისთავი ნუგზარი, თავის-თავად შეიქმნა მეფის ერთგული რადგან გიორგის სიმამრი იყო. შესუსტდა ფეოდალთა ანარხია. სააკაძემ ყურადღება მიაქცია ქვეყნის შენებასაც, ხელი შეუწყო ომიანობის დროს მიმოფანტული მოსახლეობის უკან, ფუძეზე დაბრუნებას. ამას კი მოყვა ქვეყნის ეკონომიური მოღონიერება. სააკაძის დასი საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური დაჯგუფება იყო 1608-1612 წლებში. ამას ხელი შეუწყო იმანაც რომ ლუარსაბ II-მ ცოლათ შეირთო სააკაძის და. სააკაძემ და მისმა მომხრებმა შესძლეს ქართლის თავდაცვის-უნარიანობის აღდგენა რამაც განაპირობა ქართლის გამარჯვება ტაშისკარის ბრძოლაში 1609 წელს.

წმიდა მოწამე თევდორე მღვდელი XVII საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. ამ დროს საქართველოში მეფობდა ახალგაზრდა მეფე ლუარსაბ II. 1609 წელს ის მცირე ამალით ცხირეთის ციხეში თავის საზაფხულო რეზიდენციაში იმყოფებოდა. ოსმალებმა რომლებმაც მეფის სამყოფელი იცოდნენ, გადაწყვიტეს ყველაზე უმოკლესი გზით შეჭრილიყვენ შიდა ქართლში, ცხირეთის ციხეს თავს დასხმოდნენ, შეეპყროთ ლუარსაბი და ამ გზით მთელი საქართველო დაემორჩილებიათ. მათ სწრაფად გადმოლახეს თრიალეთი და მოულოდნელათ მოადგნენ მანგლის. ლუარსაბმა არაფერი იცოდა თავდასხმის შესახებ, მტერს კი ცხირეთამდე სულ ხუთიოდე საათის სავალი ჰრჩებოდა. მანგლისიდან მეფის საზაფხულო რეზიდენციაში რამდენიმე გზა მიდიოდა. ოსმალებს ვერ გადაეწყვიტნათ, რომელ გზას დადგომოდნენ.

მანგლისის ახლოს სოფელ კველთაში ოსმალებმა შეიპყრეს მღვდელი, სახელად თევდორე. იგი თურმე ეკლესიას კეტავდა, სხვებთან ერთად ტყეში გაქცევა ვერ მოესწრო რადგან ეკლესიის განძეულობას მალავდა. მამა თევდორეს ოსმალებმა მეგზურობის გაწევა მოსთხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას წამებით სიკვდილი ელოდა. მღვდელმა ლაშქარი გზას ააცდინა და ცხირეთს დააშორა. დიდი ხნის სიარულის მერე ოსმალები მიხვდნენ, რომ მოტყუვდნენ, შეიპყრეს მღვდელი და თავი მოკვეთეს. თევდორე მღვდელის თავდადებამ ნაყოფი გამოიღო. მეფე ლუარსაბმა ციხეში გამაგრება მოასწრო შემდეგ კი ქართველთა ლაშქარმა მოთარეშებს მუსრი გაავლო.

ქართულმა ეკლესიამ თევდორე მღვდელი წმინდანად შეჰკრაცხა.

თეიმურაზ I გამეფდა 16 წლის. მისი მცირეწლოვნების გამო სამეფოს ერთხანს დედამისი, ქეთევან დედოფალი, განაგებდა. 1614 წელს ირანის შაჰის ქართლში და კახეთში ლაშქრობის დროს თეიმურაზი იმერეთში გაიხიზნა. 1615 წელს იგი სათავეში ჩაუდგა კახეთის აჯანყებას სპარსეთის წინააღმდეგ. სპარსელებმა აჯანყება ჩაახშეს. თეიმურაზი კვლავ იმერეთში გადავიდა. შაჰის მიერ სპარსეთში მძევლათ წაყვანილი ქეთევან დედოფლის სასტიკ წამებიდან რამოდენიმე თვეში 1625 წელს გიორგი სააკაძესთან ერთად სათავეში ჩაუდგა ბრძოლას ირანელთა წინააღმდეგ. მრავალწლიანმა წინააღმდეგობამ ირანის შაჰი აიძულა დათმობებზე წასულიყო. მან მოლაპარაკება გამართა თეიმურაზისთან და იგი ფაქტიურად სცნო ქართლ-კახეთის მეფედ. თეიმურაზი განაგრძნობდა სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ამიტომ 1632 წელს შაჰმა ქართლის ტახტი გამაჰმადიანებულ როსტომს გადასცა.

თეიმურაზ I-ს რუსეთის დახმარების იმედი ქონდა და ამიტომ მოსკოვში არა-ერთი ელჩობა გაგზავნა, 1658 წელს კი თვითონაც გაემგზავრა მაგრამ ამაოდ. როცა თეიმურაზმა ყოველგვარი დახმარების იმედი დაჰკარგა, იგი ბერად აღიკვეცა (1661 წელს). მალე ირანში გაიწვიეს და გამაჰმადიანების სანაცვლოდ კახეთის სამეფო ტახტის დაბრუნება აღუთქვეს. რჯულის შეცვლაზე თეიმურაზმა უარი განაცხადა რისთვისაც იგი გამოამწყვდიეს ციხეში სადაც მალე გარდაიცვალა.

მისი ნეშტი ქართველებმა სამშობლოში ჩამოასვენეს და ალავერდის მონასტერში დაკრძალეს.

ბიძინა ჩოლოყაშვილი და ქსნის ერისთავები, შალვა და ელიზბარი, XVII-ე საუკუნეში მოწამებრივად აღსრულებული ქართველი წმინდანები არიან.

XVII საუკუნეში სპარსელებმა კახეთი უმოწყალოთ ააოხრეს. ამ კუთხის მთავარმა, ბიძინა ჩოლოყაშვილმა, თავს იდგა კახეთის გათავისუფლება მტრისგან. ის დაუკავშირდა ქსნის ერისთავებს, შალვას და ელიზბარს, და მოკავშირეობაზე დაითანხმა. შეთქმულები ღამით თავს დაესხნენ ბახტრიონის ციხეს და მუსრი გაავლეს იქ დაბანაკებულ მტერს. იგივე დღეს, 1659 წლის ალავერდობის დღესასწაულზე, მიუხდნენ ალავერდში მყოფ ყიზილბაშებს და ერთიანად ამოსწყვიტეს.

განრისხებულ შაჰ-აბასმა აჯანყების თაოსნები თავისთან დაიბარა. ბიძინამ, შალვამ და ელიზბარიმ იცოდნენ რომ შაჰისგან დანდობა არ ექნებოდათ მაგრამ დამპყრობელთან მაინც გაემგზავრენ. შაჰმა პატივით ისტუმრა ქართველი დიდებულები და სიმდიდრისა და პატივის საფასურად სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვა რაზეც უარი მიიღო. მაშინ წმინდანები ძალიან სასტიკად აწამეს, შალვას და ელიზბარს თავები მოკვეთეს, ხოლო ბიძინას ჩადრი დაახურეს, ვირზე შესვეს და ქუჩაქუჩა ატარეს თუმცა ბიძინა დამცირებამ ვერ გასტეხა. ხანგრძლივი წამების შემდეგ წმინდა მოწამე შუბით განგმირეს.

სარწმუნოებისთვის წამებულთა ნეშთის გამოსხნა მხოლოდ მრავალ წლების შემდეგ მოხერხდა. გმირები იკორთის მთავარანგელოზის ტაძარში დაკრძალეს.

ლევან II დადიანი იყო ოდიშის მთავარი 1611-1657 წლებში. 1612 წელს ის დაუკავშირდა გურიისა და აფხაზეთის მთავრებს რადგან დაპირისპირებოდა იმერეთის მეფე გიორგი III-ს რომელსაც 1623 წელს დამარცხება მიაყენა გოჭოურასთან.

მომდევნო წლებში იგი ხშირათ თავს ესხმოდა აფხაზეთის სამთავროს. 1625 წელს ტახტიდან ჩამოაგდო გურიის მთავარი სიმონი და მის ნაცვლად ტახტზე აფხაზეთის კათოლიკოსი მალაქია გურიელი აიყვანა. ამის შემდეგ სიკვდილამდე გურიის სამთავრო მას ემორჩილებოდა. 1633 წელს ლევან დადიანმა ქართლის მეფე როსტომს მისი და მარიამი მიათხოვა. ამ აქტით ლევანიმ კავშირი გააბა ირანთან საიდანაც ფულად სუფსიდიებს იღებდა. ლევან დადიანი სულ ცდილობდა მის მფლობელობაში გაერთიანებია დასავლეთ საქართველო მაგრამ იმერეთისა და აფხაზეთის დამორჩილება ვერ შესძლო. დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისკენ მიმართული მისი ბრძოლა ქვეყნის გაჩანაგების ერთ ერთ მიზეზად იქცა.

1636 წელს ლევან დადიანი შეეცადა ურთიერთობა დაემყარებინა რუსეთთან მაგრამ მისი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ლევან II-ს კარგად ესმოდა ქვეყნის ევროპულად გარდაქმნის აუცილებლობა. იგი ოდიშის სამთავროში იწვევდა ევროპელ ვაჭრებსა და ხელოსნებს. აქტიურად ეწეოდა სამთავროს ეკონომიური და კულტურული აღმშენებლობის საქმეს. რუხი ქალაქად აქცია და ზარაფხანა გახსნა. მან შეაკეთა და ააგო მრავალი ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტერი. დადიანის კარზე გადაიწერა „ვეფხისტყაოსანის“ დღემდე შემორჩენილი ყველაზე უძველესი დათარიღებული ხელნაწერი რომელიც მამუკა თავაქალაშვილის მიერაა შესრულებული.

ვახტანგ V, შაჰნავაზი იყო ქართლის მეფე 1658-1675 წლებში. 1654 წელს ირანში მაჰმადიანობა მიაღებინეს და შაჰნავაზი უწოდეს. ვახტანგ V-ის პოლიტიკის მიზანი იყო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან მჭიდრო კავშირი ქართლის გეგემონობით, ცენტრალურ ხელისუფლების განმტკიცება, ეკონომიური წინსვლისთვის ხელის შეწყობა.

ვახტანგ V-მ მოაკვლევია კახეთის ფაქტიური გამგებელი ზაალ არაგვის ერისთავი და კახეთი მისი გავლენის სფეროში მოაქცია. მან ისარგებლა იმერეთის სამეფოში მომხდარ არეულობით, შეუთანხმდა სამეგრელოს მთავარ ვამეყ III დადიანს, იმერეთის დიდი ნაწილის დაკავება მოახდინა და თავისი უმფროსი ვაჟი არჩილი იმერეთის ტახტზე აიყვანა (1661 წ). მან გურიელთან მეგობრული კავშირი დაამყარა, აფხაზეთის მთავარმაც მორჩილება განუცხადა და ამრიგად თითქმის მთელი საქართველო გაერთიანდა მისი თაოსნობით. მალე ოსმალების მოთხოვნით ვახტანგ V იძულებული გახდა იმერეთიდან გაეყვანა არჩილი. ვახტანგ V შეეცადა არჩილი კახეთის მეფედ დაესვა მაგრამ მის მეტოქედ ერეკლე I გამოვიდა. ვახტანგ V-ის მეორე ვაჟი ლუარსაბი ახალციხეში გაიქცა რადგან იქიდან ოსმალეთის დახმარებით იმერეთის ტახტი დაეკავებია (არჩილიც მას გაყვა). ამის გამო 1675 წელს ირანის შაჰმა ვახტანგ V თავისთან დაიბარა. ირანს მიმავალი მეფე გზაზე ავით გახდა და გარდაიცვალა. დასაფლავებულია ქ. ყუმში.

არჩილ II, ვახტანგ V შაჰნავაზის ძე, დაიბადა 1647 წელს. მამამისმა, მეფე ვახტანგმა, დასავლეთ საქართველოში ამტყდარი არეულობით ისარგებლა, ჯარით გადავიდა იმერეთში და ტახტზე მეფედ დასვა 14 წლის არჩილი თუმცა ამან ოსმალეთის სულთანს გაანრისხა რომელმაც მუქარის წერილი აფრინა ირანის შაჰთან. შაჰ აბას II-მ არჩილი თავისთან დაიბარა, დიდის პატივით მიიღო და რჯულიც შეაცვლევია. არჩილმა სამართავად კახეთი ჩაიბარა.

არჩილმა კახეთის დედაქალაქი გრემიდან თელავში გადაიტანა, გაანახლა ეკლესიები, ააშენა მრავალი სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობები. კახეთის მოღონიერებით უკმაყოფილო ირანის შაჰმა მეფის ტახტი თეიმურაზ I-ის შვილი-შვილს, ერეკლე ბატონიშვილს აღუთქვა. არჩილი იმერეთში გადავიდა და იქ ოთხ-ჯერ შეეცადა გამეფებას, მაგრამ ოსმალთა მხარდაჭერით იმერეთის თავად-აზნაურობამ ოთხჯერვე გააძევეს. 1680 წელს არჩილმა რუსეთს მიმართა დახმარებისთვის თუმცა ტახტი ვერც ამ გზით დაიბრუნა და 1699 წელს საბოლოოდ გადასახლდა რუსეთში.

პეტრე I-მა მეფე და მისი ოჯახი გულთბილათ მიიღო და მოსკოვის მახლობელად, სოფელ ვსესვიატსკოეში დაასახლა. არჩილი ფაქტიურად ჩამოცილდა პოლიტიკურ ცხოვრებას, დაარსა სტამბა და ფართე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას მიყო ხელი.

დაკრძალულია მოსკოვში, მის მიერვე აღორძინებულ დონის მონასტერში.

ვახტანგ VI დაიბადა 1675 წელს. ის იყო ქართლის გამგებელი 1703-1714 წლებში ხოლო მეფე 1716-1724 წლებში.

ვახტანგ VI იბრძოდა ქვეყანაში წესრიგის აღდგენისთვის და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისთვის. მან თავიდან მოიცილა ქართლის სამეფო კარზე მოკალათებული მერყევი და საეჭვო ელემენტები, აღადგინა ქართული წესჩვეულებები. „მცველთა ჯარის“, ანუ, სამეფო გვარდიის შექმნით მან დასთრგუნა ურჩი ფეოდალები და ფართე ბრძოლა გააჩაღა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიური და კულტურულ განვითარებისათვის. ქვეყანაში დაიწყო ამაღლებლობის პერიოდი.

1712 წელს ირანის შაჰმა ვახტანგ VI ტახტზე დასამტკიცებლად ისპაჰანში გაიწვია და გამაჰმადიანება მოთხოვა. ქრისტიანმა მეფემ შაჰს უარი უთხრა რის გამოც იგი ქირმანში გადაასახლეს თუმცა 1716 წელს მან ფორმალურად მაინც მიიღო ისლამი და საქართველოში 1719 წელს დაბრუნდა. ამ პერიოდიდან საგარეო ვითარება საქართველოს საწინააღმდეგოთ წარიმართა. ვახტანგის რუსეთის მოკავშირეობის იმედი ქონდა მაგრამ ამაოდ დაშვრა. რუსეთან კავშირის მცდელობამ გააცოცხლა ირანი და ოსმალეთი. 1723 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ოსმალეთი დაეპატრონა. ირანიც მზად იყო საქართველოს დასაპყრობად. გარეშე საფრთხეს შინაური აშლილობაც დაემატა. 1724 წელს ვახტანგი 1200 კაციანი ამალით რუსეთში გაემგზავრა მაგრამ ნანატრ დახმარების ლოდინში ქალაქ ასტრახანში გარდაიცვალა. დაკრძალულია იქვე მიძინების ტაძარში.

სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა სოფ. ტანშიაში 1658 წელს. ის იყო დიდი ქართველი მწერალი, მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე. სულხან-საბამ მიიღო კარგი სასულიერო და საერო განათლება. სამეფო კარზე მას დაევალა მომავალ ტახტის მემკვიდრის – ვახტანგ ლევანის ძის (ვახტანგ VI-ის) აღზრდა. 1698 წელს საბას სახელით ბერათ აღიკვეცა დავითგარეჯის მონასტერში. 1703 წლიდან ქართლის ახალი მეფის, ვახტანგ VI-ის, დავალებით ორბელიანმა დიპლომატიურ მისიით იმოგზაურა სხვა და სხვა ქვეყნებში, მათ შორის, საფრანგეთში და იტალიაში (1713-1716 წწ.). ეს მისსია წარუმატებელი აღმოჩნდა. იმედ-გაცრუებულმა სულხან-საბამ დიდის გაჭირვებით ჩამოაღწია სამშობლოში. 1685-1716 წლებში მან დაწერა ქართული ლექსიკონი – „სიტყვის კონა“.

სულხან-საბა ორბელიანის ორიგინალურ თხზულებებიდან ყველაზე უმნიშვნელოვანესია იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე სიცრუისა“ (1686 - 1695 წწ.). ქართული დოკუმენტური პროზის ერთ-ერთი პირველი და უნიკალური ნიმუშია სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“. 1724 წელს როცა ვახტანგ VI-მ რუსეთში დააპირა წასვლა მან მოსკოვში წინასწარი მოლაპარაკებისათვის სულხანსაბა გაჰგზავნა, მაგრამ საბას არ დაცალდა უკანასკნელ მისიის აღსრულება. იგი მოსკოვში მალე 1725 წელს გარდაიცვალა.

თეიმურაზ II დაიბადა 1700 წელს. იგი იყო კახეთის მეფე 1709-1715 წლებში, გამგებელი 1733-1744 წლებში, ქართლის მეფე – 1744-1762 წლებში. მან მოქნილი საგარეო პოლიტიკით შესძლო ქართლისა და კახეთის შემომტკიცება. თეიმურაზიმ კახეთში თავისი შვილი ერეკლე II გაამეფა, თითონ კი ქართლი დაიჭირა და ამ გზით ქართლისა და კახეთის სამეფოთა გაერთიანებას ჩაუყარა დასაბამი. 1745 წელს თეიმურაზ II ძველი ქართული წესით ეკურთხა ქართლის მეფედ სვეტიცხოველში თუმცა ქართლ-კახეთი ირანთან ჯერ კიდევ ვასალურ დამოკიდებულებაში იყო. მისი გაერთიანება მამაშვილის ხელში და ქრისტიანულ წესით მეფედ კურთხევა დიდი მიღწევა იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოების გზაზე. თეიმურაზ II-მ ერეკლე მეფესთან ერთად დაიწყო ბრძოლა დადესტანელი ფეოდალების გამუდმებულ თავდასხმების წინააღმდეგ. ამასთანავე იგი წარმატებით ებრძოდა ამიერ-კავკასიაში გაბატონების მოსურნე ხანებს. საგარეო პოლიტიკაში თეიმურაზ II რუსულ ორიენტაციის მომხრე იყო. 1760 წლის აპრილში იგი დახმარების სათხოვნელათ გაემგზავრა რუსეთში მაგრამ რუსეთი შვიდ-წლიან ომში იყო ჩამბული და აკტიურად ვერ გამოეხმაურა თეიმურაზ მეორეს წინადადებას.

თეიმურაზ II გარდაიცვალა 1762 წელს პეტერბურგში. დასაფლავებულია ასტრახანის მიძინების ტაძარში.

ერეკლე II, ჯერ კახეთის (1744-1762 წწ) შემდეგ კი ქართლ-კახეთის მეფე (1762-98 წწ), იყო უზადლო მეომარი და შესანიშნავი სტრატეგი. იგი უდიდეს ავტორიტეტით სარგებლობდა იმდროინდელ ევროპაში და ახლო აღმოსავლეთში.

1744 წელს ქართლში ერეკლეს მამა თეიმურაზი გამეფდა, ხოლო ერეკლე კახეთს განაგებდა. თეიმურაზის გარდაცვალების შედეგად (1762 წ) ქართლ-კახეთში ერთმეფობის დამყარება საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო.

მე-18 საუკუნის 80-იან წლებიდან უკიდურესად გართულებულ საგარეო ვითარების გამო ერეკლე II იძულებული გახდა რუსეთს დაკავშირებოდა და 1783 წელს მასთან ხელშეკრულება (ტრაქტატი) დაედო რომელიც რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის სამხედრო დახმარებას გულისხმობდა. რუსეთმა ამ ტრაქტატის თითქმის ყველა მუხლები დაარღვია. ერეკლეს მწარედ მოსტყუვდა: რუსეთს დახმარება კი არა, საქართველოს დაპყრობა ჰსურდა.

მიუხედავად იმისა რომ ერეკლეს მძიმე მემკვიდრეობა ერგო წილად, თავისი სამშობლოს პატრიოტმა მეფემ შესძლო ყველა ჭეშმარიტი ქართველის სიყვარული დაემსახურებია. მისი საქმები ზეპირსიტყვიერებაში და სიმღერებში აისახა. ერეკლეს სახელი ეროვნული დამოკიდებულობისა და თავისუფლების სიმბოლოთ იქცა. გარდაიცვალა 1798 წელს, 78 წლისა. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, ვახტანგ გორგასალის გვერდზე.

წმიდა მეფე სოლომონ II დაიბადა 1772 წელს. მამამისი იმერეთის მეფე სოლომონ I-ის ძმა იყო, დედა, ელენე კი ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორეს ასული. დავითი (ასე ერქვა სოლომონ მეორეს გამეფებამდე) ძირითადად დედუღეთში იზრდებოდა. უმემკვიდროდ დარჩენილმა იმერეთის მეფე სოლომონ I-მა სიცოცხლეშივე უანდერძა მას ტახტი. თორმეტი წლის იყო დავითი როდესაც იმერეთის მეფე სოლომონ I გარდაიცვალა. სოლომონ II-მ ბევრი სასიკეთო ცვლილებები განახორციელა სამეფოში. მან გააძლიერა ეკლესია და დააწინაურა ღირსეული ადამიანები. იგი საკუთარ მამულებით აჯილდოვებდა ქვეყნის ერდგულ თავადებს,

1804 წლის 25 აპრილში სოლომონიმ რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარა. ფორმალურად სოლომონი ხელისუფლებას ინარჩუნებდა მაგრამ, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, მეფე სრულიად უუფლებოდ დარჩა. მეფე ტახტის დაკარგვას ვერ ურიგდებოდა. 1810 წელს რუსეთის სარდლობამ სოლომონ II ტახტიდან ჩამოაგდო და იმერეთში რუსეთის მართველობა გამოაცხადა. სოლომონი თანახმა იყო მეფობაზედ უარი ეთქვა, სანაცვლოთ მხოლოდ იმერეთში ცხოვრების უფლებას ითხოვდა მაგრამ მოლაპარაკებებზე მისული მეფე მოტყუებით დაატყვევეს და ჩაიყვანეს თბილისში საიდანაც სოლომონი გეიქვა და თავი ახალციხეს საფაშოს შეაფარა. 1815 წელს სოლომონი დევნილობაში გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს ტრაპიზონის წმ. გიორგის სახელობის ბერძნულ ეკლესიის გალავანში. 1990 წელს მეფის ცხედარი საქართველოში ჩამოასვენეს და გელათის მეფეთა სამკალებში დაკრძალეს.

გიორგი XII მე-18 საუკუნის 60-იანი წლებიდან დებულობდა მონაწილეობას სახელმწიფო საქმეებში. როცა ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ 1798 წლის იანვარში გამეფდა იგი მძიმე ავამდყოფი იყო. მისი მეფობისას ქართლ-კახეთში მეტად რთული საშინაო და საგარეო ვითარება იყო. გიორგი XII ზრუნავდა ირანელთა 1795 წლის შემოსევის შედეგათ დანგრეული თბილისის აღდგენისთვის. საგარეო პოლიტიკაში გიორგი XII რუსეთთან ტრადიციულ ურთიერთობის კურსს იცავდა. იგი მოითხოვდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შესრულებას და საქართველოში რუსეთის ჯარის შემოყვანას რომლის დახმარებით ფიქრობდა საშინაო და საგარეო პოლიტიკურ სიძნელებიდან თავის დაღწევას.

რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსვლამ ვერ გამოაკეთა ქართლ-კახეთის მდგომარეობა. ასეთ ვითარებაში გიორგი XII-მ თანხმობა განაცხადა შეეზღუდნათ 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული მეფის უფლებანი ოღონდ მისთვის და მისი შთამომავლებისთვის მეფობა შეენარჩუნებიათ. რუსეთის მთავრობა ჰხედავდა ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობას და ამ სამეფოს გასაუქმებლად ხელ-საყრელ მომენტს ელოდა. გიორგი XII გარდაიცვალა თბილისში 1800 წლის 28 დეკემბერს. იგი დასაფლავებულია სვეტიცხოველში. მისი გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა.

დავალებები ასე უნდა შეგვესრულებინა:

1

საქართველოს ისტორიაში დიდი ადგილი უჭირავს მეფე ფარნავაზს.

ფარნავაზი იყო ქართლის მეფე, რომელმაც შექმნა ერთიანი სამეფო, დაამკვიდრა ქართული ანბანი, გამაგრა ქალაქი მცხეთა, საფუძველი ჩაუყარა ფარნავაზიანთა დინასტიას და სხვ. იგი იყო ქართლის მამასახლისის, სამარას, ძმისწული, მამით – ქართლოსიანი, დედით – სპარსელი. ფარნავაზი გამეფდა ოცდაშვიდი წლის ასაკში. მან ქართლი დაყო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად – საერისთავოებად. ერისთავებს ევალებოდათ საერისთავოში ჯარის შეკრება და მისი სარდლობა, ხარკის აკრეფა, სხვადასხვა ადმინისტრაციული საკითხის გადაწყვეტა. სულ შეიქმნა რვა საერისთავო. მათ რიცხვში შედიოდა ეგრისიც, რომელსაც ქუჯი განაგებდა. სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი პროვინცია, შიდა ქართლი, დაექვემდებარა სპასპეტს. სპასპეტი მეფის შემდეგ მეორე პირი იყო სამეფოში და ერისთავებიც პირადად მას ემორჩილებოდნენ.

ქუჯის, ნიშნად იმ დიდი დამსახურებისა, რომელიც მას მიუძღოდა ფარნავაზის წინაშე, ქართლის მეფე ფარნავაზმა ცოლად მიათხოვა თავისი და. მეორე და ოსთა ხელმწიფემ ითხოვა, თავად კი ცოლად ჩრდილოკავკასიელი (დურძუკი) ქალი მოიყვანა. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი ფარნავაზს მიაწერს ქართული ანბანის შექმნასა და ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას. ფარნავაზის სიკვდილის შემდეგ ქართლში სამეფო დინასტია მისმა შვილმა გააგრძელა.

2

ქუჯი იყო კოლხეთის მმართველი დაახლოებით ძვ. წ. 325 - ძვ. წ. 280 წლებში. ის იყო ქართლის მეფის, ფარნავაზის, მოკავშირე და თანამებრძოლი. მაკედონელი სარდლის, აზონის, წინააღმდეგ ომში ფარნავაზმა დახმარება ქუჯის სთხოვა. ეგრისის მმართველმა მისი წინადადება მიიღო და ქართლის მეფეს შეუერთდა. ფარნავაზი დედასა და დებთან ერთად ეგრისში გადავიდა. ქუჯიმ ქართული სახელმწიფოს გაერთიანებისათვის დაწყებულ ბრძოლაში პირველობა ფარნავაზს დაუთმო: „შენ გეკუთვნის „უფლობა ჩვენი“, როგორც აღმოსავლეთ ქართველს, ანუ, ქართლოსის პირდაპირ ჩამომავალსო“, – ასეთი იყო მისი არგუმენტი და პოზიცია.

ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის რამდენიმე წელს გაგრძელდა და ფარნავაზის გამარჯვებით დასრულდა. ქართლის მეფემ ერისთავ ქუჯის საკუთარი და მიათხოვა ცოლად და მათი მოკავშირეობა ნათესაობითაც განამტკიცა.

ქუჯი ერისთავმა ეგრისის შუაგულში ააშენა დიდი ქალაქი ციხე-გოჯი, რომლის ნანგრევები დღესაც იწვევს მნახველთა გაოცებას.

3

ფარსმან II იყო იბერიის მეფე, რომელსაც სიმამაცისა და ვაჟკაცობისთვის ქველი ეწოდა. მეფობდა მეორე საუკუნეში. მის დროს იბერიის სამეფო მეტად გაძლიერდა. მეფობის დასაწყისშივე, დაახლ. 125 წელს, ფარსმანმა ილაშქრა ალბანეთსა და კაბადოკიაში, 130 წლისთვის კი მას უკვე მთელი სამხრეთ კავკასია ემორჩილებოდა; სომხეთის სამეფო იბერიის ვასალი გახდა, რამაც ძლიერ გაანაწყენა რომი. რომის იმპერატორმა ფარსმანი რომში მიიწვია. ფარსმანმა ცივი უარი სტკიცა. ადრიაწემ იბერიასთან ომი ვერ გაბედა და ფარსმანს ძღვნად ორმოცდაათი ლეგიონერი და საბრძოლო სპილო გამოუგზავნა. მალე ურთიერთობა რომსა და იბერიას შორის კიდევ უფრო გაუმჯობესდა. 144 წელს რომის ახალი იმპერატორის მიწვევით ფარსმან II ოჯახითურთ რომში სტუმრად ჩავიდა. გაფორმდა ხელშეკრულება რომის და იბერიის მოკავშირეობისა. ფარსმანის ამაღამ მხედრული ჯირითი მოაწყო მარსის ველზე, სადაც შემდეგ იმპერატორის ბრძანებით ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ქანდაკება დადგეს. რომმა აღიარა იბერიის ჰეგემონია სამხრეთ კავკასიაში.

იბერიის გაძლიერებით უკმაყოფილო იყო პართია. დაახლ. 150-155 წლებში პართიის მეფემ ორჯერ ილაშქრა იბერიის წინააღმდეგ, თუმცა ფარსმან II-მ ორჯერვე სასტიკად დაამარცხა და უკუაგდო მტრის

ლაშქარი. მალე ფარსმან ქველი იმდენად გაძლიერდა, რომ თვითონ ილაშქრა პართიის წინააღმდეგ. მან დაამარცხა პართიელები და მათი დედაქალაქიც აიღო.

დაახლ. 160-იან წლებში ფარსმან ქველი გარდაიცვალა. როგორც ისტორიული გადმოცემა გვაუწყებს, იგი მოწამლა პართიელების მიერ მოსყიდულმა მზარეულმა.

4

მირიან მეფე და ნანა დედოფალი IV საუკუნეში ცხოვრობდნენ. მეფე მირიანი ერთობ განსწავლული ყოფილა და ქვეყანაც ძალიან ჰყვარებია. მას არაერთხელ უბრძოლია თავისი მიწა-წყლისთვის და მრავალგზის დაუმარცხებია მტერი. მეფობის დასაწყისში მირიანი ირანელებთან ერთად იბრძოდა რომაელების წინააღმდეგ. სწორედ მირიანის მეფობის დროს გამოჩნდა ქართლში კაბადოკიელი ქალწული ნინო, რომელიც ხალხს ქრისტეს სჯულს უქადაგებდა და მრავალ სასწაულს აღასრულებდა. ერთხელ ნანა დედოფალი მიიმედა დასნეულდა და წმინდა ნინოს ლოცვამ იგი უქვევლი სიკვდილისგან იხსნა, რის შემდეგაც ნანა დედოფალმა აღიარა ქრისტეს სარწმუნოების ჭეშმარიტება.

დედოფლის განკურნების შემდეგ მირიან მეფეც დაინტერესდა ქრისტიანული სარწმუნოებით. ერთხელ მირიანი სანადიროდ წავიდა. ნადირობისას ჩამოხედა და ირგვლივ უკუნჩა ჩამოწვა. მირიანმა თავის კერპებს შესთხოვა დახმარება, სინათლე არსაიდან ჩანდა. სასოწარკვეთილ მირიანს ნინოს ღმერთი გაახსენდა. მას გულით შესთხოვა ხსნა და დაჰპირდა, რომ სამუდამოდ თავყანს სცემდა ჯვარს და სალოცავებს ააშენებდა. დაასრულა თუ არა მირიანმა თხოვნა, მოხდა სასწაული, სიბნელე გაიფანტა და ირგვლივ ყველაფერი განათდა. მცხეთაში დაბრუნებული მეფე ნინოს ეახლა, მისი რჩევით საბერძნეთის იმპერატორ კონსტანტინესთან ელჩები წარავლინა და ნათლისღების აღსასრულებლად სამღვდელოების გამოგზავნა სთხოვა.

326 წელს ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. საქართველოს ეკლესიამ მეფე მირიანი და ნანა დედოფალი წმინდანებად შერაცხა.

5

კაბადოკიელი ქალწული ნინო წმინდა გიორგის ახლო ნათესავად ერგებოდა და სახელგანთქმული მშობლების შვილი იყო. რომის მხედარმთავრ ზაბულონს და იერუსალიმის პატრიარქის დას, სოსანას, ეს ერთადერთი ასული ჰყავდათ. როდესაც ნინოს თორმეტი წელი შეუსრულდა, მშობლებმა ყველაფერი გაყიდეს და იერუსალიმში გადასახლდნენ.

წმინდა ქალაქში ზაბულონმა ბერად აღკვეცა გადაწყვიტა, გამოემშვიდობა ოჯახსა და უდაბნოს მიაშურა. იერუსალიმის პატრიარქმა ნინო აღაზრდელად მისცა სარა ნიაფორს რომელიც ქრისტიანულად ზრდიდა ქალწულს და უამბო, როგორ მოხვდა ქრისტეს კვართი წარმართთა ქვეყანაში – საქართველოში.

ამ დღიდან ნინო მხურვალედ ევედრებოდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, რომ საქართველოს ნახვისა და ქრისტეს პერანგის თავყანისცემის ღირსი გაეხადა. მარიამმა შეისმინა მისი ვედრება, სიზმარში გამოეცხადა და უთხრა: წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში, იქადაგე სახარება უფლისა იესო ქრისტესი და მე ვიქნები შენი მფარველი. ამაზე ნეტარმა ნინომ უპასუხა: როგორ შემძლია მე, სუსტ ქალს, ასეთი დიდი სამსახური გავუწიო ქრისტეს? ღვთისმშობელმა ხილული და უხილავი მტრისგან დასაცავად ვაზის ჯვარი მისცა. გამოღვიძებულ ნინოს ხელში ჯვარი ჰქონდა. ნინომ პატრიარქს გაუმჟღავნა საქართველოში საქადაგებლად წასვლის სურვილი. პატრიარქმა გზა დაულოცა.

6

წმიდა მოწამე მირდატ მეფე ყრმობიდანვე გამოირჩეოდა სამეფო თვისებებით. ახოვნება და უშიშრობა ბავშვობიდანვე დაჰყვა საქართველოს უფლისწულს. მოზღვავებულმა ძალმოსილებამ საკუთარ ვაკეკობასა და მხნეობაზე მიწოდებლ მეფეს ქართლის სამეფოს სრული განთავისუფლება და გაძლიერება დაასახვინა მიზნად. მირდატ მეფე „მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა“. სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ხელმწიფე ბიზანტიისაგან დაპყრობილი ტაო-კლარჯეთის დაბრუნებას ესწრაფოდა, ხოლო სპარსეთს კი ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევის უფლებას არ აძლევდა და მისთვის ხარკის გადახდაზეც ცივ უარს აცხადებდა. იგი თავისი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და გაძლიერებისთვის დაუცხრომელად იღვწოდა.

ბუნებრივია, ამას არც ბიზანტია და არც სპარსეთი დიდხანს არ შეუროგდებოდნენ და სპარსთა მეფემ ძლიერი მხედრობა გამოაგზავნა ქართველთა მეფის დასასჯელად. მირდატი მოძალადეებს მცირედი

მხედრობით გარდაბანთან მიეგება და ფიცხელი ბრძოლა გაუმართა, თუმცა ქართველები დამარცხდნენ მტრის აურაცხელ ლაშქართან. მირდატ მეფე მტერმა ტყვედ ჩაიგდო. ქართველ გვირგვინოსანს სპარსთა მეფემ მამინვე რჯულის გამოცვლა მოსთხოვა, მაგრამ ცივი უარი მიიღო. ბევრი ტანჯეს და აწამეს სპარსელებმა მირდატი, უხვ წყალობასა და დიდებასაც დაჰპირდნენ, მაგრამ ამოდ, ქართველთა ხელმწიფემ ქრისტიანობის ღალატს ისევ ტყვედ დარჩენა ამჯობინა. ბორკილდადებული და ნატანჯი მირდატი სპარსელებმა ბაღდადის ციხეში ჩააგდეს, სადაც მცირე ხნის შემდეგ აღესრულა კიდეც (410 წ.).

7

V საუკუნის პირველ ნახევარში ქართლი ერთადერთი ქვეყანა იყო ამიერკავკასიაში, სადაც ადგილობრივი მეფის ხელისუფლება ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო. როცა ვახტანგ გორგასალი ტახტზე ავიდა, ქართლში რთული ვითარება იყო. დიდაზნაურობა ირანის შაჰთან დაახლოებას ცდილობდა. შაჰი მათ საკუთარი მეფის წინააღმდეგ აქეზებდა. ამის მაგალითი იყო ვარსკენ პიტიახშის მოქმედება. ვარსკენმა, რომელიც ქვემო ქართლის მმართველი იყო, ქრისტიანობა უარყო და მაზდეანობა მიიღო. კიდევ უფრო რომ დაახლოებოდა ირანის შაჰს, ვარსკენმა თავის ცოლს, შუშანიკს, უბრძანა ქრისტიანობის უარყოფა, თუმცა შუშანიკი არ დათანხმდა და მოწამებრივი სიკვდილის გზა აირჩია.

ვახტანგმა ბრძანება გასცა, მოეკლათ ვარსკენ პიტიახში. ეს მოხდა 482 წელს.

ვახტანგ მეფემ ააგო არტანუჯის ციხე, რომელიც ერისთავის რეზიდენციად იქცა.

VIII საუკუნის I ნახევარში არტანუჯის ციხე მურვან ყრუმ დაანგრია. IX საუკუნეში იგი განაახლა აშოტ კურაპალატმა. მანვე დააარსა აქ ქალაქი და ააგო ეკლესია. X საუკუნეში არტანუჯი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო. აქ საქონელი მოდიოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდან, ტრაპეზუნტიდან, სომხეთიდან, სირიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

8

წმიდა შუშანიკი ქართლის პიტიახშის, ვარსკენის, მეუღლე იყო, სომეხთა მხედარმთავრის, ვარდან მამიკონიანის, ასული. შუშანიკის წინაპრები სპარსეთთან ბრძოლას შეეწირნენ, ამიტომ იზრდებოდა დაობლებული შუშანიკი ვარსკენის მამის, არშუმას, ოჯახში. ირანისა და მაზდეანობის სიძულვილი მამის ოჯახიდან ჰქონდა გამოყოფილი. ამან გაულრმავა ქრისტეს სიყვარული და ბავშვობიდან ღვთის მოშიში გახდა.

იაკობ ცურტაველი დიდი მოწინებით, სიყვარულითა და აღტაცებით აღგვიწერს მის სულიერ სახეს, მოწამებრივ ცხოვრებას. როდესაც საქართველოში ირანის პოლიტიკის გამტარებელმა ვარსკენმა უარყო ქრისტიანობა და მაზდეანობა მიიღო, შუშანიკი ქმარს გაემიჯნა. აქედან დაიწყო დედოფლის ხორციელი წამება, თუმცა იესო ქრისტეს მსგავსად, ტანჯვას სიხარულით იღებდა, დანთხეულ სისხლს ცოდვათა განსაწმენდად მიიჩნევდა. დედოფალი არ შეეპუა ქმარს. მან არნახული ტანჯვა აიტანა, ციხეში უმძიმესი ექვს-ნახევარი წელიწადი გაატარა. ფიზიკური ტკივილი სულის სიმტკიცეს ჰმატებდა, უფრო და უფრო შეუპოვარს ხდიდა მას.

შუშანიკი გარდაიცვალა 17 ოქტომბერს. იგი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

9

დაჩი, ვახტანგ გორგასლის ძე, იზრდებოდა უჯარმაში, ამიტომ დაჩი უჯარმელად იწოდებოდა. დაჩიმ დაასრულა ვახტანგ გორგასლის დროს დაწყებული თბილისის ზღუდის მშენებლობა. მან, მამის ანდერძის თანახმად, სატახტო ქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა. მცხეთა დარჩა საკათოლიკოსო ცენტრად. დედაქალაქის თბილისში გადმოტანას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. სპარსელებთან მებრძოლი ქვეყნისთვის ეს ხელსაყრელი ადგილი იყო. მოსახლეობამ სწრაფად დაიწყო გამრავლება და თბილისმა ერთბაშად გაითქვა სახელი.

დაჩის მეფობისას აშენდა მარიაშწმინდის ეკლესია. მარიაშწმინდა დღეს ანჩისხატის ეკლესიად იწოდება და ის თბილისის ყველაზე ძველი ნაგებობაა. დედაქალაქის ათას ხუთასი წლის იუბილესათვის ანჩისხატს რესტავრაცია ჩაუტარდა და აღმოჩნდა ქვა, რომელზედაც ჯვრის ამაღლების კომპოზიციაა გამოსახული. მართალია, წარწერა დაზიანებულია, მაგრამ ასე უნდა იკითხებოდეს: „უფალო, მეფესა დაჩის შეეცი“.

ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ სპარსელებმა საქართველოს ბევრი უბედურება შეამთხვიეს. დაჩის დიდხანს არ უმეფია.

სტეფანოზ I იყო ქართლის ერისმთავარი VI საუკუნის დასასრულსა და VII საუკუნის დასაწყისში. მამამისი, გუარამ კურაპალატი, ქართლის პირველი ერისმთავარი იყო. სტეფანოზ I ატარებდა პატრიარქოსის ბიზანტიურ ტიტულს. შემდეგ ის განუდგა ბიზანტიას და სპარსეთისკენ აიღო ორიენტაცია. ისტორიკოს ჯუანშერის ცნობით, ბერძენთა და სპარსთა შიშით მეფის ტიტულის ტარება ვერ გაუბედავს. სტეფანოზ I თავის ძმასთან, დემეტრესთან, ერთად იყო მცხეთის ჯვრის ეკლესიის ერთ-ერთი აღმშენებელი. მისი რელიგიური გამოსახულება დღემდეა შემორჩენილი ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე.

იგი განაგებდა ქართლის სახელმწიფოს უდიდეს ნაწილს, რომელიც თავისუფალი იყო სპარსთა პოლიტიკური ზეგავლენისგან. მის დროს მოიპრა ორი სახის მონეტა, რომლებიც სასანური დრაქმების მიბაძვავა. პირველი სახის მონეტაზე გამოსახულია ჰორმიზდ მეოთხის პორტრეტი ფალაური წარწერით. მონეტის კედელზე ოთხი ქართული ასოა ჩასმული: „სფნზ“, რაც იმეფრება, როგორც „სტეფანოზ“. მონეტის ზურგზე, იქ, სადაც სასანურ მონეტებზე გამოსახული იყო ცეცხლი, დგას ჯვარი. აღნიშნული მონეტა დაცულია ბერლინის მუზეუმში. მეორე სახის მონეტა ათზე მეტია ჩვენამდე მოღწეული. მასზე აღარ გვხვდება ფალაური წარწერები. მონეტის შუბლზე გამოსახულია თავად სტეფანოზი, რაც მიუთითებს მის ფაქტობრივ დამოუკიდებლობაზე.

ნერსე II იყო ქართლის ერისმთავარი VIII საუკუნის II ნახევარში (შეიდას ოთხმოცდაერთ წლამდე). 772 წელს ნერსე II ხალიფა მანსურმა ანტიარაბული საქმიანობისათვის ბაღდადში გაიწვია და საპრობილეში ჩასვა.

ხალიფა მაჰდიმ (775-785 წწ) გამეფებისთანავე გაათავისუფლა ნერსე II და იმავე პატივით ქართლში გამოისტუმრა. 5 წლის შემდეგ ნერსე II კვლავ შეებრძოლა არაბებს; შემდეგ იგი თავისი მხლებლებითურთ ხაზარებთან გაიქცა (დარიალის გზით), რადგან მათი დახმარების იმედი ჰქონდა. ხაზართა ხაკანმა ნერსე II პატივისცემით მიიღო, მაგრამ სამხედრო დახმარებაზე, როგორც ჩანს, უარი უთხრა. ნერსე II დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, გადავიდა, სადაც წინასწარ ჰყავდა ცოლ-შვილი გაბიზნული. აქ მან შეიტყო, რომ ხალიფას ქართლის ერისმთავრად მისი დისწული სტეფანოზ გურგენის ძე დაენიშნა. ნერსე II-მ ამირისაგან ქართლში დაბრუნების ნებართვა და უშიშროების გარანტია ითხოვა. ხაზარებისგან მიტოვებული ნერსე II არაბებისათვის სამიში აღარ იყო და მას ქართლში დაბრუნების ნება დართეს.

ნერსე II-ის ცხოვრების ამ პერიოდთან არის დაკავშირებული მისი არაბი მსახურის, აბოს, ტრაგიკული თავგადასავალი.

დავითი და კონსტანტინე (მხეიძეები) იყვნენ არგვეთის (ზემო იმერეთის) მთავრები მერვე საუკუნის პირველ ნახევარში. ისინი გმირულად იბრძოდნენ საქართველოში შემოჭრილი არაბი სარდლის, მურვან ყრუს, წინააღმდეგ. როგორც უცნობი ჰაგიოგრაფი მწერალი თავის ნაწარმოებში („დავით და კონსტანტინეს მარტვილობა“) გადმოგვცემს, მურვან ყრუმ ძმებს რჯულის შეცვლის სანაცვლოდ სიცოცხლის შენარჩუნება აღუთქვა, მაგრამ არგვეთის ერისთავებმა ამაზე სასტიკი უარი განაცხადეს და გამაჰმადიანებას წამებით სიკვდილი არჩიეს. ისინი ჯერ სასტიკად სცემეს, მერე ხეზე ფეხებით დაკიდეს, ბოლოს კი მათი ნაგვემი სხეულები მდინარეში გადაყარეს.

დავითისა და კონსტანტინეს ცხედრები ქართველებმა ხარების ნაცლესიართან ძველთაძველ აკლდამაში ჩაასვენეს. შემდგომ ამ ადგილს მოწამეთა ეწოდა. სამასი წელი ესვენა მათი ნეშტები იმ აკლდამაში, ვიდრე მეთერთმეტე საუკუნეში ბაგრატ მესამემ დანგრეული ეკლესია არ აღადგინა და იქ არ გადაასვენა ძმების ნეშტები. ქართველმა ხალხმა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის წამებული ძმების პატივსაცემად საყოველთაო დღესასწაული, „მოწამეობა“, დაადგინა. დავით და კონსტანტინე მხეიძეები ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა.

წმინდა მოწამე არჩილი მოღვაწეობდა VIII საუკუნის შუა ხანებში. იგი იყო ძე სტეფანოზ ერისმთავრისა. დროს ქართლისა და დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი იყო გაერთიანებული. ამ პოლიტიკური ვითარების ანარკლია ისიც, რომ მურვან ყრუს განრიდებული არჩილი დიდი ამალით ეგრისს ეწვია და შემდეგ აფხაზეთში გადავიდა. არჩილმა დიდი საღმრთნებლო სამუშაოები წამოიწყო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, კახეთსა და ჰერეთში. აქ მან ააშენა რამდენიმე ეკლესია.

არჩილის მეფობის დასასრულს არაბები შემოიჭრნენ ქვეყანაში. მათ მოახრეს ქართლი და კახეთში შესაჭრელად ემზადებოდნენ. მათი შეჭრების მიზნით მოხუცი არჩილი თავად ეახლა არაბთა სარდალს და სთხოვა, არ დაეწვია ქვეყანა და მოსახლეობისათვის გამაჰმადიანება არ დაეძალებინა. არაბმა იგი კარგად მიიღო, მისცა საზოდრისა და მფარველობის აღთქმა, თუკი იგი გამაჰმადიანდებოდა. არჩილმა მტკიცე უარი განუცხადა არაბ სარდალს. სარდალს არ სურდა არჩილის დასჯა, რადგან მოეწონა მხნე მოხუცი და მის მიმართ პატივისცემის გრძნობა აღეძრა, ამიტომ მისი დაპატიმრება ბრძანა იმ იმედით, რომ დროთა განმავლობაში დაიყოლიებდა მას რჯულის გამოცვლაზე.

ბოლოს არაბმა სარდალმა იგი მაინც სიკვდილით დასაჯა ქრისტეს ერთგულებისათვის. მისი ხსენების დღეა 21 ივნისი.

14

აბო თბილელი დაიბადა დაახლოებით 757 წელს. ის იყო წერსე ქართლის ერისმთავრის მსახური. აბო ბაღდადიდან ქართლში ჩამოჰყვა წერსეს. იგი სწავლობდა ქართულ ენას, დადიოდა ეკლესიაში, ესაუბრებოდა სამღვდლოებას, ფარულად ლოცულობდა მათთან ერთად და მარხულობდა. შემდეგ ქართლიდან დევნილ ერისთავს თან გაჰყვა ხაზარეთში, სადაც ქრისტიანობა მიიღო.

სამი წელი მოღვაწეობდა აბო თბილისში და ქადაგებდა ქრისტიანობას. თანამემამულეებმა დაასმინეს იგი. აბო შეიპყრეს და სატუსაღოში ჩააგდეს, მაგრამ სტეფანოზ ერისთავის თხოვნით მალე გაათავისუფლეს. სულ მალე თბილისში ახალი ამირა დანიშნეს. ქრისტიანებმა გაიგეს, რომ ამირა შეპყრობას უპირებდა აბოს, გააფრთხილეს და ურჩიეს დამალულიყო, მან კი გახარებულმა ასე უპასუხა: „მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტესთვის, არამედ სიკუდილდა.“

ამირის მსახურებმა შეიპყრეს აბო და მსაჯულს წარუდგინეს. არაბებმა მას მოსთხოვეს მაჰმადიანობას დაჰბრუნებოდა. აბომ უარი განაცხადა. განრისხებული მსაჯულის ბრძანებით აბოს ხელ-ფეხზე ბორკილი დაადეს და საპყრობილეში ჩასვეს, შემდეგ კი თავი მოჰკვეთეს. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

აბო თბილელის მოწამეობა აღწერა VIII საუკუნის მწერალმა იოანე საბანისძემ.

15

აშოტ I ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მამამთავარი და მეფე იყო 809-826 წლებში. მანამდე, დაახლოებით 786-809 წლებში, იგი იყო ქართლის ერისმთავარი.

პაპამისი, ისევე როგორც ბაგრატიონთა საგვარეულოს დიდი ნაწილი, იყო ერთ-ერთი უძველესი ქართული პროვინციიდან, სპერიდან. იგი 730-იანი წლებიდან ჩანს კლარჯეთში. აშოტი სათავეში ედგა ქართლის ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა, გაქცეულიყო შავშეთ-კლარჯეთში, რომელიც პოლიტიკურად ბიზანტიას ეკუთვნოდა. აშოტ I ამ ადგილების მფლობელი და ბიზანტიის ვასალი გახდა. აშოტმა, რომელსაც წილად ხვდა ბიზანტიის სამეფო კარის კურაპალატის პატივი, აღადგინა ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებული და შემდეგ მურვან ყრუს მიერ აოხრებული არტანუჯის ციხე, მის მახლობლად ქალაქი გააშენა და ბაგრატიონთა საბრძანებლად გამოაცხადა. მან მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი სამფლობელოები. ამ დროიდან ქართლის პოლიტიკურმა ცენტრმა მთლიანად სამხრეთში გადაინაცვლა.

საქართველოს ისტორიაში ამ ხანას ტაო-კლარჯეთის ან „ქართველთა სამეფოს“ პერიოდი ეწოდება. ამდენად, 809 წელი მიჩნეულია ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დაფუძნების წლად, თუმცა ეს საგვარეულო ქართლს განაგებდა ჯერ კიდევ 575 წლიდან, როდესაც ქართლის ერისმთავარი გახდა გუარამ I კურაპალატი. აშოტ I მოკლეს ღალატით. მძიმედ დაჭრილმა ეკლესიას შეაფარა თავი და საკურთხეველში გარდაიცვალა.

გრიგოლ ხანძთელი დაიბადა შვიდას ორმოცდაცხრამეტ წელს. ის იყო დიდი ქართველი სასულიერო მოღვაწე, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის ორგანიზატორი.

მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ვრცლად აღწერა გიორგი მერჩულემ. გრიგოლ ხანძთელი დაიბადა ქართლში წარჩინებულ ოჯახში 759 წელს. იგი აღიზარდა ქართლის ერისთავის ნერსეს კარზე (ნერსეს მუღდლის ძმისწული და შვილობილი იყო). თავისი დროისათვის ბრწყინვალე განათლება მიიღო. აღმზრდელთა და ქართლის დიდებულთა ნებით მღვდლად აკურთხეს, ხოლო შემდეგ, როცა მისი ეპისკოპოსად კურთხევა განიზრახეს, ფარულად მიატოვა ქართლი და VIII საუკუნის 80-იანი წლებიდან ტაო-კლარჯეთში დაიწყო მოღვაწეობა. იგი ჯერ ოპიზაში ცხოვრობდა, შემდეგ ხანძთაში დასახლდა და საერო ხელისუფალთა დახმარებით გააჩაღა ფართო სამონასტრო მშენებლობა, რომელშიც ჩააბა თანამოღვაწეთა დიდი დასი. გრიგოლ ხანძთელმა იცოცხლა 102 წელი და გარდაიცვალა 861 წელს.

გრიგოლ ხანძთელის წაბაძვით მისმა მოწაფეებმაც იწყეს მონასტრების მშენებლობა. გრიგოლ ხანძთელი აქტიურად მონაწილეობდა კლარჯეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გრიგოლ ხანძთელი იყო თავის მიერ დაარსებულ მონასტრებში გაჩაღებული მრავალმხრივი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის სულისჩამდგმელი. გიორგი მერჩულის ცნობით, მას შეუთხზავს ჰიმნოგრაფიული კრებული „საწელიწდოი იადგარი“.

დავით მესამის დროს ტაო-კლარჯეთის სამეფომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია: გაიბა ფართო ეკონომიკური კავშირი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან, აღდგა საქართველოში არაბთა მფლობელობის დროს შეწყვეტილი ქართული მონეტის გამოშვება, აიგო ოშკის, ხახულის, პარხლის ტაძრები, საფუძვლიანად გადაკეთდა ოთხთა ეკლესია. ამ მონასტრებში ფართო კულტურული საქმიანობა გაჩაღდა. ტაოს კულტურულ ცენტრებში მწერლობის არაერთი ძეგლი ითარგმნა და გადაიწერა. გარდა ამისა, დავით III ათონზე მოღვაწე ქართველ მამებს საგანგებოდ უკვეთდა ქართულ წიგნებს.

დავით III მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა იყო იმდროინდელ ახლო აღმოსავლეთში. ის აწესრიგებდა საქმეებს მეზობელ სამეფო-სამთავროებში. დავით III-ის ლაშქარი ხშირად მონაწილეობდა ბიზანტიის იმპერიის შიდა თუ გარე ბრძოლებში. 979 წელს დავით III დაეხმარა იმპერატორ ბასილი II-ს ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში. ამის გამო იმპერატორმა მას გადასცა „ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისანი“ თავისი სიცოცხლის განმავლობაში სამართავად. ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი დავით III-ს თვითონ უნდა გაეთავისუფლებინა მაჰმადიანთაგან. როგორც ჩანს, დავითს იმედი ჰქონდა, რომ შემოერთებულ ქვეყნებს ერთიანი საქართველოს სამეფოს უანდერძებდა.

მტრისგან გათავისუფლებულ მიწა-წყალზე დავით III თავის ქვეშევრდომ ქართველებსა და სომხებს ასახლებდა.

თორნიკე ერისთავი იყო დავით III კურაპალატის სარდალი, ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი ამშენებელი, ტაოელი დიდებულის, ჩორდვანელის ძე. ბერად აღკვეცის შემდეგ მას ეწოდა იოანე. 979 წელს თორნიკე ერისთავს ბიზანტიის სამეფო კარმა შუამდგომლობა სთხოვა დავით კურაპალატთან, რათა იგი დახმარებოდა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში. დავითმა თორნიკე ერისთავის სარდლობით ბიზანტიაში გაგზავნა 12-ათასიანი ლაშქარი, რომელმაც სძლია სკლიაროსს და ხელთ დიდძალი ნადავლი იგდო. ამ სიმდიდრის უდიდესი ნაწილი თორნიკე ერისთავმა ათონის ივერთა მონასტრის აგებას მოახმარა, ნაწილი კი ათანასე დიდის ლავრას შესწირა. დაახლოებით 980 წელს ბიზანტიის კეისარმა მას სვინგოლზის (პატრიარქის თანამშემწე ბერის) წოდება უბოძა.

თორნიკე ერისთავის შეკვეთით გადაწერილია ოშკის ბიბლია.

თორნიკე ერისთავი გარდაიცვალა 985 წელს. მის გმირობას აკაკი წერეთელმა პოემა მიუძღვნა.

იოანე მარუშისძე იყო X საუკუნეში მოღვაწე ქართლის ერისთავი, საქართველოს გაერთიანების იდეის ავტორი.

იოანე მარუშისძემ 976 წელს დავით III კურაპალატს შესთავაზა ან თითონ შემოეერთებინა ქართლი, ან თავისი შვილობილი ბაგრატ გურგენის ძე დაესვა მის გამგებლად. „მატიანე ქართლისაის“ მიხედვით, დავითი მართლაც ჩავიდა ქართლში და თან ბაგრატი ჩაიყვანა. ბაგრატი ქართლის გამგებლად გამოაცხადდა. იოანემ უფლისციხე ბაგრატსა და მამამისს გადასცა. უდავო ფაქტია, რომ მან პროგრესული როლი შეასრულა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში, ხელი შეუწყო ამ პროცესის დაჩქარებას. 978 წელს მისი ინიციატივით ბაგრატი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ქუთაისში იკურთხა მეფედ, შემდეგ ქართლი და ტაო-კლარჯეთის სამეფო შემოიმტკიცა, ხოლო 1008-1010 წლებში – კახეთ-ჰერეთი. ასე გახდა ბაგრატ III ერთიანი საქართველოს პირველი მეფე და იწოდებოდა, როგორც „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“. იოანე მარუშისძეს „მატიანე ქართლისაის“ ანონიმი ავტორი ასე ახასიათებს: „კაცი ძლიერი და ერმრავალი“, რომელმაც თავისი გონიერი ნაბიჯით ხელი შეუწყო საქართველოს ერთიანობას.

იოანე ზოსიმე X საუკუნის პოეტი, ლიტურგისტი, მწიგნობარი და მეცნიერი. იგი მოღვაწეობდა ჯერ პალესტინაში, წმინდა საბას ლავრაში, შემდეგ – სინის მთაზე. ორივე სამონასტრო ცენტრში ქართველ მოღვაწეთა ლიტერატურული ცხოვრების ორგანიზატორი იყო.

საბაწმინდის ლავრაში შეადგინა ლიტურგიკული კრებული. მასში შესულია უძველესი ქართული იადგარი, უნიკალური კალენდარი. იოანე ზოსიმეს სახელს უკავშირდება კრებული „მცირე იადგარი“, რომლის მეორე ნაწილი მთლიანად მის მიერაა დაწერილი. იადგარი შეიცავს საუფლო და დიდ დღესასწაულთა საგალობლებს.

იოანე ზოსიმემ ქართულ მწერლობაში სახელი დაიმკვიდრა, პირველ რიგში, საგალობლით – „ქებად და დიდებად ქართლისა ენისაჲ“. ნაწარმოები იქმნებოდა არაბთა ბატონობის პერიოდში, როცა ტაო-კლარჯეთში საფუძველი ეყრებოდა საქართველოს გაერთიანებას და როდესაც უკვე იგრძნობოდა ქართული მიწის გამაერთიანებელი ძალის პულსაცია. ყოველივე ეს სიხარულით აღავსებს იოანეს და ქებათა ქებას უძღვნის ქვეყნის გამაერთიანებელ ქართულ ენას. ავტორის ღრმა რწმენით, „ყოველი საიდუმლო იმას ენასა შინა დამარხულ არს“. ავტორს ჩამოთვლილი აქვს ქრისტიანული სიმბოლიკები, რომლებზე დაყრდნობითაც იგი ხსნის ქართული ენის მესიანისტური კონცეფციის ეზოთერულ საფუძველს. მიუხედავად მრავალი მეცნიერის მცდელობისა, ყველა სიმბოლოს ბოლომდე გახსნა კიდევ ვერ მოხერხდა, თუმცა ძეგლის საერთო ჩანაფიქრი, იდეა გამოკვეთილია: ქართული ენა საღმრთო ენაა, რომელიც წმინდად ინახავს თავს მეორედ მოსვლამდე.

გიორგი I, ბაგრატ III-ის ძე, საქართველოს მეფე იყო 1014 წლიდან,

გამეფებისთანავე დიდგვაროვანი აზნაურები აუჯანყდნენ მცირეწლოვან მეფეს და ჰერეთ-კახეთი საქართველოს ჩამოაშორეს. გიორგი I-მა ისარგებლა იმით, რომ 1014-1016 წლებში ბიზანტიის იმპერატორი ბასილ II ბულგარელებს ეომებოდა, გადალახა ბიზანტიის საზღვარი და ტაო დაიბრუნა. 1019 წელს ბასილ II-მ ბულგარელებთან ომი დაამთავრა და გიორგი I-ს სადავო ტერიტორიის განთავისუფლება მოსთხოვა.

1021 წელს ბიზანტიის ჯარი საქართველოში შემოიჭრა. ქართველები რამდენიმეჯერ დამარცხდნენ. გიორგი I იძულებული გახდა თრიალეთში გადასულიყო, სადაც მაშველი ჯარი დახვდა. კეისარი მოერიდა ომს, გამოსაზამთრებლად ქალდეაში წავიდა და საქართველოში ახალი ლაშქრობისათვის ემზადებოდა. გიორგი I-მა საზავო მოლაპარაკება დაიწყო და ამავე დროს ხელსაყრელ მომენტს უცდიდა ომის განსაახლებლად. ამ დროს ბიზანტიაში იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო, რითაც ისარგებლა გიორგი I-მა და უარი განაცხადა ბიზანტიასთან არახელსაყრელი ზავის დადებაზე.

საბოლოოდ, ქართველები მანაც დამარცხდნენ. 1022-1223 წლებში გიორგი I დეთანხმა ზავის მძიმე პირობებს: სადავო ტერიტორია ბიზანტიამ მიიტაცა, ტახტის მემკვიდრე ბაგრატ IV სამი წლის ვადით მძევლად გაიგზავნა კონსტანტინოპოლში. გიორგი I-ის დროს დიდ საომარ ოპერაციებთან ერთად მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები. მისი მეფობის დროს აიგო მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი. გიორგი I გარდაიცვალა 1027 წლის 16 აგვისტოს.

ექვთიმე მთაწმიდელი, ქართველი მთარგმნელი და სასულიერო მოღვაწე, ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი, 1005-1019 წლებში ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი, დაიბადა ცხრაას ორმოცდათხუთმეტ წელს.

ექვთიმე მთაწმიდელის მამა, იოანე, ქართველთა სამონასტრო კოლონიის ფუძემდებელი იყო ათონზე. მისი ბერად აღკვეცის შემდეგ მცირეწლოვანი ექვთიმეს აღზრდა იოანეს სიმამრმა და ცოლისძმებმა იკისრეს. ამ ხანებში ბიზანტიის იმპერატორმა დავით კურაპალატს „ზემონი ქვეყანანი“ დაუთმო და მძევლად აზნაურთა შვილები მოსთხოვა. მძევალთა შორის აღმოჩნდა ექვთიმეც. იოანემ იმპერატორის ნებართვით შვილი დაიბრუნა და ულუმბოს მთაზე მიიყვანა. 965 წელს იოანე ათონის მთაზე გადასახლდა და ათანასეს ლავრაში დაემკვიდრა. მას თან გაჰყვა ექვთიმე და რამდენიმე მოწაფე. იოანეს გარდაცვალების შემდეგ ექვთიმე მთაწმიდელი ივერთა მონასტრის წინამძღვარი გახდა. ლიტერატურული მოღვაწეობა ექვთიმე მთაწმიდელმა 975-977 წლებში დაიწყო. იგი ბავშვობიდანვე ფლობდა ბერძნულ ენას. თარგმნიდა არა მარტო ბერძნულიდან ქართულად, არამედ ქართულიდან ბერძნულადაც. არ დარჩენილა არც ერთი დარგი სასულიერო მწერლობისა, ექვთიმე მთაწმიდელს განსაკუთრებული დამსახურება რომ არ მიუძღოდეს. ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანების ენა სადა და დახვეწილია, თხრობა – ყოველთვის ლაღი და ბუნებრივი.

ექვთიმე მთაწმიდელი გარდაიცვალა 1028 წელს.

არსუკიძე დიდი ქართველი ხუროთმოძღვარია, მცხეთის სვეტიცხოველის ამშენებელი.

სახელი არსუკისძე სვეტიცხოველის ტაძარზე ორგან არის ამოკვეთილი: აღმოსავლეთის ფასადზე, შუა თაღს ქვემოთ, მედალიონებში: „აღმშენა ესე წმიდაი ეკლესიაი ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკისძისაითა“; მეორეა ჩრდილოეთ ფასადის მთავარი სარკმლის ზემოთ, ორ ქვაზე, რომელთა შორის ჩასმულია მესამე ქვა ხელისა და გონიოს რელიეფური გამოსახულებით. წარწერა ასეთია: „ხელი მონისა არსუკისძისაი. შეუნდევთ“. შემორჩენილია ხალხური ლექსი: „ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, ხელი მომჭრეს, კარგი რატომ აგიგია.“ ყოველივე ამან წარმოშვა ლეგენდა, რომ შეგირდმა აჯობა მასწავლებელს და ამიტომ ხელი მოჰკვეთეს.

სვეტიცხოველი აგებულია 1010-1029 წლებში. უეჭველია, არსუკისძემ გამოიყენა ძველი (V-VI საუკუნის) ტაძრის ცალკეული ნაწილები და სრულიად ახალი, დამოუკიდებელი ნაგებობა შექმნა. სვეტიცხოველის მხატვრულ-არქიტექტურული სრულყოფილება მოწმობს იმდროინდელი ქართული ხუროთმოძღვრების სიმწიფეს და თვით შემოქმედის შესანიშნავ მხატვრულ ნიჭს, დიდ პრაქტიკულ გამოცდილებასა და ოსტატობას. არსუკისძე უნდა იყოს ტაძრის დასავლეთით მდებარე კარიბჭის მშენებელიც – კარიბჭისა და ტაძრის ერთდროულობა ეჭვს არ იწვევს.

არსუკისძე გარდაიცვალა 1029 წელს.

გიორგი მთაწმიდელი დაიბადა 1009 წელს. იგი იყო დიდი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველთა სამეცნიერო-ლიტერატურული საქმიანობის სულისჩამდგმელი.

გიორგი მთაწმიდელი დაიბადა თრიალეთში გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწის ოჯახში. სწავლობდა ტაძრისის, შემდეგ კი ხახულის მონასტერში. ცოდნის გასაღრმავებლად 1022 წელს ბიძამ კონსტანტინოპოლში წაიყვანა. იქ მან საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნული ენა, ეზიარა ბიზანტიურ კულტურას. 1034 წელს გიორგი მთაწმიდელი სამშობლოში დაბრუნდა და ბერად აღიკვეცა ხახულის მონასტერში. 1044 წელს გიორგი მთაწმიდელი ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს. მან კიდევ უფრო გააძლიერა მონასტერი და იგი ქართული სულიერი კულტურის მძლავრ კერად აქცია. ბაგრატ IV-მ არაერთგზის შესთავაზა მას საქართველოს მღვდელმთავრობა. მისივე თხოვნით გიორგი მთაწმიდელმა ხუთი წელი დაყო საქართველოში და საეკლესიო საქმეები მოაგვარა. გიორგი მთაწმიდელი იცავდა ქართულ ეკლესიასა და კულტურას უცხოელთა შემოტევებისგან. გიორგი მთაწმიდელი ნაყოფიერად იღვწოდა მშობლიური ლიტერატურის გამდიდრებისათვის. მან ხელახლა თარგმნა ბიბლიის

ზოგიერთი წიგნი. გიორგი მთაწმიდელმა მნიშვნელოვანი კვალი დაატოო ქართულ ჰაგიოგრაფიასა და აპოკრიფულ მწერლობას, ეგზეგეტიკას, ჰიმნოგრაფიასა და საეკლესიო სამართალს.
გიორგი მთაწმიდელი გარდაიცვალა ათას სამოცდახუთ წელს.

25

ეგრემ მცირე XI საუკუნის ქართველი ფილოლოგი, ფილოსოფოსი და მთარგმნელია.

მან განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნული ენა. ეგრემ მცირემ შექმნა საკუთარი მთარგმნელობითი თეორია, რომელიც ძირითადად სამი პრინციპით განისაზღვრება: 1. თხზულება უშუალოდ დედნიდან უნდა ითარგმნებოდეს; 2. თარგმანი ზედმიწევნით ზუსტად უნდა გადმოსცემდეს დედნის ტექსტს; ამასთან, მთარგმნელმა არ უნდა შელახოს მშობლიური ენის ბუნება. 3. დედნის ტექსტის სწორად გასაგებად თარგმანს უნდა დაერთოს კომენტარები.

ეგრემ მცირემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული სასულიერო მწერლობის ყველა დარგში.

ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარება მჭიდროდა დაკავშირებული ეგრემ მცირის სახელთან. მან საფუძველი ჩაუყარა იმდროინდელი ფილოსოფიური აზროვნების ორ ნაკადს – არისტოტელიზმს და ნეოპლატონიზმს. შუა საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში მნიშვნელოვანია არეოპაგიტული მოძღვრება, რომლის ქართულ სინამდვილეში შემოტანა ასევე ეგრემ მცირესთანაა დაკავშირებული. მის მიერ თავმნილმა არეოპაგიტულმა კორპუსმა და კომენტარებმა დიდი როლი შეასრულა ქართული ნეოპლატონიზმის განვითარებაში, გააღვივა ინტერესი ანტიკური წყაროებისადმი, კერძოდ, პროკლეს მოძღვრებისადმი, რის საფუძველზეც შემდგომ ჩამოყალიბდა იოანე პეტრიჩის ფილოსოფიური შეხედულებანი. მის მიერ შემოღებული ბევრი ფილოსოფიური ტერმინი დღესაც გამოიყენება.

26

ბაგრატ IV დაიბადა 1018 (ან 1020) წელს. სამეფო ტახტზე ავიდა 1027 წელს; ის იყო გიორგი I-ისა და დედოფალ მარიამის უფროსი შვილი.

მან მთელი თავისი ცხოვრება-მოღვაწეობა საქართველოს გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლასა და სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგე ფეოდალთა ალაგმვამი გაატარა.

1022-1025 წლებში მძევლად იყო კონსტანტინოპოლში. ბაგრატ IV-ის და მისი სამეფო კარის უმთავრესი ამოცანა იყო სახელმწიფოს დაცვა ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკი დამპყრობლებისგან, ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე დიდგვაროვან აზნაურთა წინააღმდეგობის დაძლევა და საქართველოს ერთიანი სამეფოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართული მიწა-წყლის შემოერთება.

გარეშე მტრებთან ხანგრძლივი ბრძოლებისა და საქართველოს დიდგვაროვან ფეოდალთა წინააღმდეგობების დაძლევით ბაგრატ IV-მ შეძლო საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა. მის დროს მომზადდა ნიადაგი თბილისის საამიროსა და კახეთ-ჰერეთის შემოერთებისათვის. ბაგრატ IV დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურისა და სწავლა-აღზრდის საქმეს. მისი მოწვევით ბიზანტიიდან საქართველოში ჩამოვიდა გიორგი მთაწმიდელი, რომელიც 1060-1065 წლებში ნაყოფიერად მოღვაწეობდა აქ. არსებობს მოსაზრება, რომ ბაგრატ IV-ს ეკუთვნის კანონები, რომლებიც ბაგრატ კურაპალატის სამართლის სახელწოდებითაა ცნობილი. იგი ყოფილა გულკეთილი, მოწყალე და გლახაკთა განმკითხველი მეფე.

ბაგრატ IV გარდაიცვალა ათას სამოცდათორმეტ წელს. იგი დაასაფლავეს ჭყონდიდში.

27

გრიგოლ ბაკურიანისძე ბიზანტიის სახელმწიფოებრივ ასპარეზზე დაწინაურებული ქართველი დიდებულის, ტაოელი ერისთავთ-ერისთავის, ბაკურიანის შვილი იყო, სავარაუდოდ, ბაგრატიონთა გვარიდან. მამა ადრე გარდაიცვალა, მაგრამ ენერგიულმა ახალგაზრდამ ძალ-ღონე არ დაიმშურა და თვითონ გაიკვალა გზა ცხოვრებაში, საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა და ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთის პროვინციების ჯარების მთავარსარდლის საპატიო პოსტი დაიკავა. სხვადასხვა დროს მსახურობდა საქართველოში, სირიასა და სომხეთში.

ბიზანტიის დაწინაურებულ მოხელესა და მხედართუფროსს სამშობლოსთან კავშირი არ გაუწყვეტია. ის ნამდვილი პატრიოტი იყო.

გრიგოლ ბაკურიანისძეს ჯერ კიდევ აღმოსავლეთში ყოფნის დროს უნდოდა მონასტრის აგება, მაგრამ ეს მხოლოდ ხანდაზმულმა მოახერხა. 1083 წელს პეტრიწონში (ბულგარეთში) დააარსა ქართველთა მონასტერი. სამონასტრო კომპლექსს გრიგოლმა და მისმა ძმამ, აბაზმა, შესწირეს სოფლები, ციხეები, სახნავ-სათესი ადგილები, ტყეები, საეკლესიო ნივთები. გრიგოლმა მონასტერს შეუდგინა „ტიპიკონი“, ანუ წესდება, რომელიც XI საუკუნის II ნახევრის საქართველოს, ბულგარეთისა და საბერძნეთის ისტორიის საყურადღებო წყაროა.

გრიგოლ ბაკურიანისძე პაჭანიკებთან ბრძოლაში დაიღუპა. დაკრძალულია პეტრიწონის მონასტრის სამკაულში.

28

გიორგი II-ის მამა, ბაგრატ IV, თითქმის ნახევარი საუკუნე მართავდა საქართველოს. დედა, ზორენა დედოფალი, ოსთა მეფის ასული იყო. გიორგის პატარაობიდანვე მოუწია პოლიტიკურ ეპიცენტრში ყოფნა. მამას საიმედოდ ედგა გვერდში, მისი არაერთი რთული დავალება შეუსრულებია. ისტორიულ წყაროებში გიორგის ძირითადად მამამისის გვერდით ვხვდებით.

ათას სამოცდათორმეტ წელს მომაკვდავმა ბაგრატ მეფემ თავისი ვაჟი, გიორგი კურაპალატი, შეავედრა დიდებულებს და მის ერთგულებაზე დააფიცა. იმავე წლის 24 ნოემბერს ბაგრატი გარდაიცვალა და სამეფო ტახტი გიორგიმ დაიკავა. მას მძიმე საშინაო და საგარეო პირობებში მოუწია მეფობა, დიდი ძალები შეაღია გარეშე მტერსა და თავის ორგულ ფეოდალებთან ბრძოლას. 1089 წელს, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, გიორგი II-მ „დაადგა გვირგვინი მეფობისა“ თავის ვაჟ დავითს.

დავით IV-ის გამეფების შემდეგ გიორგი II აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოშორდა. მიუხედავად ამისა, იგი კვლავინდებურად ინარჩუნებდა მეფეთ-მეფის ტიტულს. 1089 წლის შემდეგ გიორგი ქართულ წერილობით წყაროებში ერთადერთხელ იხსენიება რუს-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერაში. გიორგი II-ის გარდაცვალების თარიღად 1112 წელს ასახელებენ (აღრე კი 1089 წელს მიიჩნევდნენ).

29

1089 წელს აფხაზთა და ქართველთა მეფის ტახტზე ავიდა ჭაბუკი დავით IV. შემდგომში აღმაშენებლად წოდებული. იგი დაიბადა მეფე გიორგი მეორის ოჯახში. დავით აღმაშენებელმა 1121 წელს დიდგორის ბრძოლაში დიდი გამარჯვებით საქართველო გააერთიანა.

დავითი წიგნის დიდი მოყვარული ყოფილა. სადაც მიდიოდა – ომში, სანადიროდ თუ სამოგზაუროდ, რჩეული წიგნები ყოველთვის თან დაჰქონდა. როგორც კი დასასვენებლად შეჩერდებოდნენ, მაშინვე წიგნს მოართმევდნენ. თვალი რომ დაეღლებოდა, სხვას აკითხებდა ხმამაღლა. მისივე ისტორიკოსის ცნობით, ერთხელ ისე გაერთო კითხვით, რომ ვერ გაიგო, მტერი თავს როგორ წამოადგა.

დავითის პირველი ცოლი იყო სომხის ქალი, რომლისგანაც შეეძინა უფლისწული დემეტრე (შემდგომში დემეტრე პირველი). მისი პირველი ცოლის შესახებ სხვა არაფერია ცნობილი. მეორე ცოლად მოიყვანა გურანდუხტი, ყივჩაღთა მთავრის ასული, რომლისგანაც შეეძინა კიდევ ერთი ძე, ვახტანგი, და ასულნი; უფროსს ერქვა თამარი, შუათანას – კატაი, ხოლო პატარას – თამარ მრწემი, ანუ, უმცროსი.

აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული გელათის ტაძრის მშენებლობა. დავითმა დააარსა გელათის აკადემია. დავით აღმაშენებელი დაკრძალულია გელათის მონასტერში.

30

გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი იყო დავით აღმაშენებლის აღმზრდელი და მრჩეველი, ერთიანი, ძლიერი საქართველოს ერთ-ერთი შემოქმედი.

თუ თვალს გავადევნებთ დავითის მოღვაწეობას, ცხადი ხდება, რომ როგორც მისი მეფობის დასაწყისში, ისე მთელი მეფობის განმავლობაში გიორგი იყო თანაავტორი მეფის მიერ განხორციელებული საქმეებისა. გიორგის შესახებ ცნობები მწირია. იგი დაიბადა მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, იყო სამეგრელოს მთავართა გვარიდან.

დავითმა შექმნა მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის ახალი თანამდებობა და თავისი აღმზრდელი დანიშნა ამ თანამდებობაზე. მწიგნობარი იყო მეფის კანცელარიის უფროსი, ჰყონდიდელი კი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ეპისკოპოსი. მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელს შეეძლო ჩარეულიყო როგორც

საერო, ასევე საეკლესიო საქმეებში და, რა თქმა უნდა, დავითმა ეს თანამდებობა თავის უერთგულეს თანამოაზრეს ანდო.

გორგი ჭყონდიდელი 1118 წელს მეფე დავითთან ერთად გამგზავრა ყოჩაღი მეომრების საქართველოში ჩამოსაყვანად. სამწუხაროდ, ეს მისი ბოლო ამქვეყნიური ღვაწლი აღმოჩნდა. ოსეთში მყოფი მეუფე გიორგი მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი გარდაცვალება უდიდესი ტკივილი იყო დავითისთვის. მეფე 40 დღე შავებით იყო შემოსილი და გიორგის გლოვობდა „როგორც მამას და მამაზე მეტს“. მხოლოდ მამინ შუწყვიტა გლოვა, როცა უმცროსი ძე ვახტანგი შეეძინა. გიორგი დიდი პატივით დაკრძალეს გელათში.

2005 წლის 27 ივნისს საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

31

არსენ იყალთოელი იყო XI-XII საუკუნეების სასულიერო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, ჰიმნოგრაფი.

არსენი წარმოშობით იყალთოდან იყო. განათლება მიიღო ბიზანტიაში. იქვე ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას. 80-იან წლებში წავიდა შავ მთაზე (სირიაში), სადაც მოღვაწეობდა ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით. მისი გარდაცვალების შემდეგ ჩამოვიდა სამშობლოში. იგი მოღვაწეობდა გელათის აკადემიაში. დავით აღმაშენებლის მხარდაჭერით არსენს იყალთოს მონასტერთან დაუარსებია აკადემია და მისი პირველი რექტორიც ყოფილა.

არსენ იყალთოელმა თარგმნა და ერთ კრებულში, „დოგმატიკონში“, გააერთიანა ბიზანტიის მწერალთა ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულებები, ეპისტოლენი, სტატიები, ტრაქტატები და სხვა. აღსანიშნავია, რომ არსენ იყალთოელს მოიხსენიებენ ანატომიის მცოდნედ, „ანატომიკოსად“. არსენ იყალთოელს შეუდგენია ფიზიკის სახელმძღვანელო, რომლითაც ასწავლიდა გელათისა და იყალთოს აკადემიებში. არსენ იყალთოელი შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. იგი მონაწილეობდა დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეულ კრებაში, რომელიც მიზნად ისახავდა რელიგიურ-დოგმატიკური საკითხების გადაწყვეტას. მისი პოზიცია ერეტიკოსებთან მიმართებით შეურიგებელი და მკაცრი იყო. მისი თეორიული მეთოდი დოგმატიკურია.

ზოგი მკვლევრის აზრით, არსენ იყალთოელი იგივე არსენ ბერია.

32

იოანე პეტრიწი XI-XII საუკუნეების ქართველი ფილოსოფოსია, ნეოპლატონიკოსი. ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება, მე-18 საუკუნის მწიგნობრები იუწყებიან, რომ იოანე პეტრიწი სამცხიდან იყო. ახალგაზრდობაში სწავლობდა კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში. იოანე ჯერ პეტრიწონის მონასტერში დასახლდა, შემდეგ – შავ მთაზე, ეფრემ მცირესთან. ბოლოს ის საქართველოში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა გელათის აკადემიას. იოანე პეტრიწის შეხედულებებს აშკარად ეტყობა საერო განწყობილება, რაც ყველაზე თანმიმდევრულად რუსთაველის ჰუმანიზმში გამოიხატა.

იოანე პეტრიწის მიხედვით არსი მთლიანობაა, რომლის უმაღლესი საფეხური ღმერთია, ხოლო უდაბლესი – ხილული სამყარო. მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მნიშვნელოვანი მხარეა შეხედულება მიზეზობრიობაზე. სამყაროს მიმართების პეტრიწისეული გადაწყვეტა მიდის სამყაროს მარადიულობისა და მისი წარმოქმნის აუცილებლობის აღიარებამდე. მან ბერძნულიდან მრავალი წიგნი თარგმნა და გადმოაქართულა. იოანე პეტრიწმა შექმნა ლიტერატურული სკოლა, აღზარდა მრავალი მოწაფე. მან დიდი გავლენა მოახდინა ძველ ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე, საერო პოეზიასა და საისტორიო მწერლობაზე, განსაკუთრებით კი ანტონ I-ის ლიტერატურულ სკოლაზე.

33

დემეტრე I, საქართველოს მეფე 1125-1156, იყო დავით აღმაშენებლის მემკვიდრე. მამის სიცოცხლეშივე იგი აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, დიდგორისა და შირვანის ბრძოლებში ქართველთა ლაშქრის გამარჯვების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. 1138 წელს დემეტრე I-ის სარდლობით ქართველებმა განაპაილეს და გამარჯვების ნიშნად ქალაქის კარი საქართველოში ჩამოიტანეს (დაცულია გელათში), მაგრამ დემეტრე I-მა ვერ შეძლო განძის შენარჩუნება და ქალაქი დიდხანს დარჩა მაჰმადიანთა საყრდენ პუნქტად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

1154 ან 1155 წელს მისმა უფროსმა ძემ, დავითმა, შეთქმულება მოაწყო მამის წინააღმდეგ, დემეტრე I იძულებით ბერად შეაყენა და სამეფო ტახტი თვითონ დაიკავა. დავითის გარდაცვალების შემდეგ (იგი მხოლოდ 6 თვის განმავლობაში მეფობდა) დემეტრე I-მა ტახტი დაიბრუნა.

საყურადღებოა დემეტრე I-ის პოეტური შემოქმედება. ჩვენამდე მოაღწია მისმა რამდენიმე იამბიკომ. განსაკუთრებით გამოირჩევა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი იამბიკოები. დემეტრე I-ის თხზულებათა პოეტური სახეები ქრისტიანულ სიმბოლიკაზეა დაფუძნებული. ზოგ მათგანს რითმაც ეტყობა. მისი „შენ ხარ ვენახი“ დღესაც ცოცხალი საეკლესიო საგალობელია.

34

1155 წელს ერთიანი საქართველოს მეფე დემეტრე I ტახტიდან გადადგა და მეფობა უფროს ვაჟს, დავით V-ს დაუთმო, თუმცა ქვეყნის მართვა ამ უკანასკნელს დიდხანს არ დასცალდა. ექვს თვეში ის მოულოდნელად გარდაიცვალა და ტახტზე დემეტრე I-ის უმცროსი ვაჟი – გიორგი ავიდა.

1177 წელს, როდესაც დავით V-ის ვაჟიშვილმა დემნა (დემეტრე) ბატონიშვილმა სრულწლოვანებას მიაღწია, ბიძას ტახტის დათმობა მოსთხოვა. გიორგი III-ის პოლიტიკური კურსით უკმაყოფილო დიდგვაროვნებმა დემნას დაუჭირეს მხარი. ხელმწიფის მმართველობას რეალური საფრთხე დაემუქრა. დემნა ბატონიშვილის აჯანყებას მისი სიმამრი, ამირსპასალარი ივანე ორბელი ხელმძღვანელობდა. აჯანყებულებს მეფე გიორგის შეპყრობა ჰქონდათ განზრახული, მაგრამ მეფემ საჩუქრებითა და დიდი წყალობით განმდგარ დიდგვაროვანთა ნაწილი თანდათან თავის მხარეს გადაიბირა. დემნა ბატონიშვილი მომხრეებთან ერთად ლორის ციხეში გამაგრდა. გიორგი III-მ ციხეს ალყა შემოარტყა. აჯანყებულთა რიგები ნელ-ნელა შეთხელდა და ბოლოს დემნა ბატონიშვილი იძლებული შეიქნა მეფე-ბიძას შეწყალების იმედით ჩაჰპარებოდა, თუმცა აჯანყებული უფლისწული მეფის ბრძანებით დაასაჭურისეს და თვალები დასთხარეს, რის შემდეგაც ის მალევე გარდაიცვალა.

არსებობს მოსაზრება, რომ დემნა ბატონიშვილი გადარჩა და შოთა რუსთაველის სახელით განაგრძო მოღვაწეობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

35

გიორგი III, დემეტრე I-ის ძე, 1156 წლიდან იყო საქართველოს მეფე. მისი მეფობის პერიოდი, თამართან ერთად საქართველოს ისტორიაში ოქროს ხანად მოიხსენიება. ეს იყო დიპლომატიური წარმატების, სამხედრო ტრიუმფის, განათლების, კულტურისა და ხელოვნების, სულიერი აყვავების ერა საქართველოში.

დავით აღმაშენებლის მსგავსად, გიორგი III აქტიურ სამინაო და საგარეო პოლიტიკას ატარებდა. მისი მეთაურობით ქართველები განაგრძობდნენ ბრძოლას თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ. საქართველოს საზღვრების განსამტკიცებლად 1161 გიორგი III-მ ანისზე გაილაშქრა, ქალაქი აიღო და მისი მართვა-გამგეობა ამირსპასალარ ივანე ორბელს მიაწოდა, ხოლო თანაშემწედ სარგის მხარგრძელი დაუნიშნა. 1162 წელს ქართველებმა აიღეს სომხეთის დედაქალაქ დვინი. თავგამოდებით ებრძოდნენ ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებას დიდგვაროვანი აზნაურები. 1177 წელს დაიწყო დიდი ამბოხება ამირსპასალარ ივანე ორბელის მეთაურობით. აჯანყება რამდენიმე თვეს გაგრძელდა. 1178 წლის დასაწყისში გიორგი III-მ შეძლო მისი ჩახშობა. იგი განსაკუთრებით სასტიკად მოეპყრო აჯანყების მოთავეებს: ორბელები სიკვდილით დასაჯეს, დემეტრე უფლისწულს თვალები დასთხარეს და დაასაჭურისეს.

1178 წელს გიორგი III-მ საქართველოს სამეფო ტახტზე აიყვანა თავისი ქალიშვილი თამარი, რომელიც გახდა მეფის თანამოსყდრე. მამა-შვილის ერთობლივი მეფობა გიორგი III-ის გარდაცვალებამდე გაგრძელდა.

36

თამარი დავით აღმაშენებლის შვილთაშვილი იყო. თამარ მეფე, საქართველოს მონარქი 1184 წლიდან, გიორგი III-ის ასული იყო. თამარს საქართველოს ოქროს ხანაში მოუწია მეფობა. იგი ძალიან წარმატებული მმართველი აღმოჩნდა. 1166 წელს მეფე გიორგი III-სა და მის მეუღლე ბურდუხანს ქალიშვილი შეეძინათ. გიორგიმ თავის სიცოცხლეშივე მეფედ გამოაცხადა 13 წლის თამარი. მამა-შვილი ხუთი წლის განმავლობაში ერთად განაგებდნენ სამეფოს. 1184 წელს მეფე გიორგი გარდაიცვალა და საქართველოს ერთადერთი მბრძანებელი და პატრონი თამარი გახდა. თამარის პირველი ქორწინება

უიღბლო გამოდგა. მეორედ მან ჯვარი დაიწერა დავით სოსლანზე, რომელიც ოსთა მეფის ძე, ბაგრატიონთა შთამომავალი იყო. 1193 წელს თამარს და დავითს შეეძინათ ლაშა-გიორგი. მომდევნო, ათას ას ოთხმოცდაათობმეტ წელს, თამარს და დავითს ასული შეეძინათ. მას თამარმა რუსუდანი დაარქვა, თავისი მამიდის სახელი.

თამარის დროს საქართველო კავკასიის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. თამარის დროს აშენდა კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია, ფიტარეთი, ქვაბთახევი, ბეთანია... თამარ მეფემ აკრძალა სიკვდილით დასჯა და წამება. დღემდე საიდუმლოებითაა მოცული თამარ მეფის საფლავის ადგილი. ზოგიერთი ისტორიული წყარო თამარ მეფის სამვალედ გელათს ასახელებს, ზოგიც – იერუსალიმის ჯვრის მონასტერს.

37

შოთა რუსთაველი უდიდესი ქართველი პოეტი და მოაზროვნეა, ავტორი გენიალური პოემისა – „ვეფხისტყაოსანი“. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცნობები თითქმის არა გვაქვს. რუსთაველის ბიოგრაფიული მონაცემების დასადგენად ერთ-ერთი ძირითადი წყარო თვით მისი პოემაა. სავარაუდოა, რომ პოეტი იყო სამეფო კარის დიდი მოხელე, ვეზირი, თამარ მეფესთან დაახლოებული პირი. ხალხური გადმოცემით, პოეტი მესხი უნდა იყოს. მესხად თვლის მას პოეტი არჩილ II. შესაძლებელია სახელწოდება რუსთაველი უკავშირდებოდეს მესხეთის რუსთავს, რომელიც მდებარეობს ახალციხე-ასპინძის გზის მახლობლად. ის ცხოვრობდა თამარისა და მისი მეუღლის, დავით სოსლანის, მეფობის პერიოდში. შოთა რუსთაველმა, როგორც ჩანს, ბრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებული. იგი იცნობდა არა მარტო ქართველ მოაზროვნეთა ნაშრომებს, არამედ ანტიკურ ფილოსოფიას, აღმოსავლურ ლიტერატურას. „ვეფხისტყაოსნის“ შესაძლო შექმნის თარიღია XII ს-ის 80-90-იანი წლები და არაუგვიანეს XIII ს-ის პირველი ათწლეულისა. ზოგიერთი მკვლევარი პოემის დაწერის თარიღს 1205-1207 წლების ინტერვალში ათავსებს. სავარაუდოდ, ეს არ უნდა იყოს შოთა რუსთაველის ერთადერთი ნაწარმოები, თუმცა სხვას ჩვენამდე არ მოუღწევია.

გადმოცემის თანახმად, პოეტი დაკრძალულია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

38

კრავი ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი იყვნენ თამარის მეფობის ხანაში მოღვაწე ქართველი მანდილოსნები, რომელთა სიბრძნემ და გამჭირახობამ განაპირობა ფეოდალთა ერთერთი ყველაზე ცნობილი აჯანყების მშვიდობიანად დასრულება.

1184 წელს ფეოდალურ სამყაროში მოხდა მნიშვნელოვანი ფაქტი – საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა ქალი, რომელიც დიდებულებმა მიიღეს, მაგრამ საკუთარი მოთხოვნებიც წაუყენეს... ისინი მოითხოვდნენ გვაროვნული არისტოკრატის უფლებების განმტკიცებასა და სამეფო ხელისუფლების შეზღუდვას.

მდგომარეობა უკიდურესად დამაბული იყო. რასაკვირველია, თამარისთვის არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენდა განდგომილთა შეპყრობა და სასტიკად დასჯა, მაგრამ მან სხვა გადაწყვეტილება მიიღო: აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა ორი დიდებული ქალბატონი: კრავი ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი. თამარმა მოლაპარაკების გზა აირჩია და აჯანყებულებს მოუწოდა, რომ დაეყარათ იარაღი, დამშვიდებულიყვნენ და დედოფალი აპატიებდა მათ დანაშაულს. თამარის გონიერულმა საქციელმა სასურველი ნაყოფი გამოიღო: მანდილოსანთა მოციქულობამ იმდენად იმოქმედა მემამოხეებზე, რომ მათ დაყარეს იარაღი, ეახლნენ თამარს, პატიება სთხოვეს და ერთგულება აღუთქვეს.

39

შალვა ახალციხელი იყო XII-XIII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, სარდალი, თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის ვეზირი (მეჭურჭლეთუხუცესი, მანდატურთუხუცესი), ერისთავთერისთავი.

ათას ას ოთხმოცდაათობმეტ წელს შამქორის ომში მან ხელთ იგდო ხალიფის დროშა და თამარ მეფეს მიართვა, რომელმაც ის გელათში სახულის ღვთისმშობელს შესწირა. 1203 წლის ბასიანის ბრძოლაში შალვა და მისი ძმა ივანე სარდლობდნენ მესხთა მეწინავე ლაშქარს. 1206 წელს სარგის თმოგველთან ერთად სარდლობდა ქართველთა ლაშქარს ყარსისთვის ბრძოლებში. თამარის მეფობის ბოლო წლებში მან თურქთაგან გაათავისუფლა კერროლი (სამხრეთ საქართველოში). 1225 წელს საქართველოს მონღოლთაგან

დევნილი ხვარაზმელები მოადგნენ. ბრძოლა გარნისთან გაიმართა. ახალციხელები მტრის ლაშქრის სიჭარბეს არ მოერიდნენ, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ. ტყვედ ჩავარდნილმა შალვამ ჯალალედინის დიდი ნდობა მოიპოვა, ჯალალედინმა ტყვისათვის შეუსაბამო პატივი მიაგო მას, განზრახული ჰქონდა ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში მისი გამოყენება, მაგრამ ერთი წლის შემდეგ სიკვდილით დასაჯა, რადგან მან ქრისტეს რჯული არ უარყო.

ეს მოხდა 1226 წელს. ქართველმა ხალხმა შალვა ახალციხელი გმირად აღიარა. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

40

გიორგი IV, ლაშა-გიორგი, თამარ მეფისა და დავით სოსლანის ძე, დაიბადა 1192 წელს. 1207 წელს თამარმა თანამოსაყდრედ დაისვა და ამ დროიდან მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვასა და ლაშქრობებში. თამარის გარდაცვალების შემდეგ გიორგი IV ერთპიროვნული მმართველი გახდა. მისი სურვილი იყო განემტკიცებინა მეფის ხელისუფლება, შეენარჩუნებინა სახელმწიფოს მთლიანობა და შემოემტკიცებინა ყმადნაფიცი ქვეყნები, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოს სამეფოს ვასალობისგან განთავისუფლებას. XIII საუკუნის 10-იან წლებში გიორგი IV-მ გაილაშქრა თავისი ვასალის – განძის ათაბაგის წინააღმდეგ. განძა კვლავ საქართველოს მოხარკედ დარჩა. იარაღის ძალითვე დაიმორჩილა გიორგი IV-მ გამდგარი ვასალები. 1220 წელს გიორგი IV პალესტინაში ჯვაროსნული ლაშქრობისათვის ემზადებოდა, მაგრამ ამ დროს საქართველოს საზღვრებს მოულოდნელად მონღოლები მოადგნენ და ეს გეგმა ჩაიშალა. გიორგი IV მონღოლებთან ბრძოლაში დაიჭრა, დასნეულდა და გარდაიცვალა.

ლაშა-გიორგი თავისუფალი რწმენისა და აზროვნების ადამიანი იყო. მან თანამეცხედრის არჩევასაც პირადი გრძნობა დაუდო საფუძვლად და მეუღლედ დაისვა ველისციხელი აზნაურის ქალი, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ქალი დააშორეს, მას ცოლი აღარ შეურთავს.

გიორგი IV გარდაიცვალა 1223 წლის 18 იანვარს.

41

დავით VII ულუ დაიბადა 1216 წელს. ის იყო საქართველოს მეფე 1247-1270 წლებში. დავით ულუ გიორგი IV-ის უკანონო შვილი იყო. დაახლოებით 1236 (1237) წელს რუსუდანმა ტახტის პრეტენდენტის თავიდან მოცილების მიზნით იგი თავის სიძესთან, რუმის სულთანთან გაგზავნა. სულთანმა ბორკილგაყრილი დავით გიორგის ძე ციხეში დაამწყვდია. დავითი გათავისუფლდა მონღოლთა მიერ ყიას ად-დინის დამარცხების შემდეგ. უმეფობის ხანაში იგი ქართველ დიდებულთა ჯგუფმა ტახტის მემკვიდრედ წამოაყენა, რადგან დავით რუსუდანის ძე ცოცხალი აღარ ეგონა. მონღოლებთან შესათანხმებლად მეფობის კანდიდატი ყაენთან გაგზავნეს. 1246 წელს ყარაყორუმში ჩასულ დავით გიორგის ძეს იქ დახვდა დავით რუსუდანის ძე. ამრიგად, ყაენის კარზე ერთდროულად საქართველოს სამეფო ტახტის ორი პრეტენდენტი აღმოჩნდა. 1247 წელს მონღოლთა ყაენმა ორივე დავითი მეფედ დაამტკიცა: დავით გიორგის ძეს უფროსი (მონღოლურად „ულუ“), ხოლო დავით რუსუდანის ძეს უმცროსი (მონღოლურად „ნარინი“) უწოდეს.

1260 წლიდან საქართველო ფაქტობრივად ორ პოლიტიკურ ერთეულად, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ გაიყო. დავით VII-ის დროს ქვეყანა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. მეფისა და მწიგნობართუხუცესის აგრარულმა პოლიტიკამ ვერ გაამართლა.

დავით ულუ გარდაიცვალა 1270 წელს.

42

დაახლოებით 1230 წელს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო ხვარაზმელებს ჰქონდათ დაპყრობილი და სამეფო კარი ქუთაისში იყო გახიზნული, მცირეწლოვანი დავითი დედამ თანამოსაყდრედ დასვა. დაახლოებით 1245 წელს, რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, ტახტის მემკვიდრე ოქროს ურდოში ბათო-ყაენთან მეფედ დასამტკიცებლად გაგზავნეს. ტახტის მემკვიდრე მონღოლეთში რამდენიმე წელიწადს ჩარჩა. საქართველოში მის შესახებ არაფერი იცოდნენ, მკვდარი ეგონათ. უმეფობის ხანაში ქართველ დიდებულთა ჯგუფმა ტახტის მემკვიდრედ დავით გიორგის ძე წამოაყენა. დავით რუსუდანის ძე ცოცხალი აღმოჩნდა და მონღოლთა ყაენმა ორივე დავითი მეფედ დაამტკიცა.

დავით რუსუდანის ძე, ანუ, დავით ულუ (დავით VI) ფაქტობრივად დასავლეთ საქართველოს მეფე გახდა. აქ მონღოლების ბატონობა არ ვრცელდებოდა და დავით მეექვსე დამოუკიდებლად განაგებდა

ქვეყანას. მისი საგარეო პოლიტიკა იქით იყო მიმართული, რომ განემტკიცებინა კავშირი ილხანების მეტოქე ქვეყნებთან და აღედგინა საქართველოს პოლიტიკური გავლენა ტრაპიზონის სამეფოში. ამასთან, დავით VI ცდილობდა ილხანთა სამეფოში ატეხილი შინაომები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

დავით VI-ისა და დავით VII-ის დროიდან საქართველო ფაქტობრივად სამ პოლიტიკურ ერთეულად (აღმოსავლეთ საქართველო, სამცხე და დასავლეთ საქართველო) იყო დაყოფილი.

43

ბექა ოპიზარი XII საუკუნის II ნახევრისა და XIII საუკუნის დასაწყისის ქართველი ოქრომქანდაკებელია. წარმომავალი ოპიზიდან უნდა ყოფილიყო სახელგანთქმული ხელოვანი. ჩვენს დრომდე მოაღწია ბექა ოპიზარის მხოლოდ ორმა ნამუშევარმა – ანჩის ხატის ჩარჩოსა და წყაროსთავის სახარების ყდის მოჭედულობამ. ყდის ერთ მხარეს, ვერცხლის მოჭედულობაზე, „ვედრების“ კომპოზიციის გამოსახული, მეორეზე – „ჯვარცმისა“. ხელნაწერის ერთ-ერთი მინაწერის თანახმად, ეს სახარება გადაიწერა 1195 წელს, ყდის მოჭედვის თარიღიც იგივე ან მომდევნო წელი უნდა იყოს. ანჩის ხატის მოჭრული ვერცხლის ჩარჩოს მოჭედულობა თამარ მეფის ბრძანებითა და ანჩის ეპისკოპოსის, ჰიმნოგრაფ იოანეს, შუკვეთით შესრულდა.

ბექა ოპიზარს შეუსრულებია ასევე ანჩის სახარების ყდის მოჭედულობაც, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ათას რვაას ოთხმოცდაათხუთმეტ წელს, როცა ეს სახარება ექვთიმე თაყაიშვილმა პირველად ნახა წალკის რაიონის სოფ. წინწყაროში, მას მხოლოდ ხის ყდა ჰქონდა. ხელნაწერის ბოლოს დართულ ანდერძში ნათქვამია, რომ სოფრომ მწიგნობარმა წიგნის ყდა მოაჭედვინა „... ღმრთისა მიერ კურთხეულსა ღირსსა ოქრომქანდაკებელსა ბექასა“. ბექა ოპიზარის ვირტუოზულად დამუშავებული ფიგურები მეტყველებს პროფესიული დახელოვნების მაღალ დონეზე. ბექა ოპიზარის ნამუშევრები დამახასიათებელია ქართული ოქრომჭედლობის განვითარების იმ ეტაპისათვის, როდესაც დეკორატიულმა ტენდენციებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

44

ცოტნე დადიანი იყო საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალი XIII საუკუნის I ნახევარში. უმეფობის ხანაში მონღოლებმა რაჭის ერისთავთან ერთად იგი დასავლეთ საქართველოს გამგებლად დანიშნეს. 1245 წელს ცოტნე მონაწილეობდა კობტასთავის შეთქმულებაში, რომლის მიზანი იყო მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების ორგანიზება. მონღოლებმა შეთქმულების მონაწილეები დააპატიმრეს და ანისში მონღოლთა ნოისი მიჰკვარეს. გამოტყების მიზნით ისინი მცხუნვარე მზეზე დასვეს. ცოტნე დადიანი შემთხვევით გადაურჩა დაპატიმრებას (აჯანყებისთვის ჯარს აგროვებდა დასავლეთ საქართველოში). ჟამთააღმწერლის ცნობით, როდესაც დადიანმა შეთქმულების მონაწილეთა ამბავი გაიგო, ანისში ჩავიდა და ნებაყოფლობით გაიზიარა თანამებრძოლების ხვედრი – ტანზე გაიხადა და მეგობრებთან ერთად დაჯდა. ცოტნე დადიანის გამირულმა საქციელმა მონღოლები დაარწმუნა ქართველთა სიმართლეში და ყველანი გაათავისუფლეს.

1999 წლის ოცდაექვს ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა ცოტნე დადიანი წმინდანად შერაცხა. ამასთანავე, 30 ივლისს აღინიშნება ცოტნე დადიანის ხსენების დღე. იგი მშობლებთან ერთად გამოსახულია ხობის ეკლესიის უძველეს ფრესკაზე.

ცოტნე დადიანი გარდაიცვალა დაახლოებით 1260 წელს.

45

დემეტრე II ტახტის მემკვიდრე გახდა 1268 წლიდან, როცა მისი უფროსი ძმა გიორგი გარდაიცვალა. 1270 წელს, დავით VII-ის გარდაცვალების შემდეგ, არსებული წესის თანახმად, მეფედ დასამტკიცებლად ყაენთან წაიყვანეს ილხანთა სახელმწიფოში. დემეტრე II-ის დროს ქვეყანა კიდევ უფრო დაქვეითდა ეკონომიკურად. მოსახლეობაში, განსაკუთრებით ფეოდალურ ზედაფენებში, ფხვს იკიდებდა მონღოლური წეს-ჩვევები (მრავალცოლიანობა და სხვა).

ყაენის პირველ ვეზირ ბულასთან მეგობრობისა და მოყვრობის წყალობით (ბულას შვილს ცოლად ჰყავდა დემეტრე II-ის ასული რუსუდანი) გაძლიერდა დემეტრე II-ის ავტორიტეტი და გავლენა საქართველოში. 1288 წელს გამოქვადანდა არღუნის წინააღმდეგ შეთქმულება. მისი მეთაურობა ბულას დააბრალეს. ბულა და მისი ნათესავ-მეგობრები სიკვდილით დასაჯეს. დემეტრე II, როგორც ბულას მეგობარი, ყაენმა დაიბარა. მეფემ დარბაზი მოიწვია, რომელმაც ურჩია ურდოში არ წასულიყო და მთებში გახიზნულიყო. დემეტრე II დარბაზს არ დაეთანხმა იმის გამო, რომ ურდოში წაუსვლელობას

მონღოლების მიერ უბრალო ხალხის გაყვება და ქვეყნის აოხრება მოჰყვებოდა. 1289 წლის 12 მარტს მეფე დემეტრე II-ს ყაენის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს.

იგი დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში. ქართულმა ეკლესიამ მეფე დემეტრე წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 12 მარტი დაადგინა.

46

გიორგი V, დემეტრე II თავდადებულის ძე, დაიბადა 1286 წელს. იგი იყო საქართველოს მეფე 1314-1346 წლებში. აღიზარდა სამცხეში პაპის, ბექა I ჯაყელის, კარზე. თავიდან გიორგი მცხეთის უფლებები თბილისს არ სცილდებოდა და ამიტომ „თბილისის მეფეს“ უწოდებდნენ. 1314 წელს, დავით VIII-ისა და ვახტანგ III-ის გარდაცვალების შემდეგ, გიორგი V-მ მიიღო მეფობა. მას სამეპკვიდროდ ეკონომიკურად დასუსტებული და პოლიტიკურად დაშლილი ქვეყანა ერგო. იგი ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო და თავდაპირველად მონღოლებთან ბრძოლას ფრთხილი და მშვიდობიანი ურთიერთობა ამჯობინა. გიორგი მეფობრობდა ილხანთა სახელმწიფოს მთავარ ვეზირთან, ჩობან ნოინთან. ამან საშუალება მისცა საშინაო მდგომარეობა გამოეწორებინა. ათას სამას ოცდაცხრა წელს გიორგი V-მ შემოიერთა დასავლეთ საქართველო, ხოლო 1334 წელს – სამცხე. ამრიგად, მან საქართველოს მთლიანობა აღადგინა. ამის შემდეგ დადგა დრო მონღოლთა ბატონობისგან ქვეყნის განთავისუფლებისა. ყაზან ყაენის გარდაცვალების შემდეგ (1304 წელი) საილხანოში ანარქია იყო. 1335 წელს გიორგი V-მ მონღოლებს ხარკი შეუწყვიტა და მათი დამსჯელი რაზმიც ადვილად უკუაგდო, ჩაკეტა უღელტეხილები და ამით მონღოლთა ერთსაუკუნოვან ბატონობას ბოლო მოუღო.

საქართველოს სამეფოს გაძლიერებისა და ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის ხალხმა გიორგი V-ს ბრწყინვალე უწოდა. გიორგი ბრწყინვალე გარდაიცვალა 1346 წელს.

47

ალექსანდრე I დიდი დაიბადა დაახლოებით 1390 წელს. იგი საქართველოს მეფე იყო 1412-1442 წლებში.

მეფობის პირველივე წლებში იძულებული გახდა მოეგერიებინა თურქმანთა შემოტევები. მხოლოდ 1415 წლიდან დამყარდა საქართველოში მშვიდობიანობა და მეფემ ენერგიულად მოჰკიდა ხელი თემურლენგისა და თურქმანთა შემოსევების შედეგად განადგურებული ქვეყნის აღდგენას. რაკი სახელმწიფო ხაზინას საამისო სახსრები არ გააჩნდა, მან 1425 წელს შემოიღო სპეციალური დროებითი საკომლო გადასახადი, რომლის შემოსავლითაც შეაკეთა სვეტიცხოველი, რუისის ტაძარი და მრავალი სხვა ციხე, საყდარი და მონასტერი. ალექსანდრე I ცდილობდა აღედგინა საქართველოს ადრინდელი საზღვრები. ათას ოთხას ოცდათერთმეტ წელს მან შემოიერთა ციხე-ქალაქი ლორე და ლორის ველი, რომელიც მანამდე თურქმან მომთაბარეებს ეკვრათ. დაახლოებით 1434-1435 წლებში შემოიერთა სივნიეთი (ახლანდელი ყარაბაღი და მისი მეზობელი თემები). ამან საქართველოს შემცირებულ მოსახლეობას 60 ათასზე მეტი კომლი შესძინა.

ალექსანდრე I ცდილობდა ქართული ეკლესიის გაძლიერებას. მან აღადგინა შერყეული საეკლესიო მიწათმფლობელობა, განაახლა უცხოეთის ქართული მონასტრები. ალექსანდრე I შეეცადა ურჩი მთავრების ალაგმვას, თუმცა ბოლომდე ვერ გაატარა მტკიცე პოლიტიკა.

სამეფოში შექმნილი ვითარების გამო 1442 წელს ალექსანდრე I ტახტიდან გადადგა და ათანასეს სახელით ბერად აღიკვეცა. იგი გარდაიცვალა 1445 წელს.

48

გიორგი VIII, ალექსანდრე I დიდის ძე, დაიბადა 1417 წელს. ის იყო იყო ქართლის მეფე 1446-1466, ხოლო კახეთისა – 1466-1476 წლებში. მის დროს ძირითადად დამთავრდა საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის სამეფო-სამთავროებად დაშლის ხანგრძლივი პროცესი. თავდაპირველად სამეფოს ჩამოსცილდა სამცხე-საათაბაგო. დასავლეთ საქართველოში გამეფების პრეტენზიით გამოვიდა ბაგრატ ერისთავი, რომელმაც გიორგი VIII-ს ომი გამოუცხადა. 1463 წელს ჩიხორის ბრძოლაში გიორგი VIII დამარცხდა. 1465 წელს სამცხის მთავარმა ყვარყვარე II ათაბაგმა გიორგი VIII დაატყვევა. ამით ისარგებლა ბაგრატმა და 1466 წელს თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა. ტყვეობიდან განთავისუფლებული გიორგი VIII ათას ოთხას სამოცდაექვს წელს იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო, რითაც დასაბამი მისცა კახეთის ცალკე სამეფოდ გამოყოფას.

გიორგი VIII პირველი ქართველი მეფეა, რომელმაც თავისი მეფობის დროს ანტიოსმალური კოალიციის მოწყობის მიზნით ევროპაში გააგზავნა ელჩობა 1458-1459 წლებში. ქართველი ელჩები ეწვივნენ არა მარტო პაპს, არამედ საფრანგეთის მეფე შარლ VII-ს, შემდეგ – მის შვილს, ლუი XI-ს, მაგრამ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია, რადგანაც ევროპის ქვეყნებმა ოსმალეთთან მორიგება არჩიეს.

გიორგი VIII გარდაიცვალა 1476 წელს.

49

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი იყო XV საუკუნის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი. XV საუკუნის 60-იან წლებში იგი ფანასკერტიდან (ტაო) შიდა ქართლში გადასახლდა. მის სახელთან არის დაკავშირებული საციციანოს კულტურული დაწინაურება. მან განაახლა ყინწვისის მონასტერი და მიაშენა ეკვდერი. იგი ავტორია ორიგინალური სამედიცინო ძეგლისა – „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“. წიგნი განხილულია თეორიული და პრაქტიკული მედიცინის საკითხები. მისი აზრით, ავადმყოფის განსაკურნად საჭიროა ზუსტ ცოდნაზე აგებული მკურნალობის რაციონალური მეთოდების გამოყენება. იგი უარყოფს ფსიქიკურ დაავადებათა მისტიკურ ბუნებას და მათ ტვინში მიმდინარე პათოლოგიური პროცესების გამოვლენად მიიჩნევს.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი დაიბადა 1438 წელს. თამარ მეფეს მხედარმთავარ ზაქარიასათვის ომში წარმატებისათვის უბოძებია ფანასკერტის ციხე და სწორედ აქედან წარმომდგარა ფანასკერტელთა გვარეულობაც. ამ გვარის წარმომადგენლები იყვნენ შემდგომში ცნობილი პირები თაყა და ციცი ფანასკერტელები, რომლებიც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევრები ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ ციციის შვილი უნდა იყოს ზაზა, რომელიც ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილად იწოდება.

50

ლუარსაბ I დიდი, უფროსი ძე დავით X-ისა, დაიბადა 1502 წელს. ის იყო ქართლის მეფე 1527–1556 წლებში. 1522 წელს უფლისწულმა ლუარსაბმა დიდი გმირობა გამოიჩინა თელეთის ბრძოლაში, როდესაც მარჯვენა ფლანგიდან შეუტია და გააქცია ირანელთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი, თუმცა ქალაქისათვის ღალატის გამო თბილისი მაინც ჩაუვარდათ ხელში ირანელებს. ორი წლის შემდეგ ქართველებმა თბილისი დაიხსნეს და ირანელები მთლიანად გარეკეს ქართული მიწა-წყლიდან. 1538 წლიდან დაიწყო შაჰ-თამაზის ლაშქრობები საქართველოში, რომელთა დროსაც ლუარსაბ მეფე ძირითადად თარეშული ომის ხერხს მიმართავდა და ამ ლაშქრობების შედეგად შაჰმა უფრო მეტი წააგო, ვიდრე მოიგო. მან ვერც ქართლი ამოწყვიტა და ვერც მისი მეფე დაიმორჩილა. მიუხედავად თბილისის ციხისთავთა გამუდმებული ღალატისა, მთლიანად ქართლი მტრის შემოსევებმა ვერ გაანადგურა. ლუარსაბის რაზმი ქართლის ციხეებში ჩაყენებულ ყიზილბაშთა ციხიონებს მოულოდნელი თავდასხმებით ავლებდა მუსრს.

1556 წელს სოფელ გარისთან დიდი ბრძოლა გაიმართა. ბრძოლის წინ ლუარსაბმა მეფედ უფროსი ვაჟი – სვიმონი გამოაცხადა და მთავარსარდლობაც მას ჩააბარა. 19 წლის სვიმონის სარდლობით ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ უკვე მხცოვანი ლუარსაბი ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა.

ლუარსაბ I დიდი სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს.

51

სვიმონ I დიდი იყო ქართლის მეფე 1556-59 და 1578-99 წლებში.

გარისის ბრძოლაში მოხუცმა მამამ ქართლის შემტევი ლაშქრის მეთაურად დანიშნა 19 წლის სვიმონი. უფლისწულმა თავი გამოიჩინა, როგორც საზრიანმა და მამაცმა სარდალმა. ამ დღიდან მოყოლებული იგი მთელი ცხოვრება სამშობლოს გასათავისუფლებლად იბრძოდა.

1569 წელს ფარცხისის ბრძოლაში მოღალატე ყორღანაშვილის წყალობით ყიზილბაშებმა სვიმონი ტყვედ ჩაიგდეს, ირანში ჩაიყვანეს და ციხეში გამოკეტეს. 1578 წელს, ცხრაწლიანი ტყვეობის შემდეგ, ირანის შაჰმა სვიმონს კუთვნილი სამეფო ტახტი დაუბრუნა და ოსმალებთან საომრად მიუშვა. ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ, 1583 წელს, სვიმონმა ჯერ თბილისიდან, შემდეგ კი სამშვილდიდან და დმანისიდან განდევნა ოსმალები. 1584 წელს 4000 ქართველი მეომრით მეფემ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა სოფელ ხატისსოფელთან, სადაც 30000 ოსმალო მეომრისაგან შემდგარი ლაშქარი დაამარცხა.

1599 წელს ნახიდურთან გამართულ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ ჯაფარ ფაშის უზარმაზარ ლაშქართან. სვიმონი ახლა უკვე ოსმალეზმა შეიპყრეს და სიციცხლის ბოლომდე ციხეში დამწყვდიეს. 1603 წელს სვიმონი გარდაიცვალა. მისი ნეშტის დახსნა და სამშობლოში ჩამოსვენება ვაჭარმა დიაკვნიშვილმა შეძლო. სვიმონი მამის, ლუარსაბ I-ის, გვერდით დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში.

52

ალექსანდრე II, ლევან მეფის ძე, დაიბადა 1527 წელს. ის იყო კახეთის მეფე 1574-1605 წლებში. მის მეფობაში განსაკუთრებით განვითარდა სოფლის მეურნეობა, აღორძინდა ქალაქები. კახეთის სამეფოს ალექსანდრე მეორის დროს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა აზიისა და ევროპის ბევრ ქვეყანასთან (კახეთიდან უცხოეთში გაჰქონდათ: აბრეშუმი, ღვინო, ენდრო, კაკალი), ალექსანდრე II რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მოღვაწეობდა. თავდაპირველად ირანის ვასალად აღიარებდა თავს, ხოლო 1578 წლიდან ოსმალეთის მოხარკე გახდა. ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსავალს ალექსანდრე II რუსეთთან კავშირში ხედავდა. 1587 წელს გაფორმდა ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს კავშირის შესახებ. 1589 ალექსანდრე II-მ რუსეთის მეფისგან მიიღო მფარველობის ოფიციალური დადასტურება – „წყალობის სიგელი“.

რუსეთთან ასეთი დაახლოების გამო ალექსანდრე II-ს ურთიერთობა გაუფუჭდა ოსმალეთსა და ირანთან. ალექსანდრე რუსეთს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას სთხოვდა. რუსეთის ჯარმა დაღესტნის დამორჩილება ვერ შეძლო, შესაბამისად, ვერ გაიხსნა თურგ-კახეთის გზა. 1604 წელს რუსეთის მეფემ საგანგებო რაზმი გამოგზავნა, რომელსაც დაღესტანი უნდა დაემორჩილებინა. რაზმმა მხოლოდ დაღესტნის ჩრდილოეთი ნაწილი დაიმორჩილა, ისიც დროებით. ამიერიდან რუსეთ-კახეთის ურთიერთობა კარგა ხნით შეწყდა.

ალექსანდრე II გარდაიცვალა 1605 წელს.

53

გიორგი X, სვიმონ I-ის ძე, იყო ქართლის მეფე 1600-1606 წლებში.

გიორგი X ჯერ კიდევ ბატონიშვილობის დროს ოსმალთა წინააღმდეგ ყველა ბრძოლაში მონაწილეობდა თავისი სახელოვანი მამის გვერდით. როდესაც სვიმონი ნახიდურთან ოსმალებს შეება, მამინ გიორგი გორს იცავდა. მამის დატყვევების ამბავი მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო და მტერს დაედევნა, მაგრამ უკვე გვიან იყო. 1600 წელს გიორგი მეფედ ეკურთხა თბილისში, სიონის ტაძარში. ტახტზე ასვლის დღიდან გიორგიმ დაიწყო ზრუნვა დატყვევებული მამის გამოსახსნელად. გიორგის მოციქულებს სულთანმა უზომო გამოსასყიდი მოსთხოვა. გიორგის მეცადინეობით ქართლში შეკრიბეს დიდძალი ქონება და გაგზავნეს სტამბოლში. სანამ ქართლში გამოსასყიდი განძეულობა შეიკრიბებოდა და სტამბოლამდე ჩაიტანდნენ, სვიმონი გარდაიცვალა. ჩატანილი ქონება ოსმალებმა დაიტოვეს.

1605 წელს კახეთის უფლისწულმა კონსტანტინემ ირანის შაჰის დავალებით საკუთარი მამა და ძმა დახოცა და კახეთის ტახტი დაიკავა. კახეთში აჯანყება დაიწყო მამისმკვლელი მეფის წინააღმდეგ. აჯანყებას ქეთევან დედოფალი ხელმძღვანელობდა. აჯანყებულ კახელებს გიორგი მეფემაც მიაშველა თავისი ლაშქარი. 1606 წელს მეჯვრისხევში მყოფი გიორგი მეფე მოულოდნელად გარდაიცვალა. ქართლის ტახტზე მისი ძე, ლუარსაბ II, ავიდა.

54

ლუარსაბ II დაიბადა 1592 წელს. ის იყო ქართლის მეფე 1606-1615 წლებში. 14 წლისა მეფედ დამტკიცა თბილისში მყოფმა შაჰ-აბას I-მა უცრად გარდაცვლილი გიორგი X-ის ნაცვლად. 1611 წლის ბოლოს ლუარსაბ II-მ ცოლად შეირთო გიორგი სააკაძის და, რომელსაც თავადთა მოთხოვნით მალე გაეყარა. ამას მოჰყვა შეთქმულება სააკაძის წინააღმდეგ. ლუარსაბ II-ს ცოლი აღარ შეურთავს, თუმცა ქართლის სამეფო ტახტს პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა. 1612 წელს ლუარსაბ II-მ მოაკვლევინა ყაზახის ხანი მოჰამედი, რომელიც შაჰის წაქეზებით მტრობდა ქართლს. იმავე წელს ლუარსაბ II-ის და ხორეშანი ცოლად შეირთო კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა. ამით ქართლსა და კახეთს შორის შეიკრა კავშირი, რომლის მიზანი იყო ერთობლივი ბრძოლა ირანის მოსალოდნელი აგრესიის წინააღმდეგ.

1614 წლის დასაწყისში შაჰ აბას I-ის შემოსევის დროს ლუარსაბ II იმერეთში გადავიდა და სხვა ქართველ მეფეებთან ერთად ოსმალეთს სთხოვა დახმარება ირანის წინააღმდეგ. 1614 წლის ოქტომბერში ლუარსაბ II ქართლში დაბრუნდა და შაჰს ეახლა, რათა ქართლი აოხრებისგან ეხსნა. შაჰმა ლუარსაბი

ირანში წაიყვანა და სარწმუნოების შეცვლა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. იგი ციხეში დაამწყვდის. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების თხოვნით ლუარსაბ II-ის გასათავისუფლებლად შაჰთან იმუამდგომლა რუსეთის ხელმწიფემ, თუმცა უშედეგოდ. ლუარსაბ II შაჰის ბრძანებით შირაზის ციხეში საბლით მოახრჩვეს 1622 წელს. იგი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

55

საკაკაძის წინაპრები სამეფო აზნაურები იყვნენ. გიორგი სააკაძეს იმ დროის შესაფერისი განათლება ჰქონდა მიღებული. იცოდა სპარსული და თურქული ენები. გამოირჩეოდა სამხედრო საქმის დიდი ცოდნითა და ორგანიზატორული ნიჭით. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა XVI საუკუნის 90-იან წლებში. სააკაძის სამხედრო და სახელმწიფოებრივი ნიჭი წარმოჩინდა ლუარსაბ II-ის მეფობაში. შინაფეოდალური ბრძოლების აღკვეთა და თავადების ალაგმვა, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, საქართველოს გაერთიანებაზე ზრუნვა დიდი მოღვაწის მოღვაწეობის მთავარ მიზანს შეადგენდა.

საკაკაძემ ქართლის მეფეს დაუმორჩილა გამდგარი მთიელები. დიდი ფეოდალი, არაგვის ერისთავი ნუგზარი, თავისთავად შეიქნა მეფის ერთგული, რადგან გიორგის სიმამრი იყო. შესუსტდა ფეოდალთა ანარქია. სააკაძემ ყურადღება მიაქცია ქვეყნის შენებასაც, ხელი შეუწყო ომიანობის დროს მიმოფანტული მოსახლეობის უკან, ფუძეზე დაბრუნებას. ამას კი მოჰყვა ქვეყნის ეკონომიკური მოღონიერება. სააკაძის დასი საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური დაჯგუფება იყო 1608-1612 წლებში. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ლუარსაბ II-მ ცოლად შეირთო სააკაძის და. სააკაძემ და მისმა მომხრეებმა შეძლეს ქართლის თავდაცვისუნარიანობის აღდგენა, რამაც განაპირობა ქართლის გამარჯვება ტაშისკარის ბრძოლაში 1609 წელს.

56

წმიდა მოწამე თევდორე მღვდელი XVII საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. ამ დროს საქართველოში მეფობდა ახალგაზრდა მეფე ლუარსაბ II. 1609 წელს ის მცირე ამალით ცხირეთის ციხეში, თავის საზაფხულო რეზიდენციაში იმყოფებოდა. ოსმალებმა, რომლებმაც მეფის სამყოფელი იცოდნენ, გადაწყვიტეს უმოკლესი გზით შეჭრილიყვნენ შიდა ქართლში, ცხირეთის ციხეს თავს დასხმოდნენ, შეეპყროთ ლუარსაბი და ამ გზით მთელი საქართველო დაემორჩილებინათ. მათ სწრაფად გადმოლახეს თრიალეთი და მოულოდნელად მოადგნენ მანგლისს. ლუარსაბმა არაფერი იცოდა თავდასხმის შესახებ, მტერს კი ცხირეთამდე სულ ხუთიოდე საათის სავალი რჩებოდა. მანგლისიდან მეფის საზაფხულო რეზიდენციაამდე რამდენიმე გზა მიდიოდა. ოსმალებს ვერ გადაეწყვიტათ, რომელ გზას დასდგომოდნენ.

მანგლისის ახლოს, სოფელ კველთაში, ოსმალებმა შეიპყრეს მღვდელი, სახელად თევდორე. იგი თურმე ეკლესიას კეტავდა, სხვებთან ერთად ტყეში გაქცევა ვერ მოესწრო, რადგან ეკლესიის განძეულობას მალავდა. მამა თევდორეს ოსმალებმა მეგზურობის გაწევა მოსთხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას წამებით სიკვდილი ელოდა. მღვდელმა ლაშქარი გზას ააცდინა და ცხირეთს დააშორა. დიდი ხნის სიარულის მერე ოსმალები მიხვდნენ, რომ მოტყუვდნენ, შეიპყრეს მღვდელი და თავი მოჰკვეთეს. თევდორე მღვდლის თავდადებაზე ნაყოფი გამოიღო. მეფე ლუარსაბმა ციხეში გამაგრება მოასწრო, შემდეგ კი ქართველთა ლაშქარმა მოთარეშეებს მუსრი გაავლო.

ქართულმა ეკლესიამ თევდორე მღვდელი წმინდანად შერაცხა.

57

1606-1648 წლებში კახეთში მეფობდა თეიმურაზ მეორე. შაჰ-აბასმა 1614 წელს ელჩი გამოუგზავნა თეიმურაზს და ერთგულების ნიშნად შვილი სთხოვა მძევლად. იცოდა თეიმურაზმა შაჰის ვერაგობა, მაგრამ უმცროსი ვაჟი, ალექსანდრე, მაინც გაგზავნა სპარსეთში, თან ქეთევანიც გააყოლა. შაჰმა უფროსი შვილი, ლევანიც, მოსთხოვა და როცა ისიც თავისთან დაიგულა, კვლავ შეუთვალა თეიმურაზს: „რადგან ამისთანა ერთგული კაცი ხარ, შენც მოდი და მნახეო“. შაჰს სურდა კახეთის სამეფო კარისთვის მოეყარა თავი და ერთიანად ამოეწყვიტა.

დაიწყო ქართლის ცხოვრების უსამინლესი პერიოდი. კახეთის დასალაშქრად გამზადებულმა შაჰ-აბასი კახეთს შემოესია, ააოხრა ქვეყანა და ეკლესია-მონასტრები, დააცარიელა სოფლები. სამას ათასზე მეტი ქართველი სპარსეთში გადაასახლა, გაუღაბურებულ ქვეყანაში კი ულუსები ჩამოასახლა.

ათი წელი იტანჯებოდა ქეთევანი ტყვეობაში. მარხვით, ლოცვით, კვაზე წოლით გაილია დედოფლის ხეული. მაინც მხნედ იყო.

ენით აღუწერელი სისასტიკით აწამეს დედოფალი და ისე მოკლეს.

ქართულმა ეკლესიამ ქეთევან დედოფალი წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღედ 13 სექტემბერი (ახალი სტილით 26 სექტემბერი) დადგინდა.

58

თეიმურაზ I გამეფდა 16 წლის. მისი მცირეწლოვნების გამო სამეფოს ერთხანს დედამისი, ქეთევან დედოფალი, განაგებდა. 1614 წელს ირანის შაჰის ქართლსა და კახეთში ლაშქრობის დროს თეიმურაზი იმერეთში გაიხიზნა. 1615 წელს იგი სათავეში ჩაუდგა კახეთის აჯანყებას სპარსეთის წინააღმდეგ. სპარსელებმა აჯანყება ჩაახშვეს. თეიმურაზი კვლავ იმერეთში გადავიდა. შაჰის მიერ სპარსეთში მძევლად წაყვანილი ქეთევან დედოფლის სასტიკი წამებიდან რამდენიმე თვეში, 1625 წელს, გიორგი სააკაძესთან ერთად სათავეში ჩაუდგა ბრძოლას ირანელთა წინააღმდეგ. მრავალწლიანმა წინააღმდეგობამ ირანის შაჰი აიძულა დათმობებზე წასულიყო. მან მოლაპარაკება გამართა თეიმურაზთან და იგი ფაქტობრივად ცნო ქართლ-კახეთის მეფედ. თეიმურაზი განაგრძობდა სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ამიტომ 1632 წელს შაჰმა ქართლის ტახტი გამაჰმადიანებულ როსტომს გადასცა.

თეიმურაზ I-ს რუსეთის დახმარების იმედი ჰქონდა და ამიტომ მოსკოვში არაერთი ელჩობა გაგზავნა, 1658 წელს კი თვითონაც გაემგზავრა, მაგრამ ამაოდ. როცა თეიმურაზმა ყოველგვარი დახმარების იმედი დაკარგა, იგი ბერად აღიკვეცა (1661 წელს). მალე ირანში გაიწვიეს და გამაჰმადიანების სანაცვლოდ კახეთის სამეფო ტახტის დაბრუნება აღუთქვეს. რჯულის შეცვლაზე თეიმურაზმა უარი განაცხადა, რის გამოც იგი გამოამწყვდიეს ციხეში, სადაც მალე გარდაიცვალა.

მისი ნეშტი ქართველებმა საშობლოში ჩამოასვენეს და ალავერდის მონასტერში დაკრძალეს.

59

ბიძინა ჩოლოყაშვილი და ქსნის ერისთავები, შალვა და ელიზბარი, XVII საუკუნეში მოწამებრივად აღსრულებული ქართველი წმინდანები არიან.

XVII საუკუნეში სპარსელებმა კახეთი უმოწყალოდ ააოხრეს. ამ კუთხის მთავარმა, ბიძინა ჩოლოყაშვილმა, თავს იდვა კახეთის გათავისუფლება მტრისგან. ის დაუკავშირდა ქსნის ერისთავებს, შალვას და ელიზბარს, და მოკავშირეობაზე დაითანხმა. შეთქმულები ღამით თავს დაესხნენ ზახტრიონის ციხეს და მუსრი გაავლეს იქ დაბანაკებულ მტერს. იმავე დღეს, 1659 წლის ალავერდობის დღესასწაულზე, მიუხდნენ ალავერდში მყოფ ყიზილბაშებს და ერთიანად ამოწყვიტეს.

განრისხებულმა შაჰ-აბასმა აჯანყების თაოსნები თავისთან დაიბარა. ბიძინამ, შალვამ და ელიზბარმა იცოდნენ, რომ შაჰისგან დანდობა არ ექნებოდათ, მაგრამ დამპყრობელთან მაინც გაემგზავრნენ. შაჰმა პატივით ისტუმრა ქართველი დიდებულები და სიმდიდრისა და პატივის საფასურად სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. მაშინ წმინდანები სასტიკად აწამეს, შალვას და ელიზბარს თავები მოჰკვეთეს, ხოლო ბიძინას ჩადრი დაახურეს, ვირზე შესვეს და ქუჩა-ქუჩა ატარეს, თუმცა ბიძინა დამცირებამ ვერ გატეხა. ხანგრძლივი წამების შემდეგ წმინდა მოწამე შუბით განგმირეს.

სარწმუნოებისთვის წამებულთა ნეშტის გამოხსნა მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ მოხერხდა. გმირები იკორთის მთავარანგელოზის ტაძარში დაკრძალეს.

60

ლევან II დადიანი იყო ოდიშის მთავარი 1611-1657 წლებში. 1612 წელს ის დაუკავშირდა გურიისა და აფხაზეთის მთავრებს, რათა დაპირისპირებოდა იმერეთის მეფე გიორგი III-ს, რომელიც 1623 წელს დაამარცხა გოჭოლურასთან.

მომდევნო წლებში იგი ხშირად ეხსმოდა თავს აფხაზეთის სამთავროს. 1625 წელს ტახტიდან ჩამოავდო გურიის მთავარი სიმონი და მის ნაცვლად ტახტზე აფხაზეთის კათოლიკოსი მალაქია გურიელი აიყვანა. ამის შემდეგ სიკვდილამდე გურიის სამთავრო მას ემორჩილებოდა. 1633 წელს ლევან დადიანმა ქართლის მეფე როსტომს თავისი და მარიამი მიათხოვა. ამ აქტით ლევანმა კავშირი გააბა ირანთან, საიდანაც ფულად სუბსიდიებს იღებდა. ლევან დადიანი სულ ცდილობდა თავის მფლობელობაში გაერთიანებინა დასავლეთ საქართველო, მაგრამ იმერეთისა და აფხაზეთის დამორჩილება ვერ შეძლო. დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისკენ მიმართული მისი ბრძოლა ქვეყნის გაჩანაგების ერთერთ მიზეზად იქცა.

1636 წელს ლევან დადიანი შეეცადა ურთიერთობა დაემყარებინა რუსეთთან, მაგრამ მისი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ლევან II-ს კარგად ესმოდა ქვეყნის ევროპულად გარდაქმნის აუცილებლობა. იგი ოდიშის სამთავროში იწვევდა ევროპელ ვაჭრებსა და ხელოსნებს. აქტიურად ეწეოდა სამთავროს ეკონომიკური და კულტურული აღმშენებლობის საქმეს. რუხი ქალაქად აქცია და ზარაფხანა გახსნა. მან შეაკეთა და ააგო მრავალი ციხე-სიმაგრე და ეკლესია-მონასტერი. დადიანის კარზე გადაიწერა „ვეფხისტყაოსნის“ დღემდე შემორჩენილი უძველესი დათარიღებული ხელნაწერი, რომელიც მამუკა თავაქალაშვილის მიერაა შესრულებული.

61

ვახტანგ V, შაჰნავაზი იყო ქართლის მეფე 1658-1675 წლებში. 1654 წელს ირანში მაჰმადიანობა მიალბინეს და შაჰნავაზი უწოდეს. ვახტანგ V-ის პოლიტიკის მიზანი იყო ქართლ-კახეთის გაერთიანება და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან მჭიდრო კავშირი ქართლის ჰეგემონობით, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება, ეკონომიკური წინსვლისთვის ხელის შეწყობა.

ვახტანგ V-მ მოაკვლევინა კახეთის ფაქტობრივი გამგებელი ზაალ არაგვის ერისთავი და კახეთი თავისი გავლენის სფეროში მოაქცია. მან ისარგებლა იმერეთის სამეფოში მომხდარი არეულობით, შეუთანხმდა სამეგრელოს მთავარ ვამეყ III დადიანს, იმერეთის დიდი ნაწილი დაიკავა და თავისი უფროსი ვაჟი არჩილი იმერეთის ტახტზე აიყვანა (1661 წ.). მან გურიელთან მეგობრული კავშირი დაამყარა, აფხაზეთის მთავარმაც მორჩილება განუცხადა და, ამრიგად, თითქმის მთელი საქართველო გაერთიანდა მისი თაოსნობით. მალე ოსმალების მოთხოვნით ვახტანგ V იძულებული გახდა იმერეთიდან გაეყვანა არჩილი. ვახტანგ V შეეცადა არჩილი კახეთის მეფედ დაესვა, მაგრამ მის მეტოქედ ერეკლე I გამოვიდა. ვახტანგ V-ის მეორე ვაჟი ლუარსაბი ახალციხეში გაიქცა, რათა იქიდან ოსმალეთის დახმარებით იმერეთის ტახტი დაეკავებინა (არჩილიც მას გაჰყვა). ამის გამო 1675 წელს ირანის შაჰმა ვახტანგ V თავისთან დაიბარა. ირანს მიმავალი მეფე გზაში ავად გახდა და გარდაიცვალა. დასაფლავებულია ქ. ყუმში.

62

არჩილ II, ვახტანგ V შაჰნავაზის ძე, დაიბადა 1647 წელს. მამამისმა, მეფე ვახტანგმა, დასავლეთ საქართველოში ამტყადარი არეულობით ისარგებლა, ჯარით გადავიდა იმერეთში და ტახტზე მეფედ დასვა 14 წლის არჩილი, თუმცა ამან ოსმალეთის განარისხა სულთანი, რომელმაც მუქარის წერილი აფრინა ირანის შაჰთან. შაჰ აბას II-მ არჩილი თავისთან დაიბარა, დიდი პატივით მიიღო და რჯულიც შეაცვლევინა. არჩილმა სამართავად კახეთი ჩაიბარა.

არჩილმა კახეთის დედაქალაქი გრემიდან თელავში გადაიტანა, განაახლა ეკლესიები, ააშენა მრავალი სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობა. კახეთის მოღონიერებით უკმაყოფილო ირანის შაჰმა მეფის ტახტი თეიმურაზ I-ის შვილიშვილს, ერეკლე ბატონიშვილს აღუთქვა. არჩილი იმერეთში გადავიდა და იქ ოთხჯერ შეეცადა გამეფებას, მაგრამ ოსმალთა მხარდაჭერით იმერეთის თავადაზნაურობამ ოთხჯერვე გააძევა. 1680 წელს არჩილმა რუსეთს მიმართა დახმარებისთვის, თუმცა ტახტი ვერც ამ გზით დაიბრუნა და 1699 წელს საბოლოოდ გადასახლდა რუსეთში.

პეტრე I-მა მეფე და მისი ოჯახი გულთბილად მიიღო და მოსკოვის მახლობლად, სოფელ ვესეკატსკოეში დაასახლა. არჩილი ფაქტობრივად ჩამოსცილდა პოლიტიკურ ცხოვრებას, დააარსა სტამბა და ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას მიჰყო ხელი.

დაკრძალულია მოსკოვში, მის მიერვე აღორძინებულ დონის მონასტერში.

63

გიორგი XI, ვახტანგ V-ს ძე, დაიბადა 1651 წელს. ის იყო ქართლის მეფე 1676-1688, 1703-1709 წლებში. მისი მეფობის ხანა ხასიათდებოდა ირანთან ურთიერთობის გამწვავებით. გიორგი XI ცდილობდა მეფის ხელისუფლების განმტკიცებას და ირანელთა ბატონობის მოსპობას ქართლში. დახმარების მისაღებად მან დიპლომატიური მოლაპარაკება გამართა ოსმალეთთან.

1688 წელს გიორგი XI აჯანყდა ირანელების წინააღმდეგ. აჯანყება მარცხით დამთავრდა, რადგან გიორგი XI-ს უღალატეს ადგილობრივმა ფეოდალებმა და ვერც ოსმალეთიდან მიიღო შეპირებული დახმარება. შაჰმა გიორგი XI ტახტიდან გადააყენა და მის ადგილზე ერეკლე I დასვა (1688 წელს). გიორგი XI-მ იმერეთს შეაფარა თავი და იქიდან ცდილობდა ტახტის დაბრუნებას. ამასობაში ირანში ძალიან

გაუარესდა შინაპოლიტიკური მდგომარეობა. ირანის შაჰმა გადაწყვიტა შერიგებოდა გიორგი XI-ს, რათა მისი სამხედრო ცოდნა და ქართველთა ჯარი ავღანელთა წინააღმდეგ გამოეყენებინა. თავის მხრივ, გიორგი XI-ს სურდა დაებრუნებინა ტახტი და გაეგრძელებინა ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. ამის გამო იგი დაეთანხმა შაჰის წინადადებას და 1696 წელს ისპაჰანში გაემგზავრა. შაჰმა გიორგი XI კვლავ დაამტკიცა ქართლის მეფედ და დაავალა ავღანელთა დამორჩილება. გიორგი XI-მ აჯანყებულები მალე დაიმორჩილა, მაგრამ ავღანელებმა იგი ღალატით მოკლეს.

ეს მოხდა 1709 წლის 21 აპრილს.

64

ვახტანგ VI დაიბადა 1675 წელს. ის იყო ქართლის გამგებელი 1703-1714 წლებში, ხოლო მეფე 1716-1724 წლებში.

ვახტანგ VI იბრძოდა ქვეყანაში წესრიგის აღდგენისა და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისთვის. მან თავიდან მოიცილა ქართლის სამეფო კარზე მოკალათებული მერყევი და საეჭვო ელემენტები, აღადგინა ქართული წეს-ჩვეულებები. „მცველთა ჯარის“, ანუ, სამეფო გვარდიის შექმნით მან დათრგუნა ურჩი ფეოდალები და ფართო ბრძოლა გააჩაღა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. ქვეყანაში დაიწყო აღმშენებლობის პერიოდი.

1712 წელს ირანის შაჰმა ვახტანგ VI ტახტზე დასამტკიცებლად ისპაჰანში გაიწვია და გამაჰმადიანება მოსთხოვა. ქრისტიანმა მეფემ შაჰს უარი უთხრა, რის გამოც იგი ქირმანში გადაასახლეს, თუმცა 1716 წელს მან ფორმალურად მანკ მიიღო ისლამი და საქართველოში 1719 წელს დაბრუნდა. ამ პერიოდიდან საგარეო ვითარება საქართველოს საწინააღმდეგოდ წარიმართა. ვახტანგს რუსეთის მოკავშირეობის იმედი ჰქონდა, მაგრამ ამაოდ დამწრა. რუსეთთან კავშირის მცდელობამ განაცოფა ირანი და ოსმალეთი. 1723 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ოსმალეთი დაეპატრონა. ირანიც მზად იყო საქართველოს დასაპყრობად. გარეშე საფრთხეს შინაური აშლილობაც დაემატა. 1724 წელს ვახტანგი 1200-კაციანი ამალით რუსეთში გაემგზავრა, მაგრამ ნანატრი დახმარების ლოდინში ქალაქ ასტრახანში გარდაიცვალა. დაკრძალულია იქვე, მიძინების ტაძარში.

65

სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა სოფ. ტანძიაში 1658 წელს. ის იყო დიდი ქართველი მწერალი, მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე. სულხან-საბამ მიიღო კარგი სასულიერო და საერო განათლება. სამეფო კარზე მას დაევალა მომავალი ტახტის მემკვიდრის – ვახტანგ ლევანის მის (ვახტანგ VI-ის) აღზრდა. 1698 წელს საბას სახელით ბერად აღიკვეცა დავითგარეჯის მონასტერში. 1703 წლიდან ქართლის ახალი მეფის, ვახტანგ VI-ის, დავალებით ორბელიანმა დიპლომატიური მისიით იმოგზაურა სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საფრანგეთსა და იტალიაში (1713-1716 წწ.). ეს მისია წარუმატებელი აღმოჩნდა. იმედგაცრუებულმა სულხან-საბამ დიდი გაჭირვებით ჩამოაღწია სამშობლოში. 1685-1716 წლებში მან დაწერა ქართული ლექსიკონი – „სიტყვის კონა“.

სულხან-საბა ორბელიანის ორიგინალური თხზულებებიდან უმნიშვნელოვანესია იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე სიცრუისა“ (1686 - 1695 წწ.). ქართული დოკუმენტური პროზის ერთ-ერთი პირველი და უნიკალური ნიმუშია სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“. 1724 წელს, როცა ვახტანგ VI-მ რუსეთში დააპირა წასვლა, მან მოსკოვში წინასწარი მოლაპარაკებისათვის სულხან-საბა გაგზავნა, მაგრამ საბას არ დასცალდა უკანასკნელი მისიის აღსრულება. იგი მოსკოვში მალე, 1725 წელს, გარდაიცვალა.

66

თეიმურაზ II დაიბადა 1700 წელს. იგი იყო კახეთის მეფე 1709-1715 წლებში, გამგებელი – 1733-1744 წლებში, ქართლის მეფე – 1744-1762 წლებში. მან მოქნილი საგარეო პოლიტიკით შეძლო ქართლისა და კახეთის შემომტკიცება. თეიმურაზმა კახეთში თავისი შვილი ერეკლე II გაამეფა, თვითონ კი ქართლი დაიკირა და ამ გზით ქართლისა და კახეთის სამეფოთა გაერთიანებას დაუდო დასაბამი. 1745 წელს თეიმურაზ II ძველი ქართული წესით ეკურთხა ქართლის მეფედ სვეტიცხოველში, თუმცა ქართლ-კახეთი ირანთან ჯერ კიდევ ვასალურ დამოკიდებულებაში იყო. მისი გაერთიანება მამა-შვილის ხელში და ქრისტიანული წესით მეფედ კურთხევა დიდი მიღწევა იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე. თეიმურაზ II-მ ერეკლე მეფესთან ერთად დაიწყო ბრძოლა დაღესტნელი ფეოდალების გამუდმებული თავდასხმების წინააღმდეგ. ამასთანავე, იგი წარმატებით ებრძოდა ამიერკავკასიაში

გაბატონების მოსურნე ხანებს. საგარეო პოლიტიკაში თეიმურაზ II რუსული ორიენტაციის მომხრე იყო. 1760 წლის აპრილში იგი დახმარების სათხოვნელად გაემგზავრა რუსეთში, მაგრამ რუსეთი შვიდწლიან ომში იყო ჩაბმული და აქტიურად ვერ გამოეხმარა თეიმურაზ მეორის წინადადებას.

თეიმურაზ II გარდაიცვალა 1762 წელს პეტერბურგში. დასაფლავებულია ასტრახანის მიძინების ტაძარში.

67

სოლომონ I დაიბადა ათას შვიდას ოცდათხუთმეტ წელს. იმერეთის ტახტზე მის ასვლას წინ უძღოდა თითქმის საუკუნოვანი არეულობა იმერეთის სამეფოში, იმერეთის ციხეებში ჩამდგარი ოსმალური გარნიზონები, ხარკი, მეფისა და მთავრების ურთიერთდაპირისპირება, ტყვეებით ვაჭრობა, ინტრიგები; დასუსტებული ეკლესიაც ქვეყანას ანარქიაში ძირავდა. სოლომონმა ტახტისათვის მებრძოლ პრეტენდენტთა ცხარე ბრძოლაში გაიმარჯვა.

ტახტზე ასვლისას იგი თხუთმეტი წლისა იყო. 1752 წელს შეთქმულთა ძლიერმა ჯგუფმა, რომელთა შორისაც იყვნენ დედამისი, ბაბუა და ბიძები, შეძლო მისი დამარცხება. მაგრამ სოლომონმა ახალციხის ფაშის დახმარებით ტახტი დაიბრუნა.

სოლომონ I-ს პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა. 1783 წელს მან თავისი მოძღვარი მიუზღავნა ერეკლე II-ს და აცნობა, რომ ტახტის მემკვიდრედ დანიშნავდა თავის ძმისწულსა და ერეკლე II-ის შვილიშვილს, ქართლ-კახეთის მეფის კარზე აღზრდილ დავით არჩილის ძეს (მომავალი სოლომონ II) იმ პირობით, თუ ერეკლე II სოლომონის ურჩთა შეფარებაზე უარს იტყოდა.

1784 წელს 49 წლის ასაკში იგი გარდაიცვალა. სოლომონ I დაკრძალეს გელათის ღვთისმშობლის ტაძარში.

68

ერეკლე II, ჯერ კახეთის (1744-1762 წწ), შემდეგ კი ქართლ-კახეთის მეფე (1762-98 წწ), იყო უზადლო მეომარი და შესანიშნავი სტრატეგი. იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა იმდროინდელ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში.

1744 წელს ქართლში ერეკლეს მამა თეიმურაზი გამეფდა, ხოლო ერეკლე კახეთს განაგებდა. თეიმურაზის გარდაცვალების შედეგად (1762 წ) ქართლ-კახეთში ერთმეფობის დამყარება საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო.

მე-18 საუკუნის 80-იანი წლებიდან უკიდურესად გართულებული საგარეო ვითარების გამო ერეკლე II იძულებული გახდა რუსეთს დაკავშირებოდა და 1783 წელს მასთან ხელშეკრულება (ტრაქტატი) დაედო, რომელიც რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის სამხედრო დახმარებას გულისხმობდა. რუსეთმა ამ ტრაქტატის თითქმის ყველა მუხლი დაარღვია. ერეკლეს მწარედ მოტყუვდა: რუსეთს დახმარება კი არა, საქართველოს დაპყრობა სურდა.

მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეს მძიმე მემკვიდრეობა ერგო წილად, პატრიოტმა მეფემ შეძლო ყველა ჭეშმარიტი ქართველის სიყვარული დაემსახურებინა. მისი საქმეები ზეპირსიტყვიერებასა და სიმღერებში აისახა. ერეკლეს სახელი ეროვნული დამოკიდებულობისა და თავისუფლების სიმბოლოდ იქცა. გარდაიცვალა 1798 წელს, 78 წლისა. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, ვახტანგ გორგასლის გვერდზე.

69

წმიდა მეფე სოლომონ II დაიბადა 1772 წელს. მამამისი იმერეთის მეფე სოლომონ I-ის ძმა იყო, დედა, ელენე კი – ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორის ასული. დავითი (ასე ერქვა სოლომონ მეორეს გამეფებამდე) ძირითადად დედულეთში იზრდებოდა. უმემკვიდროდ დარჩენილმა იმერეთის მეფე სოლომონ I-მა სიცოცხლეშივე უანდერბა მას ტახტი. თორმეტი წლის იყო დავითი, როდესაც იმერეთის მეფე სოლომონ I გარდაიცვალა. სოლომონ II-მ ზვერის სასიკეთო ცვლილება განახორციელა სამეფოში. მან გააძლიერა ეკლესია და დააწინაურა ღირსეული ადამიანები. იგი საკუთარი მამულებით აჯილდოებდა ქვეყნის ერთგულ თავადებს.

1804 წლის 25 აპრილს სოლომონმა რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარა. ფორმალურად სოლომონი ხელისუფლებას ინარჩუნებდა, მაგრამ, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, მეფე სრულიად უუფლებოდ

დარჩა. მეფე ტახტის დაკარგვას ვერ ურიგდებოდა. 1810 წელს რუსეთის სარდლობამ სოლომონ II ტახტიდან ჩამოაგდო და იმერეთში რუსეთის მმართველობა გამოაცხადა. სოლომონი თანახმა იყო მეფობაზე უარი ეთქვა, სანაცვლოდ მხოლოდ იმერეთში ცხოვრების უფლებას ითხოვდა, მაგრამ მოლაპარაკებებზე მისული მეფე მოტყუებით დაატყვევეს და ჩაიყვანეს თბილისში, საიდანაც სოლომონი გაიქცა და თავი ახალციხის საფაშოს შეაფარა. 1815 წელს სოლომონი დევნილობაში გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს ტრაპიზონის წმ. გიორგის სახელობის ბერძნული ეკლესიის გალავანში. 1990 წელს მეფის ცხედარი საქართველოში ჩამოასვენეს და გელათის მეფეთა საძვალეში დაკრძალეს.

70

გიორგი XII მე-18 საუკუნის 60-იანი წლებიდან მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეებში. როცა ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, 1798 წლის იანვარში, გამეფდა, იგი მძიმე ავადმყოფი იყო. მისი მეფობისას ქართლ-კახეთში მეტად რთული საშინაო და საგარეო ვითარება იყო. გიორგი XII ზრუნავდა ირანელთა 1795 წლის შემოსევის შედეგად დანგრეული თბილისის აღდგენაზე. საგარეო პოლიტიკაში გიორგი XII რუსეთთან ტრადიციული ურთიერთობის კურსს იცავდა. იგი მოითხოვდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შესრულებას და საქართველოში რუსეთის ჯარის შემოყვანას, რომლის დახმარებით ფიქრობდა საშინაო და საგარეო პოლიტიკური სიძნელეებიდან თავის დაღწევას.

რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსვლამ ვერ გამოაკეთა ქართლ-კახეთის მდგომარეობა. ასეთ ვითარებაში გიორგი XII-მ თანხმობა განაცხადა შეეზღუდათ 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული მეფის უფლებანი, ოღონდ მისთვის და მისი შთამომავლებისთვის მეფობა შეენარჩუნებინათ. რუსეთის მთავრობა ხედავდა ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობას და ამ სამეფოს გასაუქმებლად ხელსაყრელ მომენტს ელოდა. გიორგი XII გარდაიცვალა თბილისში 1800 წლის 28 დეკემბერს. იგი დასაფლავებულია სვეტიცხოველში. მისი გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა.



9 789941 253737